

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

შორენა ლორთქიფანიძე

ზურაბ გორგილაძის პოეტური ენა და სტილი

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა- ლინგვისტიკა

მეცნიერ- ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ნანა ცეცხლაძე

ბათუმი 2018

შინაარსი

| | |
|---|------------|
| შესავალი | 4 |
| თავი I. ზურაბ გორგილაძის პოეზიის ენობრივი თავისებურებანი | |
| §1. ზურაბ გორგილაძის ლექსების სათაურების სპეციფიკა | 8 |
| §2. ფონეტიკური თავისებურებანი | 12 |
| §3. მორფოლოგიური თავისებურებანი | 16 |
| 3.1. არსებითი სახელი | 16 |
| 3.2. ზედსართავი სახელი | 25 |
| 3.3. რიცხვითი სახელი | 28 |
| 3.4. ნაცვალსახელი | 28 |
| 3.5. ზმნა | 31 |
| 3.6. საწყისი | 47 |
| 3.7. მიმღობა | 51 |
| 3.8. უდეტრები | 56 |
| §4. სინტაქსური თავისებურებანი | 59 |
| 4.1. სიტყვათა რიგი | 59 |
| 4.2. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების თავისებურებანი | 61 |
| 4.3. ქვემდებარე-დამატებათა რიცხვში შეთანხმება ზმნა-შემასმენელთან | 63 |
| 4.4. სინტაქსური კონსტრუქციები | 64 |
| 4.5. ზურაბ გორგილაძის პოეტური სინტაქსის ერთი თავისებურება | 66 |
| თავი II. ზურაბ გორგილაძის პოეზიის ლექსიკური თავისებურებანი | 69 |
| §1. სინონიმების სტილისტიკური ფუნქციები | 70 |
| §2. ანტონიმების სტილისტიკური ფუნქციები | 75 |
| §3. დიალექტიზმების სტილისტიკური ფუნქციები | 77 |
| §4. ბარბარიზმთა სტილისტიკური ფუნქციები | 95 |
| §5. არქაიზმთა სტილისტიკური ფუნქციები | 98 |
| §6. ინდივიდუალურ-საავტორო ნეოლოგიზმები | 99 |
| §7. ფრაზეოლოგიზმების სტილისტიკური ფუნქციები | 102 |
| §8. ანდაზა-აფორიზმების სტილისტიკური ფუნქციები | 112 |

| | |
|---|------------|
| §9. დისფემიზმების სტილისტიკური ფუნქციები _____ | 113 |
| თავი III. ზურაბ გორგილაძის პოეზიის სიტყვაწარმოებითი თავისებურებანი | 115 |
| §1. სახელთა წარმოება _____ | 115 |
| §2. კომპოზიტები _____ | 122 |
| თავი IV. ზურაბ გორგილაძის პოეზიის სტილისტიკური თავისებურებანი | 128 |
| §1. შედარების სტილისტიკური ფუნქციები _____ | 128 |
| §2. ეპითეტის სტილისტიკური ფუნქციები _____ | 133 |
| §3. მეტაფორის სტილისტიკური ფუნქციები _____ | 138 |
| §4. გაპიროვნების სტილისტიკური ფუნქციები _____ | 142 |
| §5. ჰიპერბოლის და ლიტოტესის სტილისტიკური ფუნქციები _____ | 143 |
| §6. პერიფრაზის სტილისტიკური ფუნქცია _____ | 145 |
| §7. ოქსიმორონის სტილისტიკური ფუნქცია _____ | 150 |
| §8. ალუზიის სტილისტიკური ფუნქცია _____ | 152 |
| §9. რეფრენის სტილისტიკური ფუნქცია _____ | 154 |
| §10. ალიტერაციის სტილისტიკური ფუნქცია _____ | 155 |
| §11. გრადაციის სტილისტიკური ფუნქცია _____ | 156 |
| დასკვნები _____ | 159 |
| შემოკლებათა განმარტებები _____ | 165 |
| გამოყენებული ლიტერატურის სია _____ | 167 |

შესავალი

მწერლის ენა და სტილი ინტერდისციპლინური კვლევის საგანია, მას შეისწავლიან არა მხოლოდ ლინგვისტები და ლიტერატურათმცოდნეები, არამედ ხელოვნებათმცოდნეები, კულტუროლოგები... ეს მათი გადაკვეთის წერტილია და კვლევის უმაღლესი საფეხურიცაა.

აღნიშნულ საკითხს ყოველთვის ეთმობოდა საგანგებო ყურადღება, ვინაიდან შემოქმედისთვის ლიტერატურის ისტორიაში სათანადო ადგილის მიკუთვნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც შესწავლილია მისი ენა და სტილი.

წერის სტილი და მანერა განასხვავებს ერთმანეთისაგან მწერლებსა და მათ შემოქმედებას. ფრანგ ბუნებისმეტყველსა და მწერალს ჟ. ლ. ბიუფონს, მიაჩნდა რომ **სტილი თვითონ ადამიანია**. რ. ბარტის აზრით, „მწერლისთვის ზოგადად სამწერლობო ენა მოედანია, რომელიც წინასწარაა მომზადებული მოქმედებისთვის....ენა მწერლისთვის მხოლოდ და მხოლოდ ჰორიზონტია... ენა თითქოს ლიტერატურის გამაა, სტილი კი ამასობაში მიღმა მდებარეობს. სპეციფიკური ხატოვნება, გამომხატველობითი მანერა, მწერლის ლექსიკონი, - ყველაფერი ეს მისი ცხოვრებითა და მისი წარსულითაა განპირობებული“ (ბარტი,2012: 17).

ვაჟა-ფშაველა წერილში „ნიჭიერი მწერალი“ წერს, რომ მწერლის ენობრივ თავისებურებებსა და სტილზე დაკვირვებით ადგენენ ავტორის ვინაობასაც: „ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ წაგიკითხავთ წინათ, შემდეგ ხელმოუწერელიც რომ შეგხვდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის ... მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზეოლოგია, საკუთარი წინადადებანი, სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდნენ, მაინც და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული, ორიგინალურობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურობისა უნდა ესვას“ (ვაჟა, 1964:104).

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ კრიტიკოსები ცდილობენ, ღრმად ჩასწვდნენ მწერლის იდეურ-მხატვრულ კონცეფციას, ლინგვისტები ენობრივ ფორმას სწავლობენ, სტილი კი ყოველივე ამას აერთიანებს.

მწერლის ენის კვლევას საზოგადოებრივ ენობრივ კვლევებთან ერთად კერძოობითი მნიშვნელობაც აქვს: არკვევს, რა შემატა მწერალმა მშობლიური ენის ლექსიკურ ფონდს და რა გავლენა მოახდინა ზოგადად მისმა ენამ და სტილმა საზოგადოების მეტყველების კულტურაზე. მოკლედ, ამგვარი კვლევა ღირებულია როგორც ზოგადი, ისე კერძო სტილისტიკისთვის. შ. ბალის მიხედვით, **ზოგადი სტილისტიკა** განიხილავს საერთო ენობრივ საშუალებებს, სტილის რაობას და **კერძო** სწავლობს კონკრეტული ენის სტილურ საკითხებს და ცალკეული პიროვნების მეტყველების ექსპრესიულ თავისებურებებს) (Балли, 1961:17).

ზურაბ გორგილაძის პირველი წიგნი - „ნედლი სალამურები“ 1961 წელს გამოვიდა. პოეტი ავტორია პოეტური კრებულებისა: „დიდი თვალეები“ (1964), „ლირიკული პოემები“ (1969), „ზღვიდან აკრეფილი კენჭები“ (1970), „ლექსები“ (1973), „სინაზე“ (1977), „ლირიკა“ (1979), „მოფერება“ (1984), „შუადღე“ (1988). მის პოეზიას ეხება ცალკეული ავტორის (ნ. ვერძაძის, შ. მახაჭაძის, ნ. ცეცხლაძის, მ. რიყვაძის და სხვათა სტატიები, ასევე ჟ. შაინიძის მონოგრაფია), მაგრამ მონოგრაფიულად და კომპლექსურად არაა შესწავლილი პოეტის ენა და სტილი. ზემოთ აღნიშნული საკითხების შესწავლა განაპირობებს **თემის აქტუალურობას**.

„ზურაბ გორგილაძის „პირჭიკჭიკა ვარსკვლავებით“ მოჭედილი პოეტური სამყარო ის იშვიათი ფენომენია, რომელიც თანაბარი ძალით ხიბლავს ნებისმიერი თაობის თუ გემოვნების მკითხველს. მის მაღლიან სტრიქონებში ყველა ადამიანი პოულობს რაღაც მისეულს, მახლობელს, ნაცნობს და ამავედროულად ჩნდება იდუმალეზა, ბოლომდე ჩაუწვდომლობის განცდაც. ზურაბ გორგილაძის კალმის ეს ორგემაგე ბუნება ბადებს მისი უკეთ შესწავლის, დაკვირვება-გაანალიზების სურვილს. პოეტურ სტილზე წერა ადვილიცაა და ძნელიც. ადვილია იმდენად, რამდენადაც ყველაფერი აშკარაა და ნათელი, სიმნელეს კი წარმოადგენს თავისთავადი და განუმეორებელი სტილის არსის კვლევა, თუ რა ქმნის მისი შემოქმედებითი მანერის თუ მიმესისის სპეციფიკას“ (ცეცხლაძე, 2006:92).

გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ „ზურაბ გორგილაძე მიეკუთვნება ხელოვანის მაღალ ვიზიონერულ ტიპს, რომელსაც აქვს უნარი მოიცვას დროის მთელი უსასრულობა-„ადამიანამდელი დრო... „ხელოვანის ამგვარ ტიპს საქმე

აქვს ადამიანის სულის წინარე სამშობლოსთან. ... ამ ტიპის ვიზიონერული შინაარსით აღვსილი სულის ხელოვანი აზრებს აპროეცირებს გარეთ, სიტყვისა და სხვა მასალის მეშვეობით“ (შაინიძე, 2016: 14).

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, ზურაბ გორგილამის პოეზიის ადგილის გარკვევა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მისი როლი და მნიშვნელობა ქართული ენის გამდიდრებაში, იმის დადგენა, თუ რა ქმნის მის პოეტურ სტილს, რომელი მხატვრული ხერხების კომბინაცია შეაპირობებს მას, რომელი სტილური ნიშანია დომინანტური. აუცილებელია, განისაზღვროს მისი პოეზიის ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებანი.

ზურაბ გორგილამის პოეტური ენა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან თემის მიზანი მისი პოეზიის პოპულარიზაცია კი არ არის, არამედ წინამდებარე ნაშრომი პოპულარული პოეზიის მეცნიერული შესწავლის ცდაა.

საამისოდ დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**: ზურაბ გორგილამის ლექსების სათაურების სპეციფიკის, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებების კვლევა; ლექსიკური და სიტყვაწარმოებითი თავისებურებების შესწავლა, სტილისტიკური ხერხების და რიტორიკული ფიგურების ანალიზი და სტილის შემაპირობებელი ფაქტორების გამოვლენა.

მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომში გამოყენებულია შედარებით-შეპირისპირებითი, სემანტიკურ-პრაგმატიკული ანალიზის, ლინგვისტური დაკვირვების და აღწერის მეთოდები.

წინამდებარე ნაშრომის **თეორიული ღირებულება** განისაზღვრება იმით, რომ იგი შეიცავს ლინგვისტიკის, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის, სტილისტიკის და ლიტერატურათცოდნეობისთვის საჭირო დაკვირვებებს და დასკვნებს.

კვლევის **პრაქტიკული ღირებულება** ისაა, რომ ნაკვლევი მასალა შეიძლება გამოვიყენოთ ქართული ენის დიალექტოლოგიის, პოეტური დისკურსის ანალიზის, ფუნქციური სტილისტიკის, პრაქტიკული სტილისტიკის (მწერლის ენა და სტილი) სწავლების დროს; შეიძლება მისი სწავლება სპეცკურსადაც.

მეცნიერული სიახლე: წინამდებარე ნაშრომში კომპლექსურად პირველადაა შესწავლილი ზურაბ გორგილაძის პოეტური ენისა და სტილი. საერთოდ არაა შესწავლილი სათაურების სპეციფიკა, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი, სიტყვაწარმოება თუ სტილის შემაპირობებელი სხვა საშუალებანი და ფაქტორები. თემის მიზანია, მეცნიერულად შეისწავლოს დიალექტიზმების სტილისტიკური ფუნქციები. გამოსაკვლევი, პოეტი რამდენად ხშირად მიმართავს სხვა კუთხის დიალექტიზმებს, უფრო ხშირად აცოცხლებს ძველ, იშვიათად ხმარებულ სიტყვებსაც თუ ქმნის ინდივიდუალურ-საავტორო ნეოლოგიზმებს. ამდენად, გადაიხედება მწერლის ენისა და დიალექტის თუ ცოცხალი მეტყველების ურთიერთმიმართების საკითხებიც.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნებისაგან. ნაშრომს თან ერთვის შემოკლებათა განმარტებანი და გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევის მართებულობა, ასევე ხაზგასმულია კვლევის აქტუალურობა, სიახლე, მიზნები და ამოცანები.

I თავში - „ზურაბ გორგილაძის პოეზიის ენობრივი თავისებურებანი“ განხილულია აღნიშნული პოეზიის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი.

II თავში- „ზურაბ გორგილაძის პოეზიის ლექსიკური თავისებურებანი“ დახასიათებულია სინონიმთა, ანტონიმთა, დიალექტიზმთა, ბარბარიზმთა, არქაიზმთა, ფრაზეოლოგიზმთა და ა.შ. სტილისტიკური ფუნქციები.

III თავი ზურაბ გორგილაძის პოეზიის სიტყვაწარმოებითი თავისებურებების განხილვას ეთმობა.

IV თავი „ზურაბ გორგილაძის პოეზიის სტილისტიკური თავისებურებანი“ ეხება შედარების, ეპითეტის, გაპიროვნების, მეტაფორის, ჰიპერბოლისა და ლიტოტესის თუ სხვათა სტილისტიკური ფუნქციების განსაზღვრას, პოეტური სტილისგანმსაზღვრელი სტილისტიკური ხერხებისა და ფიგურების გამოვლენას.

დასკვნებში მოცემულია კვლევის შედეგების განზოგადება

თავი I. ზურაბ გორგილაძის პოეზიის ენობრივი თავისებურებანი

§ 1. ზურაბ გორგილაძის ლექსების სათაურების სპეციფიკა

მეტად საყურადღებოა ისეთი ტექსტების შექმნა, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ ვიდრე მათ მკითხველი გაეცნობა, პირველ რიგში სათაურს კითხულობს, ამიტომ მთავარი აქცენტი სწორედ მასზე უნდა გაკეთდეს. სათაური კარგად უნდა იყოს შერჩეული, რადგან ის არის სავიზიტო ბარათი, რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების წარმატება-წარუმატებლობას. სათაურებიდანვე შეგვიძლია ვისაუბროთ შემოქმედის სტილის თავისებურებების შესახებ.

სათაური სიმბოლურად გადმოგვცემს ტექსტის არსს, მკითხველს ეხმარება ავტორის მთავარი იდეის გაგებაში, ამიტომ მის შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს (ჭიკაძე, 2014: 34).

„სათაურს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან პირველმა მან უნდა აღუძრას მკითხველს ტექსტის წაკითხვის სურვილი. რაც შეეხება სათაურისა და შინაარსის ურთიერთმიმართებას, პირველი განსაზღვრავს მეორეს, მეორე კი აპრობებს პირველს“ (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014: 73).

მხატვრულ ტექსტში სათაური პირდაპირ ან არაპირდაპირ, მეტაფორულად გადმოგვცემს სათქმელს. ის უნდა იყოს: სახელდებითი, ინფორმაციული და ემოციური. სათაურის ძირითადი ფუნქციაა მკითხველის პირდაპირ ან უშუალოდ ინფორმირება და მისი დაინტერესება.

განხილულ პოეზიაში მრავლადაა მარტივი ერთსიტყვიანი სათაური, რომლებიც გადმოცემულია არსებითი სახელით: „ვერისი“, „ერთგულება“, „გაფრთხილება!“, „სულხან-საბა!“, „ვაჟა-ფშაველა“, „ხატიმამული“, „ბერთვენახი“, „კახაბერი“, „სამშობლო!“, „პარადოქსი“, „ალიფაშა“, „მთები“, „გლეხი“, „კოცონი“, „ანდერძი“, „მაგნოლია“, „მინორი“, „ქარი“, „ცთომილები“, „მზე“, „სულა“, „ქუსლები“, „ძაღლი“, „მთავარი“, „სამება“, „გარიდება“, „ბულბული“, „ლექსი“, „ფიცი“, „ახირება“, „ქობულეთი“, „ხალა“, „ლადიკო“, „ქალი“, „ნაფოტი“, „მანათი“, „დათვაკაცი“.

დასახელებულთაგან უმრავლესობა კონკრეტული სახელია, აბსტრაქტული თითო-ოროლაა („ერთგულება“, გარინდება“, წინათგრძნობა). აქა-იქ გვხვდება უცხოური სახელებიც: „არმსტრონგი“, „უვერტიურა“.

ასევე უხვადაა სათაურად **მსაზღვრელ-საზღვრულიც**. **ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულია**: „ჩაუმქრალი სანთლები“, „კობტა კოლხი“, „ბედნიერი ერი“, „მნათი წინაპრული“, „ქართველი გოგონები“, „ძველი გაკვეთილები“, „ჩემი ჭეშმარიტება“, „მოგონება შორეული“, „ის შენი სიცილი“, „შუახვეური სახუმარო“, „ორი ასაკი“, „მისი მგრძნობელი“, „ჩემი სამხრეთი“, „დღემდე უთქმელი ტკივილი“. ამგვარ სათაურებში წყობა ძირითადად პრეპოზიციულია, თუმცა გვხვდება პირიქითაც: „მდუმარე ამაო“, „მნათი წინაპრული“.

სუბსტანციური მსაზღვრელ-საზღვრულის მაგალითებია: „აბოს ფერფლი“, „წარსულის ქრონიკა“, „ალვის ნაფოტი“, „სხალთის ტაძარი“, „მუზის მარაზმი“, „ომარ ხაიამის მონოლოგი“, „სიბერის ლექსი“, „მეთევზე ბიჭის ბალადა“, „შემოდგომის სერენადა“, „მანონის მონოლოგი“, „მუზის მარაზმი“, „ფურცლობის ნიშანი“.

ზმნით გადმოცემული სათაურებია: „ვულოცავ“, „წაიყვანა“, „ვმშვიდდები“, „გაფრინდნენ“, „გიჯობს“, „მომენატრეთ“, „წამოწვიმდება“...

სათაურია **ნაწილაკიც**: „მინც, მინც! იქნებ!“

სათაური-**მიმართვის** ნიმუშებია: „სიტყვავ, ბატონო!“ „ხალხო!“ „ნისლებო!“

ხშირად გვხვდება სათაური **წინადადება**: „ქარავანი მიდის, ანგელოზი მდერის“, „ეს მიწა გქონდეს“, „ყვავმა შურით შაშვი მოკლა“, „წავალ, ფინჯან ყავას მოგიტან“, „სად არის გული, რომ ვეამბორო“, „წაიქცა ქოხი, განათდა ქარი“, „დიდ ბეთლემში ვიღაც ზის“, „კახაბრის მინდორს გადაუფრენს ნისლი“, „აქ სამუდამოდ მთები მეფობენ“, „ზეცა ვნახე; ვწევარ, ტყეში, ირმებთან“... „კვდება გოგო სიცილით“, „ტირილი მდერის“..

როგორც ვხედავთ, სათაურებად გამოყენებულია მარტივი გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადებებიც. **უფორმო სათაურების** ნიმუშებია: „საქართველომ ქროლვისაო“, „და როდესაც, ამ მინდორს იქით“...

და კავშირიანი სათაურები, ანუ თანწყობილი ნომინანტებია: „გვიანი და შორეული“, „ძველი და ახალი“, „დრო და ასაკი“, „იდგენ და ელოდნენ“, „მუდამ და ახლაც“, „ისევ და ისევ“.

აქვე უნდა განვიხილოთ სათაური-სიტუანტებიც: „შენთან გასაგზავნი წერილი“, „ეგრისს იქით“, „იმიტომ ვცოცხლობ“, „საქართველოში გზაზე“, „ალბათ“, „ხმა ფერეიდნიდან“, „წერილი მთიდან“, „ლეგენდებში ვიყავი“....

საინტერესოა კითხვითი სათაურიც: „ვისი ხმა?“ „რატომ?“ „რა დროის იყო ეს საყვედური?“ „ნუთუ?“ „შერიგება?“ „და ვინმე წაგყვება?“ „თენდება?“ „მაგრამ იგი ვინ არი?“ „რა მოგივიდა?“ „გროში რაა?“ „როდის, ძვირფასო?“

კითხვა-მახილის: „რატომ?! რატომ?!“ „არჩილი?!“ „მართლა ისე როდია?!“ „ახლა?!“ „რად უყვარდათ?!“ „ნუთუ შენთან დარჩება?!“ „ამისთვის, შე კაცო?!“

სათაურად გვხვდება მახილის წინადადებაც: „თუ ძმა ხარ!“ „რას იზამ!“ „ჩემი სამშობლო ჩემი ხალხია!“ „ჰოი, შენ, ბერდედავ!“ „გაუშვი, იარონ!“ „მობრძანებულხარ, გელოდი!“ „მუდარა!“ „არაფრის და იმის გამო!“

ბრძანებითი წინადადება იშვიათად გვხვდება სათაურად: „იარე ამ კიბით!“

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში მკითხველის ყურადღებას იქცევს სათაურად გამოყენებული ნაწყვეტი წინადადება: „როგორც ზარზმა და ხიხანი“, „დანისპარაულს რომ გასცილდები“, „საფარა, როგორც“, „მაინც, ხსოვნა უკვდავია სულ“; „წმინდა, როგორც მსუბუქი“, „არც არაფერს ვამეტებ“, „ბოდიში, მაგრამ“ „...მაგრამ, ვაი, რომ...“ „ვუღიმი?!- ვინ იცის“.

ზოგჯერ გვხვდება პრეზენტაციული სათაურიც: „მიწიერება- ოფლი-პატიოსნება.“

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში გვხვდება ერთსიტყვიანი ნომინანტები, უმეტესობა კონკრეტული არსებითი სახელია. აბსტრაქტული და უცხოური არსებითი სახელი სათაურად აქა-იქ გვხვდება. აქ ატრიბუტულმსაზღვრელიანი ჭარბობს სუნსტანციურს, საზღვრულად დომინანტურია ზედსართავი სახელი: მზიანი, ვნებიანი, მშვენიერი, კოხტა. მას მოსდევს ნაცვალსახელი: ჩვენი, ჩემი, მისი.

სათაურ-წინადადებათაგან ყველაზე ხშირია თხრობითი კილოს სათაურები. ამავე ფუნქციით გვხვდება კითხვითი, კითხვით-მახილის და ბრძანებითი კილოს წინადადებები.

ზურაბ გორგილაძის პოეზიის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს იმგვარ სათაურთა გამოყენება, რომლებიც სიტუანტებია. ნაწყვეტი წინადადებაა: „გზაზე“, „ალბათ“, „ბოლოს!“..., „საფარა, როგორც“, „მაგრამ ვაი, რომ“. ამგვარი ხერხით პოეტი აღძრავს ინტერესს, თუ რა იგულისხმება გამოტოვებული წევრის ადგილას.

სათაურებიდანვე ჩანს პოეტის **პატრიოტული მგზნებარება** („საქართველომ ქროლვისაო“, „ეგრისს იქით“, „საქართველოში, გზაზე“, „ხმა ფერეიდნიდან“, „წერილი მთიდან“, „დანისპარაულს რომ გასცილდები“).

ზოგი სათაური სიტყვა-კონცეპტია: მაგ. „**ხატიმამული**“, „რომელიც მრავალმხრივი დეკოდირების საფუძველს იძლევა: რეალურ პლანში ბიოლოგიური მამისკენ ლტოლვას გადმომოგვცემს, ირეალურ პლანში- ზეციური მამისკენ მისწრაფებას, კონკრეტულ მიმართებაში-ადგილი, სადაც ბავშვობა გაატარა და ზოგად კონტექსტში-სამშობლოს, მამულს გამოხატავს“ (შაინიძე, 2016: 111).

„მიგნებული, ღრმააზროვანი კომპოზიტია „ხატიმამული“, უმშვენიერესი, გულწრფელი, მომხიბლავი სათაური. მასში იგრძნობა სამყაროს პირველყოფილი აღქმის უმანკოება, გამჭვირვალება, სიფაქიზე, ხოლო თითქოს სულ უმნიშვნელო ყოფითი დეტალების საშუალებით მიიღწევა გასაოცარი ინტიმურობა“ (მახაჭაძე, 2006:558).

„**ჩაუმქრალი სანთლები**“ აჭარელი კაცის დაუდგმელი ბრძოლის სიმბოლოა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. „**უმღერებელი მუხამბაზის**“ ავტორი ნაწილ-ნაწილ დაფლეთის, მისი სისხლისგან დაცლის მომსწრეა, ამიტომაცაა მუხამბაზი უმღერებელი, მძვინვარე.

ლექსი-„**წყალს ნაფოტი**“ სათაურიდანვე ეხმიანება, დიალოგს მართავს ხალხურ პოეზიის მარგალიტთან.

„წყალო დადექ და მიაძმე საყვარლის შემონათვალი“. პოეტი განსაკუთრებით წუხს იმის გამო, რომ უცხო აღმსარებლობის შემოტანას სხვა არასასურველი ტენდენციებიც მოჰყვება აჭარაში. ქრისტიანულ რწმენასთან ერთად, ქართულ ენასაც დაემუქრება საფრთხე“ (შაინიძე, 2016:54).

ზურაბ გორგილაძის პოეზიიდან ნათლად ჩანს, რომ სათაური არის დამოუკიდებელი ტექსტი, რომლითაც პოეტს შეუძლია გადმოგვცეს ღრმა შინაარსი: ერის ისტორია, მისი სატიკივარი, ხსოვნის ერთგულება, ენის სიწმინდის დაცვის აუცილებლობა. ზოგი სათაურიდან ჩანს სატირა და სარკამი: „ბედნიერი ერი“.

ამრიგად, ზურაბ გორგილაძის პოეზიაში სათაური პირდაპირ ან არაპირდაპირ, მეტაფორულად გადმოგვცემს სათქმელს. ზოგადად ყველა სათაური სახელდებითია, ინფორმაციული და ემოციურიც. პოეტი შესანიშნავად ახერხებს მკითხველის პირდაპირ ან უშუალოდ ინფორმირებას და დაინტერესებას.

§2. ზურაბ გორგილაძის პოეტური ენის ფონეტიკური თავისებურებანი

ზურაბ გორგილაძის პოეტური ენის ფონეტიკურ თავისებურებათაგან თვალში საცემია ბგერის ჩართვა, რომელიც ზოგადად ცოცხალი მეტყველების და კერძოდ, აჭარული დიალექტის საზოგადო ნიშანია: **გემზრიელი, დამჩვარული, თვალმარყვალა.**

ჩართულია სხვადასხვა ბგერა: **ბ, რ, ნ, მ, ხ და ა. შ.**

ბ-ს ჩართვა:

„ვაჰმე, წვეთმც ჩამაყლაპინა

რა **გემზრიელი** არიო“ (გორგ. 2012 : 5).

რ-ს ჩართვა:

„ჩოლოქს გაღმა გოგო იდგა

გულგუნდა და **თვალმარყვალა**“ (გორგ. 2012: 15).

მაინც რა ხსენით **გამწურწე**, ქართული მიწის ჯიქანო (გორგ. 1988:78).

ნ-ს ჩართვა:

„გამომიყვანს ბოლო ტყიდან,
გზა ბრუნდე თუ მართალი“ (გორგ. 2012: 528).
„მორჩა! ბრუნდის ბრუნვა მორჩა“ (გორგ. 2012: 119).
რომ **ოჭვანთოდან** არ უჭვრიტონ სამშობლოს პოეტს!“ (გორგ.2012:537).
თავოს მთვარე თავდგირიძის **თუნთასავით** მკოცნიდაო“ (გორგ.2006:73).

მ-ს ჩართვა:

„და **დამჩვარული** ყოფნის დარებით,
ველარ დაჰქროდა სულში ქნარები“ (გორგ.2006:197).
„**შენამქუხარი** დროსთან, გული იმედით წყნარობს,
საით წამიყვან, შოთას უკიდევანო ქნარო?!“ (გორგ.2006:200).

ქ-ს ჩართვა:

„ცაში ვაზი აყვავილდა, ეზოკარში **ქვიშა** ბალი“ (გორგ. 2012: 352).

ხ-ს ჩართვა:

„ჰგონიათ, ქართულ სიტყვასთან ალერსს,
სჭირდება ერთი **თხლაშო** არაყი“ (გორგ.2006:102).
„სანამდე უნდა ვკრიფო მოთმენით,
ნაფშვენნი შენი ცხელი ზოდების“ (გორგ. 2012: 12).

აქვე უნდა განვიხილოთ სიტყვა **გარგანიც**. ეს ფორმა პოეტს უდავოდ მშობლიური კილოდან აქვს შესისხლხორცეული და მისი ინდივიდუალური თავისებურებაა:

„მას დღესაც ბევრი აქვს ჯავრი და წყლული
და არე- მიდამოს **გარგანით** უვლის“ (გორგ. 2012:112).

აქვე დასტურდება ზმნისწინისეული ხმოვნის **ასიმილაცია და დისიმილაცია**ც რომელიც აჭარული დიალექტისთვისაა დამახასიათებელი:

„შიგნი-შიგნი **ჩევიფუფე**
აჭარელი ვიყავ განა!“ (გორგ. 2012:15).
„გოვ, კისერში **ჩეგეფუნჩხე**, -
ჩემებურა ვკადრე მარა“ (გორგ.2006:11).
„მეც ღერივით შევღერლეტდი,

ნენემ დიმინიშნა ქალი“ (გორგ. 2012: 352).

„დეიზრდება, დეივივლებს ჭიორაი ჭუჭულები“ (გორგ. 2012: 397).

„ზებურაის ზევზექს გიევიდა ზექიეი ჩვენი“ (გორგ. 1988: 33);

„ნენემ ერთი შეფაშფაშდა, მზიებით გიევსო თვალი“ (გორგ. 1988: 227).

ბგერათმონაცვლეობა. ზურაბ გორგილაძის პოეზიაში გვხვდება ვ/მ/ ბ ზ/მ, თ/ჩ სუბსტიტუციის შემთხვევები: **ვარსკვლავი/ მარსკვლავი, აბლი/ ავლი, ძინთი/ ზიმთი, კუჩხე/ კუთხე...**

„აბა ცას და იმ მარსკვლავებ,

ისე სად დავენახვები?“ (გორგ. 2006: 327).

„ვინ მიბოძა საკუთარი ჩრდილი

და ფოთლების იდუმალი აბლი“ (გორგ. 2012: 123).

„ ძარღვებში და დამჟაულ ტყავების ძინთში

ქარში და ჟვავში შეღებილი ხეშეში ბეწვით“ (გორგ. 2012: 204).

„გათხოვა უნდა ამ ციაქალს, გათხოვა უნდა,

ქმარი უნდა და კუჩხე-სახლის გაწყობა უნდა“ (გორგ. 2012: 372).

აქვე გვხვდება ფორმა პარალელური ფორმებიც: **რიარიე//რიარია:**

„ გაზაფხული მივაგებე მზეს

და ყლორტების რიარიე ვახარე“ (გორგ. 2012: 179).

ბდგინავს რიარია ფერთა“ (გორგ. 2006: 72).

რიარიეს ტიპის ფორმები გავრცელებულია ქობულეთურ კილოკავში, დადასტურებულია ქვემოიმერულშიც: **დეიდე, ბაბუე, ნათლიე, კერიე, გოგიე** და მისთანა ფორმებს, რომელთაც დიფტონგიზაციის ნიმუშებად მიიჩნევენ: „აქ ი კი არ დასუსტებულა ე- დ, ფუძის ბოლოკიდურა ა შეუცვლია ე-დ, შემდეგ ისევ დიფტონგიზაცია წასულა: კერიე <კერიე <კერიე <კერიაი“ (კახაძე, 1953: 122).

საანალიზო მასალაში გვხვდება უ-სა და ვ'-ს მონაცვლეობაც: **ტყუილი/ ტყვილი.** უკანასკნელი სიტყვა აჭარული კილოსთვისაა ნიშანდობლივი:

„რად გგონია დავიჯერო ეს ეშმაკი ტყვილები“ (გორგ. 2012: 357).

დურბალა-დუნბელა, - ამ სიტყვაში ორი ფონეტიკური მოვლენაა.

„შენგნით ჩემზე **შხამ-დუნბელა** ენთხიოთ“ (გორგ.2006:20).

პოეტი სტილიზაციის იყენებს არქაულ ფონეტიკურ ფორმებსაც: **ფერხი, ბჰისკარი, სოველი**:

„და ვუმწყემსავ ქვეყანას ქვეყნის სიმყუდროვემდე,

ტახტის **ფერხით** მორთხმულ თუ დამხობილ პოეტებს“ (გორგ. 2012: 189);

ფერხით დაუდგენ კრძალვითა,

ვერ გაუსწორეს თვალიო“ (გორგ.2006:5).

„შაჰს და ხონთქარს რომ უფენდა **ფერხით**“ (გორგ.2006:503).

„დადიას **ბჰისკარს** მიჰქეჰკილი შენ გიპარავდი,

ცხენის მაგიერ შენ გიპარავდი“ (გორგ.2012:33).

აქვე უნდა დავასახელოთ **სოველიც**: „წამწამების **სოველ** ქოხში ღამე უნდა გაეთია“ (გორგ. 2012: 532).

სოველი უძველესი ფორმაა. ამ სიტყვამ დროთა განმავლობაში შეიცვალა სახე და მივიღეთ **სველი**: სოვლ < სოველ (დასოვლება).

სალიტერატურო ენის ისტორიისა და ენის ისტორიის ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით ზ. სარჯველაძე საგანგებოდ მსჯელობს ამ ფუძისაგან ნაწარმოებ ფორმებზე, იმოწმებს მაგალითებს: **დასოვლდენ** წყალთაგან (A-35. 2რ); ერთი ნაწილი **შეისოვლოს** (პარიზის ლექც. 252); ვითარცა სამოსელი სისხლითა დასოვლებულ და შეღებულ არნ (შატბ. კრებ. 163, 19); მეპურემან ... განჰკიდა სამოსელი, რომელი დასოვლებულ იყო (მ. ცხ. ბრიტ. 58, 15).

ზ. სარჯველაძეს „ამოსავალ ფორმად, არქეტიპად მიაჩნია საერთო-ქართველური **სოველ**, რომლისგანაც უნდა იყოს მიღებული დღევანდელი ლიტერატურული სველი: სოველი>სუელი>სველი“ (სარჯველაძე, 1984:107).

ძველ ქართულში არა გვაქვს **სოველი**, არც სამხრულ დიალექტებშია იგი, მაგრამ ქობულეთის რაიონის მკვიდრთა მეტყველებაში ნორმად ითვლება **სობელი**, რომელიც **სოველ** ფორმის ვარიანტად შეიძლება ჩავთვალოთ: ვ-ს ენაცვლება ბ. **სობელი** გვხვდება გურულშიც (ღლონტი, 1984).

„**გარნა** ყოველი გასრულდა, გარნა? (გორგ.2006:64).

„ნუთუ შენ მართლა ფარდალალა ქოხში **დაშთები**?“ (გორგ.2006:219);

„ამაოდ დაშთი, შთაგონებავ, ამაოდ დაშთი... (გორგ. 2012:193).

აქვე გვხვდება გაორმაგებული თანხმონებიც, რაც ასევე სტილიზაციით აიხსნება: „იდუმალი სამეფო, ფერთა, ჩრდილთა, გამმათა (გორგ. 2012: 161).

„ნუთუ შენს მაღალ მთლიანობას ჟინი მოება?

მანონის სისხლის, მავნის ნერვის, ანნას ყვავილის?“ (გორგ. 1988:20).

ამრიგად, ზურაბ გორგილადის პოეზიის ფონეტიკური თავისებურებანი ძირითადად ცოცხალი მეტყველების გავლენით აიხსნება. არქაიზაციის მიზნით პოეტი ზოგჯერ იყენებს არქაულ ფონეტიკურ ფორმებს და ინდივიდუალიზმებს.

§ 3. ზურაბ გორგილადის პოეზიის მორფოლოგიური თავისებურებანი

3.1.საზოგადო არსებითი სახელის ანალიზისას ყურადღებას ვაქცევთ თავისებურებებს ბრუნებისას, ბრუნვის ნიშნებს, ემფატიკური ხმოვნის სიხშირესა და ადგილს, საკუთარ სახელთა სისტემას ბრუნების თვალსაზრისით და მათ გარკვეული ემოციური დატვირთვით გამოყენებას.

როგორც ცნობილია, დამავალი დიფთონგის მოშლის პროცესი ორი გზით წარიმართა: 1. დაიკარგა ე, როგორც ეს ზემომოყვანილ მაგალითებში გვაქვს და 2. ე გადაიქცა სრულ ხმოვნად. ქართული ენის დიალექტები გვიჩვენებენ ამ ორივე გზის შედეგებს. ანალოგიურია „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული ფორმები: **ერთაი, ცოტაი, პაშტაი, ყველაი, ყველაკაი**“ (სარჯველაძე, 1984: 289).

იოტა ყველა გამოცემაში სრული ი-თ არის გადმოცემული. აქ რომ ნახევარხმოვანია, ამაზე მიგვანიშნებს მარცვალთრაოდენობაც. მოვიყვანო სათანადო მაგალითებს:

„მსურს კისერზე მოვიძენძო

ძენწმანურაი ვენახები“ (გორგ. 2012: 316).

„დეიზრდება, დეიყივლებს ი **ჭიორაი** ჭუჭულები“ (გორგ. 2012: 397).

„**ჭვავტოტაი** და **ალვისტანაი**

ნენემ დიმიანიშა ქალი,

ნამბულიდან შემომბლავის

შუბლიკვერაი ნიშა ხარი“ (გორგ. 2012: 352).

თანხმოვანფუძიან სახელებთან მოთხრობითი ბრუნვის ძველი ნიშანიც გვაქვს და ახალიც.

„ჩვენი იუსუფ კობალაძის **ყაბალახმა,**

ჩვენი ნანა გვარიშვილის **მანდილმა?!“** (გორგ. 2012:104).

ან კიდევ: „ვხედავ, უბეში **ბაღმა,** მზე მტევანივით ჩადო“ (გორგ.2012:104).

ზოგჯერ ძველი და ახალი დაბოლოებანი ტაეპში ერთმანეთის გვერდიგვერდაა გამოყენებული და ამით მარცვალთრაოდენობაა მოწესრიგებული:

„დე, გიკურთხოს მხარი მთელი

ამ **მიწამ** და **სუფთა ცამან“** (გორგ. 2006: 9).

გვხვდება შემთხვევაც, როცა ძველი და ახალი ფორმების გამოყენებას არანაირი ფაქტორი არ განაპირობებს:

„რა მოგცა წინაპრის გვირგვინით **ტრაბახმა?!“**

ან თავზე **ქირქილმან** ღვთისაგან?“ (გორგ.2012:87)

ნათესაობით, მოქმედებითა და ვითარებით ბრუნვებში თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნებისას შემდეგი სურათი გვაქვს: კუმშვადი სახელი არაა შეკუმშული, რაც განპირობებულია მარცვალთრაოდენობით:

„**მეზობელის** გოგოსავით გაუშავდა თვალი მტევანს“ (გორგ.2012:26).

„ციხის ნეკნები, ჟანგი და ყორე,

„**გჭრი** მარმარილოს, **საჭრეთელის** მომწონს ძგერება“ (გორგ.2012:77).

„თამარი **ოპიზარის** **საჭრეთელით** დიადობდა,

ვარძია ოცნებობდა ქვაში,

ახლა აღარ გზარავს ზახი ნადირ-შაჰის,

თავსხმა **თათარის** თუ ლეკის“ (გორგ.2012:36-37).

„**კახაბერის** მინდორს გადაუფრენს ნისლი,

ვაშლოვანის ნისლი, მარადიდის ნისლი“ (გორგ.2012:84).

„...გუმბათი-ლურჯი **ლერწამის** ღერი,

რომელიც კვნესის, რომელიც მღერის“ (გორგ.2012:97).

„ოცი წლის მანძილზე ერთხელ არ მეღირსა,
კვალში მივყოლოდი მშობელის ფეხის ხმას“ (გორგ.2012:249).
„მამა რად მიქციე დედინაცვალად დედა?“ (გორგ.2012:297).
კუმშვადი სახელი უკუმშველია მრავლობით რიცხვშიც:
„...შენს ფუნჯებს და საჭრეთელებს შენს“ (გორგ.2006:157).
„და ჩემთა კერპთა ცისფერ ძვლებზე
დავაწერ ახალ ლექსის თარიღებს“ (გორგ.2012:171).

ძველ ქართულში უკუმშველი იყო ის სახელი, რომელიც დღეს კუმშვადია. სამაგიეროდ, იკუმშებოდა ის სახელები, რომლებიც დღეს უკუმშველია: ვეშპის, ძლის, მკრდის. უკუმშველობა ზოგადად ქვემოაჭარულს ახასიათებს (ეკალის, წყალის, ძვალის, ქმარის), მაშინ, როცა ზოგი სიტყვა ხულოს რაიონის მკვიდრთა, უფრო მოხუცებულთა მეტყველებაში შეკუმშულია სახელობით ბრუნვაშიც კი: ღრუბლი, ურმი, ნაღბი, წამწმები... (ნიჟარაძე, 1971: 126).

შეკუმშულ ფორმათა გამოყენებისასაც ლექსთწყობაა განმსაზღვრელი: ჩირაღდნით (გორგ.2012:13); ხმლით (გორგ.2006:524); თათრის (გორგ. 2012: 375); ტაძრის (იქვე, 387).

მარცვალთრაოდენობის გამო ტაეპში ზოგჯერ ერთმანეთის გვერდიგვერდაა შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები:

„ციხის ნეკნები, ჟანგი და ყორე,
მტრის თუ მოყვარის კერძია მუდამ“ (გორგ. 2012: 28).

ეს თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ზ. გორგილაძის პოეზიაში კუმშვა-უკუმშველობას ლექსთწყობა განაპირობებს.

ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელების ბრუნებისას ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება არქაული დაბოლოება:

„დღეს შენს სიყვარულს,-
საღამოს დახლის სუნი აქვს“ (გორგ.2012:381).
„...და თუ ჩემს სიცილს,
რუის პირზე ატეხილ ჭალას,
ვერ შეეგუე,-

განა ჩემი ბრალთა, განა?“(გორგ. 2006:249).

ან კიდევ:

„**ციცაის** თავსაფარში გამოკოჭე...“(გორგ. 2006:85).

იგივე ვითარება გვაქვს ანთროპონიმებსა და გეოგრაფიულ სახელებთანაც:

„გახსოვს როგორ იდექ გასხაპული

შენი **გოგაის** ლოგინთან?“(გორგ.2006:537).

„ბეთლემის კარზე ჰკიდია

ოქა **ჯურხაის** კარიო“ (გორგ. 2012: 88).

„ ჩემი ჩონგურის ჩოჩქოლით ისევ,

სულს გაღვიძებულ **საქართველოს**,

ვუხსნი იმ წლების უამურ სიზმრებს“ (გორგ. 2012:545).

სული გაღვიძებული საქართველოსა პოსტპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრულის ნიმუშია. დღეს პრეპოზიცია გვაქვს: **გაღვიძებული საქართველოს სული**. ფორმა- **საქართველოს** მსაზღვრელ-საზღვრულის წყობამ განაპირობა.

არნ. ჩიქობავას მიხედვით, ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითს გამოვლილი აქვს განვითარების სამი საფეხური: XII საუკუნემდე გვექონდა **წყაროძსა; წყაროძთა**; XII-XVIII საუკუნეებში - **წყაროსა; წყაროთა**. **თანამედროვე ფორმებია: წყაროსი; წყაროთი**. XII-XIII საუკუნეების სალიტერატურო ქართულში **ღ** უკვე დაკარგულია ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში, „ამიტომ არქაიზაციის ბეჭედი აზის ფორმას „საქართველოსას“ XIII საუკუნის II ნახევრის საბუთში, დავით ნარინის სიგელში (1266-1268) (ჩიქობავა, 1954: 113).

ამგვარი არქაული ფორმები, მართალია, აჭარული კილოს, კერძოდ, ქვემოაჭარულის კუთვნილებაა, მაგრამ ზურაბ გორგილაძის პოეზიაში მათ გამოყენებას მარცვალთრაოდენობა განსაზღვრავს. თანამედროვე ფორმების გამოყენებას კი ამასთან ერთად განაპირობებს რითმაც:

„შენც, ჩემო მზეო, ბდღვიალავ, მობრძანებულხარ, გელოდი,

სარფიდან დარიალამდე შევძრულვარ **საქართველოთი**“ (გორგ. 2012:44).

„ რა უმანკოა ეს სიჩუმე და უმშვენესი.

როგორც მოწყენა, როგორც სევდა მიმქრალ **ნენესი**“ (გორგ. 2012:185).

„ღია ღილკილოს ვიმკობ **იათი**,

ქართი მივყვები ქორებს

მთელი ბუნებით და ხასიათით (გორგ.2012:342).

„ისევ შენი გზისპირები გალუმპული **იათი**,

ხეობაში ხინოს წყალი, პური და განთიადი“ (გორგ. 2012:116).

ზემოთქმულსვე ადასტურებს კვეცად ფორმათა გამოყენებაც:

„ვინ შეაზავა ეს ჰაერი საკმევლით, **ით?**

ან გრილი მტევნის ბინდბუნდებით, ან კვამლის ხვით?

ან შეღამების შეღონებით, ან მელოდიით?“ (გორგ. 2012:177).

ქვემოთყვანილ მაგალითში გართმულ სახელთა მარცვალთრაოდენობაც ერთნაირია:

„ავი სურნელიც ბრუნავს **კამასი**,

მე სიყვარული ლამაზი მქონდა-

და ყველაფერი მქონდა ლამაზი“ (გორგ. 2006:326).

ემფატიკური ხმოვანი ზურაბ გორგილადის პოეზიაში გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხმოვანი არ ახასიათებს აჭარულს, მეტადრე, ქვემოაჭარულს.

„უმიზეზო ტკივილები გაქრა,

საფეთქლებიც უცნაური ცემაც.

განთიადმა მაღიარა, მაგრამ

ადრეაო-იგრილა **მზემა**“ (გორგ. 2012: 217).

„ცას ზარავდა აზიისას, სტვენა ლახტის და **ისრისა**,

შენს ცხენებქვეშ რა ქვეყნები, რა ხალხები დაისრისა“ (გორგ. 2012: 48).

„ვდგავარ და ხევხუვს ჩავძახი, აყვავებული ბორცვიდან,

გავძახი მთებს და სათიბებს,

ჩემი ჯან-ღონით **მორცხვითა**“ (გორგ. 2012: 384).

„რომელი ხემშიაშვილი, ჩემი მწეწდა და მძომნიდა,

ადექ შენ ბერთემბელაო, ამოსაგდებო **კორძითა**“ (გორგ. 2012: 384).

„რამდენი ლომთავა, რამდენი მგელთავა,
მეფესთან კნაოდნენ,
ყოდნენ **გლებთანა**“ (გორგ. 2012: 181).

რითმა განსაზღვრავს სავრცობი ხმოვნის გამოყენებას შემდეგ შემთხვევებშიც:
ცემა- მზემა (გორგ. 2012: 219), **წავიდა-დავითა** (იქვე, 512), **დაგვითა- წავიდა** (იქვე,
512).

მარცვალთრაოდენობა განსაზღვრავს ემფატიკური ხმოვნის გამოყენებას
შემდეგ ტაეპში:

„მომდგარა მოყვასთა, მოშურნეთა,
მეგობართა, მეძავთა,
მქუცავთა, მკუწავთა **არმადა**“ (გორგ. 2012: 450).

„ ვულოცავ...“

მის ჩანგს და საჭრეთელს,

მის გრდემლს და უროსა

...მის სარაინდოს და საუფლისწულოსა

... ვინც ახლა ფურცლავ და ფურტკნავ **ლილკილოსა**,

მაგ **სიყვარულისათვის**, მაგ **თანაგრძნობისათვის**,

მაგ ჩემი **თრთოლვისათვის**

გეხვევი, გილოცავ!“ (გორგ. 2012: 558).

საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურებანი. საყურადღებოა საკუთარი
სახელის წოდებითი ბრუნვის ფორმებიც:

„გევედრები, ნუ ხარო

ჩემო მძუძევ, **მურმანო!**

ნათლიმამავ, **მუხრანო!**“ (გორგ.2006:140).

„რად გამიგულისდი, შავრუჯა **ლომინავ**,

შენი რომელი ლონდრე და ლომა ვარ“ (გორგ. 2012: 7).

„... მე გაგქურდე **სულხან-საბავ**,

რომ დამეცვა „იავნანა““ (გორგ. 2012: 7).

„ეს რა დამმართე, რა მიყავი,

მუხრანავ, ბიჭო!“ (გორგ. 2012: 407).

„**ჰოი, შენ, შავლეგოვ, ხვთისოვ და ღვთისავარ** (გორგ. 2012: 87).

გამარჯობა, ფაიყავ,

გამარჯობა, ფიქრიევ და ესმევ!“ (გორგ. 2012: 532).

აღნიშნულ მაგალითებში წოდებითში-„ო“ ს გამოყენებას განაპირობებს ზმნა **ხარო**, „ლომანავ- დამხმარე ზმნა **ვარ: ლომა ვარ**“.

ანალოგიურ ფაქტებს ვაწყდებით წერილობით ძეგლებშიც: X-XII საუკუნეების ძეგლებში საკუთარ სახელებს ზოგჯერ წოდებითში დაერთვის ნიშანი: „**ბასილო**, შენ მცხეთას მამასახლისად დასდგები“ (ხანძთ.); უცხო ტომნი შენ ზედა **სამფსონო!**“; „**ჰე ასმათო**, მოგვივიდა მოწყალება ღმრთისა ზენით“ („ვტ.“).

ამგვარ ფორმათა შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „აჭარულ დიალექტში ო სუფიქსი ჭვანის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში პატივისცემის ნიშნად დაერთვის საკუთარ სახელს: **დემურალო, ბილალო. ვ**, პირიქით, კნინობითი მნიშვნელობისაა: **ჯემალავ, ბილალავ, დემურალავ**“ (ნოლაიდელი, 1972).

პოეტი, იცნობს ამგვარ ფორმებს და იყენებს ლექსთწყობის საჭიროებისთვის, ამასთანავე, კუთხის კოლორიტსაც ქმნის, მათი გამოყენების სემანტიკური საფუძველი კი ნაკლებად ჩანს.

არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვი. ქართულში ორგვარი მრავლობითი გვაქვს: ნართანიანი და ებიანი. განხილულ პოეზიაში ისინი თანაბარი სტილისტიკური ძალისა არ არის. თანიანი ფორმები ძირითადად რითმას ქმნის და არქაიზაციას ან ექსპრესიულობას ემსახურება:

„**აზღვლებულ სანახებში, ნამუხლარში დევთა,**

ენგურს მიაქვს მთვარესავით სამეგრელოს **სევდა**“ (გორგ. 2012:28).

„**რამეთუ ჟამია რინდთა და რეგვენთა**

რამეთუ დრო გვამლევს რაინდულ **შეკვეთას**“ (გორგ. 2012:50);

„**მე კი, მე, მარად მინდობილი იდუმალ ხმათა,**

ვდგავარ და ვუცდი ჩემი ქოხის გაღებულ კართან“ (გორგ.2006:256);

„ინახავს პირველ ატირებას ხსნად და იმედად,
მიყვები ჩუმად, საფეხურებს ნაცნობ კიბეთა“ (გორგ. 2012:344).
„ქიციინისთვის და ლიქნისთვის დღენიადაგ?
საით? გრგვინვა კოლხიანთა, კახთა და იბერიანთა“ (გორგ.2012:120).

„გაჩხრიკეთ გუჯრები გარდასულთა,
სხვის ჭიშკარს, სხვის ღობეს, სხვის ალაგეს
ქართველი არასოდეს გადასულა“ (გორგ. 2012:49).

„იდუმალი სამეფო, ფერთა, ჩრდილთა, გამმათა,
აქ ვერაგულ სკანდალებს, ვერაფერთან გამართაგ!“ (გორგ. 2012: 161).

ამგვარი ფორმა სხვაც ბევრია ზურაბ გორგილაძის პოეზიაში: ნათელთა-
გათენდა (გორგ. 2012:78); ვნებათა - შეგემატა (იქვე, 258); სხალთა- თვალთა
(იქვე,258); დევთა- სევდა (იქვე,28). ნათელთა- გათენდა (იქვე,78), ვნებათა-
დაგემართა (იქვე, 361), უნდოდა- უნდოთა (იქვე, 206), კალთა- ფრთათა (იქვე,98),
ფეთქვა-ფერთა (იქვე, 171); ფეთქვა-ფერთა (იქვე,171), იბერიანთა-დღენიადაგ
(იქვე,112); სხვანი- დღვანი (იქვე,137).

ხშირ შემთხვევაში ნართანიანი მრავლობითი რიცხვის გამოყენებას
მარცვალთრაოდენობა განაპირობებს:

„რაც ჩვენთა დედათა ოდესმე ამკობდათ,
რითაც წარსულის ფოლიანტები
და მომავალი ლაპარაკობდა (გორგ.2012:391).

„სულ აკვნის ღინჭილო, სულ გულის ფანცქალო,
სალმობის ლოდთაგან მირონის წკანწკარო“ (გორგ.2012:50).

„კმარა! ბოგინია ბრმათა და უგუნურთა,
შენ რომ გახევება გზარავს“ (გორგ.2012:37).

„ძლიერთა ბევრი დაწყდნენ მშვილდები,
მაშინაც, როცა სხვას მორჩილდები“ (გორგ.2012:334).

„კი, ციხეთ ნეკნებში ღველფია ბებერი,
გვეოლია მონანი, გმირნი და მეფენი“ (გორგ.2012:87).

ზოგჯერ პოეტი ნართანიან მრავლობითს მაშინაც ამჯობინებს, როცა მარცვალთრაოდენობა არ იცვლება, ასეთი შემთხვევები ყველაზე მეტად საინტერესოა:

„**შვილთა** სხვა მირონით ნათლავს და ეუფლება,

შენი ხვატია თუ გრილო“(გორგ.2012:37).

ზოგჯერ აშკარაა, რომ ნართანიანი მრავლობითი რიცხვის ფორმები მეტ სილამაზეს ანიჭებს სათქმელს:

„**წყალნი** წითლად დიოდნენო

განგაშებენ **შვილნი** შენნი....

„აღსდექ და აღორძინდიო,

ბუკებს სცემენ **შვილნი** შენნი“(გორგ.2012:30).

დავადასტურეთ ორმაგი მრავლობითის ფორმაც: **თქვარნები**

თქვარნებს კვირტები სრუტუნით სვამდნენ (გორგ. 2012: 259).

ამრიგად, ზურაბ გორგილამის პოეზიაში ნართანიანი მრავლობითი ხშირად გამოიყენება. მისი გამოყენება ძირითადად ლექსთწყობით არის გამოწვეული, იშვიათად მარცვალთრაოდენობით. მათ პოეტი იყენებს ფრაზისთვის ექსპრესიულობის მისანიჭებლად და ექსპრესიულობისთვისაც.

თავისებურებანი მრავლობითი რიცხვის წარმოებისას. ზურაბ გორგილამის პოეზიაში უხვადაა მრავლობით რიცხვში დასმული ისეთი სახელი, რომელთაც საერთოდ არ ეწარმოებათ რიცხვი. ესენია: **ელდა, მადლი, მზე.**

ამას ზოგჯერ რითმა განსაზღვრავს:

„წიფლიძირის ძირკვებზე დაფენილი **კატრები**,

...დიდი ნენეს **ხათრები**, პაწა ნენეს **მადლები**,

ყველაფერი ჩემშია, ბრიალებს და იწვის...“(გორგ.2012:53).

.....დახვითქულ კოკობებს დახეთქავს **ელდები**

და გაშმაგებული გონიოს **ფერდები**

უხსოვარ ჟრუანტელს დაიბნევს პერანგზე“ (გორგ.2012:107).

.....გამონელდება ყველა **ელდები**,

ხალხის ხატიონს შეჰბედე, დედა,

ურწმუნო ვარ და რწმენით ვბერდები. “

ზოგჯერ კი მარცვალთრაოდენობაა განმსაზღვრელი:

„სურო და ხავსი ლოდთა შიგან თუმცა ფათურობს,

ახალ მზეებსაც მღელვარებით ღრეობს კარიბჭე“ (გორგ.2012:33).

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ხშირად მრავლობით რიცხვში დგას საწყისი და აბსტრაქტული სახელიც: **ღალატი, მკვლელობა**, რითაც მოქმედების ინტენსიურობა გადმოიცემა:

„გადაჰყოლოდი განთქმულ დღეობებს,

ათას **ღალატებს**, ათას **მკვლელობებს**“ (გორგ.2012:371).

ზოგჯერ ფორმით აბსტრაქტული სახელი კონკრეტულია, რაც ასევე რითმითაა განპირობებული: **აღმართის** ნაცვლად გამოყენებულია **აღმართობა**, **ალის** ნაცვლად-**ალობა**.

„ვაჟას ქალამნები ეცვა, წინ სულ ედო **აღმართობა**,

კუბოშიც კი ძველთაძველი ფეხსაცმელი ... **ახმატოვას**“ (გორგ.2012:111).

„დამწვარ სანთელთა მძაფრი **ალობა**

დგას და სისხლიან დიდებას ერთვის,

აჭარის მთების ერთი **გალობა**“ (გორგ. 2006:43).

ამრიგად, ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ხშირად გამოიყენება ისეთ არსებით სახელთა მრავლობითის ფორმები, რომლებსაც საერთოდ არ ეწარმოება ის. ეს შეპირობებულია მარცვალთრაოდენობით, ან მანკიერებათა ინტენსიურობის გადმოსაცემად. ზოგჯერ ფორმით აბსტრაქტული სახელი კონკრეტულია, რასაც ასევე ლექსთწყობა განსაზღვრავს.

3.2. ზედსართავი სახელი. ექსპრესიულობის მისაღწევად პოეტი ხშირად იყენებს ზედსართავი სახელის **უფროობითი ხარისხის ფორმებს**:

„როგორც ზარზმა და ხიხანი, როგორც მტკვარზე მეტეხი,

საქართველოს-**უსაყვარლესს**, ციხეებად ვედექით“ (გორგ.2012:40).

უაღრესი სიძველე და, - თანაც

უახლესი მხურვალეობა მისი (გორგ. 2012: 209).

„სამშობლოში **უკეთესი** არ ჩანს,

უარესის უარესიც ვიცი“ (გორგ. 2006:148).

პოეტი მარცვალთრაოდენობის შესაბამისად იყენებს ზედსართავი სახელის მოკლე ფორმებს:

„რა უმანკოა ეს სიჩუმე,

და **უმშვენესი**,

როგორც მოწყენა, როგორც სევდა მიმქრალ ნენესი“ (გორგ. 2012:185).

„იგი წყეული და **უმშვენესი**,

ჩემი კეთილი სიხარულით მზეობს და ზეობს“ (გორგ. 2012:322).

პოეტი ზოგჯერ უფროობითი ხარისხის ფორმებს აწარმოებს მიმართებითი ზედსართავი სახელებისგანაც:

„და **უგულწრფელეს** ჩანგის ჟღარუნით,

აღმოსავლეთობს ჩემი სამხრეთი“ (გორგ. 2006:114).

უფროობითი ხარისხის ფორმები განხილულ პოეზიაში ისეთ სახელთაგანაცაა ნაწარმოები, რომლებსაც საერთოდ არ ეწარმოება ის. პოეზიას პოეტი **უმკვიდრესს** უწოდებს:

„ოჰ, **უმკვიდრესო...**

შენ მოგმართავ მაინც და მაინც...“ (გორგ. 2012:164).

„მხარე **უანკარეს** მოფერების მდომი,

ჭირხლიანი, როგორც ჭოროხი და სხალთა“ (გორგ. 2006:95).

უანკარესი იშვიათი ფორმაა, რადგან ზედსართავი სახელი **ანკარა** არ აწარმოებს უფროობითი ხარისხის ფორმას.

აქვე უნდა დავასახელოთ **უნათლესიც**:

„და მიხარია, ჩიტს თუ გოლიათს,

ბალღს თუ **უნათლეს** ჩუქურთმას ვაზის..“ (გორგ. 2012:115).

„მე **უნათლეს** განწმენდასაც ვიცნობ“ (გორგ. 2012: 168).

აქვე გვხვდება **უმანკოს** უფროობითი ხარისხის ფორმა **უმანკოესი**:

„დუმილს **უმანკოესს** ამკობს

ვნებიანი ქროლვის ირონია“ (გორგ. 2012: 162).

საინტერესოა **მწვერვალის** უფროობითი ხარისხის ფორმა **უმწვერვალესი**
„...შუადღე დადგა, და თავზე მადგას მზე,
ყველა მზეზე **უმწვერვალესი**“ (გორგ. 2012: 536).

ზოგჯერ უფროობითი ხარისხის ფორმები ერთმანეთის გვერდიგვერდაა გამოყენებული:

„**უაღრესად უახლესი** მოფერება უდარაჯებს“ (გორგ. 2012: 330).

„და ვიღაც უვლის და რაღაც უვლის გადაშენებით,
უმადლესს ყოვლად, **უაღრესს** ყოვლად,- ბუნების სურვილს“ (გორგ. 2012: 246).

„აბობოქრებას ახლისას ვიღებ,

დრო **უაღრესის უახლეს** ჟინით“ (გორგ. 2012: 272).

„**უბველესო, უახლესო, უაღრესო** ბათუმო“ (გორგ. 2012: 509).

„**უმადლესს, უაღრესს, უნადდესს**- ხალხს ქართველს“ (გორგ. 2012: 557).

ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის გაგებას იძლევა აღწერითი ფორმები: **დიდზე დიდი, მაღალზე მაღალი** (შდრ. მაღალ-მაღალი კაცი-აჭარული), **ყინვაზე ყინვა...**

„ზმანებები **შორზე-შორი,**

ოცნებები **ცხადზე-ცხადი**“ (გორგ. 2012:34).

იშვიათად გვხვდება უფროობითი ხარისხის ორმაგად ნაწარმოები, ხელოვნური ფორმაც:

„რომ სასწაულს სულვით სათნო

უუკვდავესი წამებით მავრის

უსათნოესი სიმსუბუქე გადმოდის ციდან“ (გორგ.2012:251).

ამრიგად, ექსპრესიულობის მისაღწევად პოეტი ხშირად იყენებს ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებს. პოეტი მარცვალთრაოდენობის შესაბამისად იყენებს ზედსართავი სახელის მოკლე ფორმებს. ნეოლოგიზმებია: **უანკარესი, უმკვიდრესი, უმანკოესი**. ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის გაგებას იძლევა აღწერითი ფორმები: **დიდზე დიდი, მაღალზე მაღალი...**

იშვიათად დასტურდება ორმაგად ნაწარმოები, ხელოვნური ფორმებიც: უუკვდავესი, უუმალლესი.

3.3. რიცხვითი სახელი. განხილულ პოეზიაში რაიმე თავისებურებით არ გამოირჩევა, არ გვხვდება არც დიალექტიზმები და არც არქაიზმები:

რიცხვით სახელს წინადადებაში მას სხვადასხვა წევრის ფუნქცია აკისრია.

„ხუთიათასი წელიწადი ირბინოს კაცმა

და ვერ გაექცე“(გორგ. 2006: 204).

„ხუთი ათასი წლის წინათ,

ჩემში, ლელვის ფოთლებში“(გორგ.2006:204).

„ათიათასჯერ მიკოცნიდა მარჯვენს ალუდა“(გორგ.2006:186).

„მილიონი გრადუსის გარინდება მაქეზებს“(გორგ.2006:163).

„ივნისის რვაა, შუადღე“(გორგ.2006:237).

„ათასი შუქის და სინათლის მოთავე“(გორგ.2006:120).

„გააძვირეთო, პირქუხილით

მეხუთედ ბრძანა“(გორგ.2006:123).

„ცხრა ტყვია, ცხრა ძმამ ცხრა ძმისთვის ატარა“(გორგ.2006:139).

„ორი წელია აგერ, არ გამიხსნა ბაგე“(გორგ.2006:160).

„ბევრი ვფუნგე და ვბუგე,

ბევრიც ჩუმჩუმად ვქექე“(გორგ.2006:160).

„ალბათ! შენ რომ ბევრი იყო

ცხენკაცით და ხმალ-თორნით“(გორგ.2006:39).

ამრიგად, რიცხვითი სახელი ასრულებს ნაირგვარ ფუნქციას, წინადადებაში მას სხვადასხვა წევრის ფუნქცია აკისრია და რაიმე თავისებურებას არ ავლენს.

3.4. ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი

კუთვნილებითი ნაცვალსახელი არსებითთან ერთად ჩვეულებრივად იბრუნება, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისამებრ.

„შენს ტახტზე იჯდა, შენს პურს ჭამდა ლალატი წლობით!“ (გორგ.2012:110).

„ვეებ შენს ხელებს, ღრმა ღუმელში შეხიზნულ ხელებს,
შენს წყვილ ალერსს, შენს წყვილ გენიას“ (გორგ. 2012:264).

„ჩემს ქუსლებს დაღავს შენი კენჭები,

ჩემს ძვლებსაც ათბობს შენი ბუხარი“ (გორგ. 2012:549).

„ღღეებს ჩემს ფერფლზე არ ესვენებათ,

ჩემს აკლდამაშიც ფშვინავს ლოდოსი“ (გორგ. 2012: 217).

„და დადრეკილმა ვემსახურო ჩემს ხალხს და ენას“ (გორგ.2006:461).

ეს წესი დაცულია მაშინაც, როცა კუთვნილებითი ნაცვალსახელი მესამე პირისაა: „მეც მათს ბაწარზე გამობმული თავს ვაბალახებ“ (გორგ. 2012: 421).

„მე მათს უბადრუკ ქვიცინს და მოთნეობას ვნანობ“ (გორგ. 2012: 471).

ზურაბ გორგილადის პოეზიაში კუთვნილება გადმოცემულია როგორც მისი, ისე თავისი ნაცვალსახელებით. აჭარულისთვის და საერთოდ, დასავლური კილოებისთვის დამახასიათებელია ამ ფუნქციით მისი ნაცვალსახელის გამოყენება თავისის სანაცვლოდ...

„და მართლა, ვინც მტრობის და შურის ღირსია,
იცინის...

და გულში მის მტერს ეფერება“ (გორგ.2006:456).

„ყველა ღროს მისი პოეტი და პრინცესა ჰყავდა,

მისი შნო, მისი ბრწყინვალეობა და უფრო მეტიც“... (გორგ. 2012: 360).

„უცებ გაოცდე- არაფერია, თავისი უკვე იმღერა გულმა“ (გორგ. 2012: 174).

„ძალუა თავისი დიაცად დაისვა“ (გორგ. 2012:42).

„ყველაფერი სიცოცხლეში თავისი გზით მიღელავს“ (გორგ. 2012: 178).

„ცხოვრებას თავისი მიჰქონდა თანდათან,

ყოველი დღითა და ღამით“ (გორგ. 2012:248).

აქვე დასტურდება არქაული ჩემდა, შენდა ტიპის ნაცვალსახელებიც:

„ქვაზე იმედსა და სიკეთეს დავდებ,

„სულისად შენდა, - იღუმალის მოვფენ სხივებით“ (გორგ. 2012: 239).

„ოჰ, ქალბატონებო, წყალობა თქვენდა,

ვინ არის ჩვენს შორის მართალი?“ (გორგ. 2012: 343).

ნაცვალსახელი გვხვდება როგორც სალიტერატურო ფორმით, ისე დიალექტურით: **ამფერი// ასეთი, რაცხა// რალაცა, ვინცხა//ვილაცა:**

„შენ, ეი! მასეთი დავითი გვინდა,

სწორედ მასეთი დავითი გვინდა, სწორედ!“ (გორგ. 2006: 83).

„იდიდგულე, რომ ამფერი

აჭარელი გყავდი განა!!!“ (გორგ. 2012:16).

„გოგო რაცხამ დააფეთა,

გოგო ვინცხამ გადამალა“ (გორგ.2006:11).

ნაწილაკიან რიცხვით სახელთა და ნაცვალსახელთა ბრუნება. როგორც ცნობილია, „თანამედროვე ქართულში **ღა, მე, ვე, ა** ნაწილაკიან სახელთა სახელთა ბრუნების სამგვარი სახეობა გვხვდება: **შეუხორცელები (ძველი), შეხორცელები (ახალი) და ნარევი...** დღეს გაბატონებულია შეხორცელები სახეობა. ნაცვალსახელებში- ვე ნაწილაკი ჩვენებით ნაცვალსახელებთანაა გამოყენებული: იმანვე, იმასვე“ (ნორმები, 87-89).

არქაიზაციისთვის პოეტი ხშირად მიმართავს ნაწილაკშეუზრდელ ნაცვალსახელებს და რიცხვით სახელებს:

„როგორ ფიქრობ, კვლავ მოგპარავ რასმე განა“ (გორგ. 2006:9).

„მიგვიხვდა მამა, მოგვეფერა, რასმე დაგვპირდა“ (გორგ. 2012: 552).

„ცოტაც და წინაპრად ჩავთვლიან,

მომავალს რაისლა უტოვებ?“ (გორგ. 2012: 87).

„ასე მგონია, ხშირად

ჩემსავ სხეულთან ვწვები“ (გორგ.2006:488).

„**ორთავემ** თავზე სათნოების ხელი დამადო“ (გორგ. 2012: 206).

„არამედ მამულს!-**ორთავ** თვალის სინათლეს,-მამულს!“ (გორგ.2006:461).

ამრიგად, ზურაბ გორგილაძის პოეზიაში გამოიყენება ნაცვალსახელის დიალექტური ფორმებიც და სალიტერატუროც. არქაიზაციისთვის პოეტი ხშირად მიმართავს ნაწილაკშეუზრდელ და **ჩემდა, შენდა** ტიპის ნაცვალსახელებს.

3. 5. ზ მ ნ ა

მეტად საინტერესოა ზურაბ გორგილაძის შემოქმედებაში ზმნის თავისებურებანი. აქ განვიხილავთ პირის ნიშნებს, ზმნისწინს (ტმესის შემთხვევები) თემის ნიშნებს გვარის ფორმებს, კაუზაციას...ცალკეული ზმნის უღლების თავისებურებებს და ა.შ.

ა) პ ი რ ი. **სუბიექტური პირის ნიშნები.** განხილულ პოეზიაში სუბიექტური მეორე პირის ნიშანი შენარჩუნებულია ორპირიან გარდამავალ ზმნებში:

„შენ ბევრი დაჰზარე უგვანო ზადები,

შენ ბევრი ხინჯები გასთქვი და განამე“ (გორგ.2012:127).

„მიჰღრინავდი ხორშაკ-ხორშაკ,

გაჰღმუოდი ტრამალ-ტრამალ...

მიჰყვებოდი ხმალთა ჭიხვინს

მიჰყვებოდი ქარის ღმუილს“ (გორგ.2012: 48).

„ცოტაც კიდევ, რაღა დარჩა, გაჰყვი და დაგეწევი“ (გორგ.2012: 298).

მესამე სუბიექტური პირის მხოლოდით რიცხვში აჭარულ დიალექტში, გურულსა და იმერულში აწმყოს მწკრივში გვაქვს ა ს-ს ნაცვლად (ჩანა, კივა, დგანა, ჟდანა): საჭმლის მომტანელი არავინ ჩანა (ნოღაიდელი, 1972:130).

„მეყო! მტევნის წებო წვენში,

ჩემი სულის ორთქლი დგანა“ (გორგ.2012:16);

... და სულ კაი ყმის კარებთან დგანა (გორგ.1988:16).

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში ძირითადად ნენ სუფიქსი გვაქვს:

„სამშობლოს კი არ ბატონობდნენ,

პირიქით, სამშობლოს პატრონობდნენ,

სამშობლოს ედგნენ დარაჯებად“ (გორგ. 2012:50);

„იქანცება ჩემი ჩრდილიც, შეეხიზნენ ნისლებს მთები“ (გორგ.2006:159)

ამავე პირის მრავლობით რიცხვში აჭარულ დიალექტში გამოკვეთილია ენ//–ან სუფიქსის უნიფიკაცია: წევან, უკვირან, მიზდევან, მიყავენ, უშველენ ...

ზოგჯერ გვხვდება ნენ სუფიქსის ნაცვლად ენ:

„ფერხთით დაუდგენ კრძალვითა

ვერ გაუსწორეს თვალიო“ (გორგ. 2012:5).

„ ბევრი ქირქილებდა, ბევრი ქილიკობდა,
მაინც ვერ შეეხენ მთავარს“ (გორგ.2012:363).

ელენე ნიკოლაიშვილმა შეისწავლა მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ევოლუცია: „ეს და ენ//ნენ სუფიქსების ჭიდილი არსებითად მთავრდება XVIII საუკუნეში ნ(ენ)-ის გამარჯვებით. XIX საუკუნის თხზულებებშიც შეიძლება შეგვხვდეს -ეს სუფიქსიანი ფორმები, მაგრამ არა როგორც ნორმა, არამედ როგორც ძველი სალიტერატურო ნორმის ანარეკლი, ან სტილიზაციის საშუალება“ (ნიკოლაიშვილი, 1978: 111).

„ქართული ენის კილოებში დღეს იგრძნობა დაუცხრომელი ლტოლვა უნიფიკაციისაკენ: უპირატესობა ენიჭება ენ სუფიქსს: გააკეთენ, ითამაშენ, მიულოცენ“ (იმნაიშვილები, 1996: 30).

მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში ეს სუფიქსი გამოვლინდა როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებთან:

„ჩემ ნაზ ტკივილებს მოეფერეს და დაუყვავეს,

რამდენ ნიღბებთან შემახვედრებ შენ, მასკარადო?“... (გორგ. 2012: 203).

მრავლობითობის ეს სუფიქსი დადასტურებულია ჩაქველ მუჰაჯირთა მეტყველებაშიც, სადაც ინტენსივობაცაა გამოხატული: დადიოდეს, მუშაობდეს.... ეს სუფიქსი ქვემოაჭარულშიცაა შემონახული.

ობიექტური პირის ნიშნები. თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით, ირიბობიექტური პირის ნიშნები **ჰ** და **ს** ერთპირიან და ორპირიან გარდამავალ ზმნებში ზედმეტია, სამპირიანში - აუცილებელი. ეს ნიშნები არ იწერება ვ, რ, ლ, მ, ნ, ზ, ს, ჟ, შ, დ, ხ ბგერებით დაწყებულ ზმნებთან. მხატვრულ ლიტერატურაში **ჰ**, **ს** პრეფიქსები თუ გრამატიკულად არაა შეპირობებული, მათ სტილისტიკური ფუნქცია ეკისრებათ (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014: 153).

ამ პრეფიქსების ხმარება თვალში საცემია ქართველი რომანტიკოსების, ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში. ბ. ჯორბენაძე წერს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში კი „ჰ, ს პირის ნიშნები

სიტყვის ორნამენტებადაა ქცეული, როგორც ტაძრებისთვის ნაირსახოვანი ჩუქურთმები“ (ჯორბენაძე,1987:183).

განხილულ პოეზიაში **ჰ, ს** პრეფიქსები გვხვდება **ერთპირიან ზმნებთან:**

„წუხილს, რომ ჩემთვის **სწუხდა** ილია,

რომელს ცრემლში და წუხილში გარევ“ (გორგ.2012:107).

.. და **სჩქეფს** გაურყვნელ ასაკის ჩრდილში“ (გორგ.2012:250).

„ბევრმა **გასტოპა** ფონში მხარულით“ (გორგ. 2012:54).

„სამშობლო აღმა-დაღმა **დაჰქრის** კიდევ,

წიწამურთან გასროლილი ტყვია“ (გორგ.2012:128).

„ცხრაგზის ავგაროზივით აკვანზე რომ **ჰკიდია**,

იმ შენს ტახტის მხევალზე თქვი,- ნაკლები რითია?“ (გორგ.2006:99);

„ირგვლივ მზეა და ოქროს ველია,

ცაცხვის ჩრდილები **სდუმან** და **სდუმან**“ (გორგ. 2012:174).

„მოხვანთქალე ხარდანზე ლერწამივით რომ **ჰკიდია**“... (გორგ. 2012:86).

ჰ, ს პირის ნიშნები ჭარბად გვხვდება ორპირიან **გარდამავალ ზმნებთან:**

„გაზაფხული რაგინდ **სჭორონ**,

ბდგინავს რიარია ფერთა“ (გორგ.2006:72).

„ვინ მომფინა დეკემბრის ფერი,

და ტყეები ქარვის ალით **დასწვა**“ (გორგ. 2012:131).

„შენ დიდებას ქართველისას **სწერ**,

ხოლო მტრები შენს განაჩენს **სწერენ**“ (გორგ. 2012:140).

„ყველა ტკივილს დრო **მოჰკლავს** და წაიღებს“ (გორგ. 2012:103).

„ქარი წითელს **სჭამდა** დაისს“ (გორგ. 2012:119).

....„გრილმა დარებმა **დასწევს** მაისი“ (გორგ. 2012: 263).

„ღმერთმა უწყის!.. დადაფნავენ თუ ასკეცად **აჰქნიან**“ (გორგ. 2012: 58).

ამრიგად, ზურაბ გორგილაძის პოეზიაში **სუბიექტური მეორე პირის ნიშანი შენარჩუნებულია ორპირიან გარდამავალ ზმნებში**. მესამე სუბიექტური პირის მხოლოდობით რიცხვში აქარულ დიალექტში (არის გურულშიც) აწმყოს მწკრივში გვაქვს **ა ს-ს** ნაცვლად.. მრავლობით რიცხვში ზოგჯერ გვხვდება **ენ**. მესამე

სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში ეს სუფიქსი გამოვლინდა როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებთან: **მოეფერეს და დაუყვავეს...**

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში **ჰ, ს** პრეფიქსები გვხვდება როგორც მეორე სუბიექტურ პირში, ასევე ერთპირიან გარდაუვალ და ორპირიან გარდამავალ ზმნებთანაც. ზოგჯერ ისინი ეობულეთური კილოკავის კოლორიტს ქმნიან, ზოგჯერ კი მათ არქაიზაციის ფუნქცია ეკისრება.

ბ) ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ხშირად გვხვდება არქაული ზმნისწინები:

„აქ სამუდამოდ **წარხვეტილა** ერთსახეობა,

ერთსამე მე ვარ ისევ და ისევ“ (გორგ. 2012:54).

„შემოგიტყუო და **აღგაგო**, როგორც წესია“ (გორგ. 2012: 249).

„ამაოებას ვერვინ **აღგვის**, ღმერთის პირშმოა ყველა“ (გორგ. 2012: 172).

ხშირად გამოიყენება **მიმო** ზმნისწინი:

„შენს ყველა მამამზეს კვერთხს **მიმოვუქანებ**,

მეტი რა,-ან რით გემსახურო“ (გორგ. 2012:50).

„მეუბნები,- თმებში **მიმოჩნდაო** ჭაღარა,

გადავცდიო ოცდაათს, დრო გარბისო კვიცივით“ (გორგ. 2012:277).

დასტურდება ზმნისწინთა **მონაცვლეობაც**: **მიეკითხება, გამძულდა, შევემუქრე**

„მაგის ხალხს **მიეკითხება**

მაგისი ცოდვა-ბრალიო“ (გორგ. 2012:5).

„მეხუთე კლასში **გამძულდა** ლექსი“ (გორგ. 2012: 149).

გამძულდა აჭარული დიალექტისთვის დამახასიათებელი ფორმაა, სემანტიკური დიალექტიზმია.

პოეტური ინდივიდუალიზმის ნიმუშია **შევემუქრე**:

„მეც **შევემუქრე** წუთისოფელს ერთსახეობას“ (გორგ. 2012:91).

„**შევემუქრები** წიგნების სისქეს“ (გორგ.2006:312).

ეს უკანასკნელი ზმნა ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ყოველთვის ამ ზმნისწინს დაირთავს.

ლექსში „ვაჟა-ფშაველა“ გვხვდება ასეთი ზმნები ფშაურ კოლორიტს ქმნის:

„ნეტავაც შამაძლებინა
ავხვეტო ჩემი ძვალიო,
ნეტავაც შამაძლებინა
წელზე შავირტყა ხმალიო“ (გორგ. 2012:6).

„-შავი დღისათვის შამავდე,
რასე შავს მიგრძნობს თოლიო,
ამის მამგონსაც, მამცემსაც
გაუგანგანდეს ცოლიო“ (გორგ. 2012:6).

„გამააპოტნა იქიდან,
რალაცა გროში ორიოდ“ 2012:6).

„ზვავთა არ მამდის ზლუქუნი,
ქართა ყმული მწარიო“ (გორგ. 2012:88).

ამგვარი ზმნისწინები გამოვლენილია ქობულეთურ კილოკავსა და სხვა სამხრულ კილოებშიც. „ტაოურსა და შავშურში დასტურდება მააყრიან, მასხამენ, მამპარეს, გამამიყვანა ფორმები“ (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:23). მიუხედავად ამისა, რომ ეს მოვლენა უცხოა არაა პოეტის მშობლიური კუთხის მეტყველებისთვის, იგი ზემოდასახელებულ ფორმებს ფშაური დიალექტის კოლორიტის შექმნის ფუნქციას აკისრებს.

პოეტი კარგად იცნობს ზმნისწინთა დერივაციულ ფუნქციებს:

„რა კლარჯეთი იქნებოდი,
გადარჩი და აქ დარჩიო“ (გორგ. 2012:30).

„მშვენიერების გადასარჩენად,
გადასარჩენად და დასარჩენად
სიკვდილი მოაქვს“ (გორგ. 2012: 232).

გადარჩენა და დარჩენა სინონიმური მნიშვნელობის ზმნებია და პოეტი მეორეს პირველის ხაზგასასმელად იყენებს.

გადა ზმნისწინით პოეტი საპირისპირო მნიშვნელობის ახალ სიტყვებს ქმნის: დაჯერება- გადაჯერება, დაგვირგვინდა- გადაგვირგვინდა:

„და ღმერთმა ნუ ქნას, ძილშიც რომ მჯერა,

გამეღვიძოს და გადავიჯერო“(გორგ.2012:114).

„ბევრი გვირგვინი გადაგვირგვინდა“(გორგ.2008:60).

ზმნისწინის ძირითადი (მიმართულება, ორიენტაცია) და დამატებითი ფუნქციები ზოგჯერ ფრაზაში სიტყვების თამაშისთვის გამოიყენება:

„მათ მუხლებს რა დაღლის, მათ თვალებს რა მოღლის,
დღიდან, გაღმით და გამოღმით“(გორგ. 2012:551).

„კარებს აივლის, მთებს გადაივლის

და ქვის სუფრასთან გატკვირავს მარილს“(გორგ.2006:26).

„გადაჰქრის ქარი, გადმოჰქრის ქარი ქარვისფერ ველებს“(გორგ.2006:263).

„მიხვეტავს, მოხვეტავს ტრამლიანს, დავლიანს,

ყოველთა,-უკლავს თუ უწირავს...“(გორგ. 2012:51).

„ნეტა რა უნდა ჰქვიოდეს ახალს,

რით მოვიმართო, რით წავიმართო“(გორგ.2006:153).

ა, ჩა, გა ზმნისწინები მონაცვლეობს მიმღეობებში, ერთსა და იმავე ტაეპში, რაც ფრაზას მუსიკალურობას სძენს: „აფენილი, ჩაფენილი, გაფენილი ტყეები“(გორგ. 2012:116).

ზურაბ გორგილაძის პოეზიის თავისებურებაა შემდეგი ზმნების გამოყენება: დაბალახობს (დადის და ბალახობს); დაქვითინებს (დადის და ქვითინებს), მომეხუტე (მოდი და ჩამეხუტე); მიიბრძვი (მიდის და იბრძვის, ბრძოლით მიდის).

„ისეთ სასწაულს რას გიმოწმებენ,

რომ მიიბრძვი და მიემართები?“(გორგ. 2006: 319);

„მოწამლული დავთვრები,

ავდგები და მივგვწმდები კარებთან“(გორგ. 2012:330).

„ალერსი აღარ მიხავერდდება,

მივდივარ მდორედ და მივდინდები“(გორგ.2006: 311).

„სულ დაბალახობს დედავ,

შენი რჩეული ფური“(გორგ. 2012:97).

... „ქვებში ჩუმად დაქვითინებს, ჩემი დიდი ნენეს ნანა“(გორგ. 2006:12).

... „დაწვიმს იმ ქვას, მნათობები დაწვიმს“ (გორგ. 2012:131).

... „მომეხუტე, შენ ქურდობა გაპატია სულხან-საბამ“ (გორგ. 2006:9).

ეს ქართული ენის ზმნისწინთა ერთი უნიკალური თვისებაა, დამატებითი ფუნქციაა: **მი** და **მო** ზმნისწინებით ისეთი მოქმედებაც გადმოიცემა, რომელიც მოძრაობის პროცესში, სიარულის დროს ხდება. აღნიშნული ფუნქციით **მი** და **მო** ზმნისწინები ყველაზე ხშირად „ვეფხისტყაოსანში“ გამოიყენება (ფარტენაძე, 2009: 79-80).

ლექსში არქაული პათოსის შესაქმნელად პოეტი ხშირად მიმართავს **ტმესს** ზმნებში, საწყისებსა და მიმღობებში:

„ისე ვუღერებ სიტყვას და **დაცალეწვას** ვაჩვევ,

ჩემს სასაცილო ქაჯებს, ჩემს სამარცხვინო ქაჯეთს“ (გორგ. 2012:194).

„ფატმანს უღრიჯოდა შენი ავთანდილი

ქაჯთა **დაცალეწვის** ნაცვლად“ (გორგ. 2012: 19).

„**დაცამხობილ** ტახტებსა და სატახტოებს“

შაჰს და ხონთქარს რომ უფენდა ფერხთით (გორგ. 2012: 19).

ამრიგად, ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ხშირად გვხვდება ზმნისწინები არქაული სახით: **წარხვეტილა**, **აღგაგო**, **აღგვის...** პოეტი ხშირად მიმართავს **ტმესსაც**: **დაცალეწვა**, **დაცამხობილი...**

დიალექტური ზმნისწინებით (მამდის, შამაძლებინა, შავირტყა... შამავდე, გამააპოტნა) შექმნილია ფშაური კოლორიტი. პოეტი კარგად იცნობს ზმნისწინთა დერივაციულ ფუნქციებს, მათგან ქმნის ახალი მნიშვნელობის სიტყვებს და ანტონიმისთვის იყენებს. სიარულის პროცესში მიმდინარე მოქმედებას გადმოგვცემს ზმნისწინები: **და**, **მო**, **მი**: **დაბალახობს** (დადის და ბალახობს); **დაქვითინებს** (დადის და ქვითინებს), **მომეხუტე** (მოდის და ჩამეხუტე); **მიიბრძვი** (მიდის და იბრძვის, ბრძოლით მიდის).

სიტყვათა თამაშს ემსახურება განსხვავებული გეზისა და ორიენტაციის ზმნისწინების მონაცვლეობა.

გ) **ზმნის გვარი.** ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ხშირად გვხვდება ვნებითი გვარის ზმნათა არქაული დაბოლოება, ასეა აქარულშიც: **იბნიდვიან, იმაღვიან, დვია...**

ზოგჯერ ვნებითი გვარის ზმნათა არქაული დაბოლოება რითმას ქმნის

„ გვიტევს, ძუც გვიტევს და გვიტევს **ხვადიც**

....კვლავ ჩვენს მიწაზე დაჯდომა **სწადის**

ათასი ჯურის ურჯუკს და ოხერს (გორგ.2012:158).

„ აქ დგომა ისევ იმას **უხარის**

.....ივასუხარი,**დვასუხარი**“ (გორგ.2012:548).

„გიჯერებ, რადგან ასე **სწყურის** შენთა ვნებათა,

შენი კეკლუცი კაპასებიც ღადარს მიჩენენ“ (გორგ.2012:361).

სტატიკურ ვნებითა აწმყოში IX საუკუნიდან ჩნდება ია **დაბოლოება**. იგი ხშირდება XI საუკუნიდან. **ტფების'** ტიპის ვნებითებში კი XVII-XVIII საუკუნემდე მოგვეყვა ძველი დაბოლოებანი: **ქრების, ტფების, იფარების, შენდების...** მხატვრულ ლიტერატურაში ვნებითი გვარის არქაულ დაბოლოებას გამოყენებას არქაიზაციის ფუნქცია აკისრია:

„სამშობლოში არ **მეგულვის** კაცი ჯერაც

შუბლი ჯერაც... ამ ცხრა გრამი უკვდავების ღირსი“ (გორგ.2012:128).

„ვიღაცის ანდა რაღაცის გამო **გელრიჯვის** რომელიც...“ (გორგ. 2012: 415).

სტატიკური ვნებითი გვარის ზოგი ზმნის თავისებურებანი ლექსთწყობითაა განპირობებული:

„ვოცნებობ და გარეთ წვიმს,

ჭიქა და საფერფლე **მიდგია წინ**“ (გორგ. 2012: 380).

„ის ანდერძი ჩემულ ყველა ფესვში **სვენია,**

სანთელს საით იღერებ, როგორ არა **გრცხვენია**“ (გორგ. 2012: 38).

„მკაცრი სისადავე, გრილი ხავერდები, ჩემს ფაქიზ ვნებებს რომ **შვენია,**

შენია მხევალის მძაფრო გაზმორებავ,

ჭვანგებდაცვეთილი პოეტის ცხოვრება, და ამაოებაც **შენია**“ (გორგ.1988:247).

განხილულ პოეზიაში დასტურდება პრეფიქსული წარმოების არქაული ენიანი ვნებითები დონიანის ნაცვლად, რომლებიც აჭარულ დიალექტშია შემონახული: **მომეშია, გეთხვა..**

„ეს წუხილი, როგორც წინათ, ახლაც გულზე მივიდე
ვთქვათ, ნისლივით **მომეწყინა**, ვისთან უნდა მივიდე?“ (გორგ. 2012:290).

მარცვალთრაოდენობამ განაპირობა ფორმა- მომეწყინა.

„...ეს ბახუსიც თვალებს წკურავს, თან უფსკრულზე ტივი დევს,

ვთქვათ, ხარივით **მომეწყურა**, ვისთან უნდა მივიდე?“ (გორგ. 2012:290).

„მოვა იგი ქალწული და მე **მომეწყინება**“ (გორგ.2006:346).

პრეფიქსული ვნებითები გავრცელებული იყო ძველ ქართულში: **შეერთა** ძუალი ძუალსა (კიმ. I. 246. 34); მიერ ჟამითგან **დაემტკიცა** სახლი იგი (კიმ. I. 258. 21); მოვიდა და **დაემკვდრა** კაფერნაუმს (მ. 4.13). ამგვარი ფორმები შემონახულია დიალექტებში: **ჩაიშაქრება** (კახ.), **დაეჭირა**, **დაეჟანგა** (ხევს.), **გეთხუება** (გურ. აჭ.); **გეეჟენა**, **მომეშია**, **შეემშია**, **ეცქირებოდა** (აჭარ.), **ჩაებარა** (ქიზიყ.) და ა. შ.

XIII-XVIII საუკუნეების ძეგლებში სუფიქსური წარმოების ნაცვლად პრეფიქსული დასტურდება: **დაეჭიროს**, **მეოცების**, **დამებერა**, **გამემწარნეს** (ვტ.); **აეფოფხა** (ვაჟა), **მოეგუბა** (ილია), **ვეძმობილები** (ბაჩანა).

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ხშირია **დონიანი ვნებითები**, რომლებიც დინამიკურ მოქმედებას გადმოგვცემს:

„**ვექათქათდები**, სამეჯლისოდ ვირთვები“ (გორგ. 2012:169).

„**კაცი ჩალიჩდება**, ქალი **ბალიშდება**“ (გორგ.2006:449).

„**თუ ჩემი ცხოვრება კოწიწდება**,

თუ ლერწმა დაიწყო ფოფინება“ (გორგ.2006:192).

„**ალერსი აღარ მიხავერდდება**,

მივდივარ მდორედ და მივდინდები“ (გორგ.2006: 311).

ასეთი ფორმები დასტურდება XII-XX საუკუნეთა ძეგლებში: **გაყინდა**, **თოშდებოდა** (ალექსანდრე ყაზბეგი); **ტვრინდებოდა** (ლ. რაზიკაშვილი).

ამრიგად, ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ხშირად გვხვდება ვნებიანი გვარის ზმნათა არქაული დაბოლოება, რომელთაც არქაიზაციის ფუნქცია აკისრია. აჭარულის კოლორიტს ქმნის ენიანი ვნებითები: **მომეწყინა, მომეწყურა, მომეშშია.**

მეტად ექსპრესიულია ზურაბ გორგილაძის პოეზიაში გამოვლენილი **დონიანი ვნებითები**, რომლებიც დინამიკურ მოქმედებას გადმოგვცემს: **ქათქათდება, ჩალიჩდება, კოწიწდება...**

დ) ზ მ ნ ი ს თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი. ზურაბ გორგილაძის პოეზიაში გამოკვეთილია თემის ნიშანთა უნიფიკაციის ტენდენცია. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სამხრულ მეტყველებაში „განსაკუთრებით თვალში საცემია -ავ თემის ნიშნის გაბატონება. იგი ენაცვლება -**ებ, -ობ, ი** თემის ნიშნებს... დაერთვის ერთთემიან და ფუძედრეკად ზმნებსაც: **წმინდავს, წმენდავს, იწერავ, ვკრიფავ, დეიბანავ...**“ (ცეცხლაძე, 2013: 13).

ავ თემის ნიშანი დაერთვის ყველა ერთთემიანი და ყველა ფუძედრეკადი ზმნაც:

„მე კი, სულ სხვა ოცნება და ღელვად მიცნია,

თოვლისფერ ნაჭუქს როს ნისკარტით **ტეხავს** წიწილა“ (გორგ. 2012:253).

„შენ რომ ცრემლი და მირონი გაწვიმს

კაცი ნიჩბებით კი არ **ჩახეხავს**“ (გორგ. 2012:46).

„კახიძეების მჭახე ვაშლები

ისევ **მკვეთავენ** კბილს“ (გორგ. 2012:52).

„რას აგროვებენ, რას **ხვეჭავენ** შავი ქანგებით?“ (გორგ. 2006:226)

„ჩემი სულის კუკული ხარ, არ იფიქრო, **მოგწყვიტავო**“ (გორგ. 2012:66).

„შენი ჭერის სიმაღლისთვის, მარადიდში **ვხლიჩავ** ყავარს“ (გორგ. 2012:16)

„სექტემბერი რომ დადგება, **წამოვკრიფავ** გუდა-ნაბადს“ (გორგ. 2012:75).

„ჩემს ნატერფალში **კრეფავს** ვიღაც მინდვრის ყვავილებს“ (გორგ. 2012:531).

„ჩამოდის თოვლი, თითქოს ცაში **ფლითავდნენ** იებს,

ამ უკვალობის უკმარობით რამდენი გდიე“ (გორგ. 2012:188).

„ცენზორიც აღარ **გჩხრიკავს** ბებერი“ (გორგ. 2012:258).

„**მწყლიტავს** ქვეყნის გვირგვინი და დიდებით მამხოზს“ (გორგ. 2012: 164).

„სიმღერით ვზილავ, ტირილით ვზილავ ვარდების ველზე,

„საკუთარ სხეულს, საკუთარ სხეულს, საკუთარ ფეხით“ (გორგ. 2012:246).

ზემოდასახელებულ ფორმათა გამოყენებას მარცვალთრაოდენობა უნდა ედოს საფუძვლად, მათი ფუნქცია კი კუთხის კოლორიტის შექმნაა. სალიტერატურო ფორმების განსაზღვრელი ზოგჯერ რითმაა:

„-არა, სახლში დაგაბერებ!-ბუხარივით ღულუნებდა დედა,

-ნენი, თავი დამანებე! და ჭიშკართან ფური ჩრდილებს ფლეთდა“ (გორგ.2006:514).

პირველ თურმეობითში ია დაბოლოებიანი ფორმებიც გვხვდება და ავ თემისნიშნაინიც:

„დაფნის ჯვარზე გაუკრიათ ოჯალეში ქრისტე“ (გორგ.2006:21).

„ცას და ყვავილებს გაუმართავთ ცეკვა ხელებში“ (გორგ. 2012:204).

უკანასკნელ მაგალითში პირველი თურმეობითის სალიტერატურო ფორმის გამოყენებას მარცვალთრაოდენობა განსაზღვრავს.

ამრიგად, ცოცხალი მეტყველების და ზოგადად სამხრული კილოებისთვის დამახასიათებელი თემის ნიშანთა უნიფიკაციის ტენდენცია აისახება ზ. გორგილაძის პოეზიაშიც. ისინი კუთხის კოლორიტს ქმნის და ფრაზის დინამიკურობასაც ემსახურება. როგორც ამგვარ, ისე სალიტერატურო ფორმების გამოყენებას ლექსთწყობა განსაზღვრავს.

ე) შუალობითი კონტაქტის წარმოებისას ძირითადად სალიტერატურო ფორმები გვხვდება:

„ლეშით და ყორნებით მოჰფინა სოფელი,

თმებით ათრევინა მშობელმა მშობელი“ (გორგ. 2012:42).

„მომეცით ჯამი! საყვარლის ცრემლში

მე ანგელოზებს ფეხი უნდა ჩავაბანინო“ (გორგ. 2012:44).

„მოვალეობას აჩაგვრინებ სიყვარულს დიადს“ (გორგ. 2012:270).

„ჩემმა თავმა ჩემი თავის უთავობა მამყოფინა

და თავი დამამხობინა“ (გორგ. 2012: 412).

„ ჩემს სიმახინჯეს მსურს ვაზღვევინო

რა სიმახინჯეც სჭირს დედამიწას“ (გორგ. 2012: 218).

იშვიათად გვხვდება ცოცხალი მეტყველების გავლენაც:

„სული სხვა შხამებს ვაზადაგვიით,

სული მსუბუქი და ბუნდოვანი“ (გორგ. 2012: 392).

ამრიგად, შუალობითი კონტაქტის ფორმათა წარმოებისას ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ცოცხალი მეტყველების გავლენა სუსტია.

ვ) **ცალკეული მწკრივის წარმოება** თავდაპირველად განვიხილოთ წყვეტილის წარმოება. ზემოაქარულში ე ბოლოსართიანი ზმნები წყვეტილში გვადლევს ვი მარცვალს: **ჩავაგდევით, დავწერევით** (არის კახურში, ქართლურსა და ზემოიმერულშიც). ამგვარი წარმოება სრულიად უცხოა ქობულეთურისა და ქვემოაქარულისათვის.

„შენ რომ ქუდი შემებრუნე,

შენ რომ გული მომტაცევი,

აწი რაღაი, ქედნი მხარში

ვეღარ შეგელომკაცები“ (გორგ. 2012:397).

„ხაპის ჟვერში ყველი გაახვიე,

ნაცრიკვერი დაადევი ზედან“ (გორგ. 2012:74).

ზემოაქარულში ე ბოლოსართიანი ზმნები წყვეტილში გვადლევს ვი მარცვალს: **ჩავაგდევით, დავწერევით**. -ევ სუფიქსი ნამყო ძირითადის მაწარმოებლად გვხვდება მეგრულში დრო-კილოთა ორივე ჯგუფში.

ა. ჩიქობავა თვლიდა, რომ აორისტის ე ნიშანი -ევ სუფიქსისგან მომდინარეობს: ევჟე (ჩიქობავა, 1938:407). „ეს უძველესი სუფიქსი შემონახულია სამხრულ კილოებში, მათ შორის აქარულშიც. ისინი გავრცელებულია ზემოაქარაში, მუჰაჯირთა მეტყველებაში, ქვემოაქარულში კი - არა“ (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:54). „აღნიშნული ტიპის ფორმები დასტურდება ასევე ქართლურში (ვნახევი, ვნახეი), ზემოიმერულში (ვიყიდევი, ვიყიდეი), იმერულში გვაქვს მოფუსევი, წავუსევი ფორმებიც (ჯორბენაძე, 1998: 652).

როგორც ვხედავთ, პოეტი ზემოაქარულის მონაცემებს იყენებს ლექსის საჭიროებისამებრ და კუთხის კოლორიტის შესაქმნელად. ლექსში „ვაჟა-ფშაველა“ ზურაბ გორგილაძე ხოლმეობითის ფორმასაც იყენებს, რადგან უწყვეტლის

ხოლმეობითის ფორმები ხმარებიდან მთლიანად გადის XIX საუკუნეში. ცოცხალ მეტყველებაში, მთის დიალექტებში ის დღემდე შემორჩენილია:

„მოჰკლიდის ომის წადილი,
ხანდახან შესძრავს ქარიო“ (გორგ. 2006:101).

ზ) **ნართაული** ი ქართულ სალიტერატურო ენაში IX საუკუნიდან გვაქვს. თანამედროვე ქართულში ი უწყვეტელსა და წყვეტილში მწკრივის ნიშანია. აჭარულ დიალექტში წყვეტილის ფორმები ძირითადად იწარმოება ნართაული ი'ს გარეშე: **ავდექ, დავჯექ...**

„მე საავდრო ღრუბელივით დაძენძილი ვიყავ მაშინ“ (გორგ. 2006: 7).

„დავკალ რამდენი ზვარაკი და
სანთელიც დავწვი...“ (გორგ. 2006:95).

„ქალი?-თანაც ულამაზო?

დამკალ და ვერ წარმომიდგენია“ (გორგ. 2006: 364).

„დავკალ რამდენი ზვარაკი და სანთელიც დავწვი“ (გორგ. 2012:83).

„რად გინდა ყვირილი, ეს ვიყავ, ეს ვიყავ!“ (გორგ. 2012:87).

„გახსოვს როგორ **იდექ** გასხაპული

შენი გოგიაის ლოგინთან?“ (გორგ. 2007:111)

„მაშინ ზღაპარში ვიყავ, ვინ თქვა ზღაპარი ზადი,

შენი თეთნულდის ჯილა, ეს დიდებაა ცხადი“ (გორგ. 2006:100).

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ასეთი ფორმები მარცვალთრაოდენობის გამოც გამოიყენება, არქაიზაციისთვისაც და კუთხის კოლორიტსაც ქმნის.

თ) **ცალკეული ზმნის თავისებურებანი**. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **სვლა** ზმნის თავისებურებანი. ის ხან არქაული ფორმით გვხვდება და ხან დიალექტურით:

„...და ქვეყანაზე დონ-კიხოტის ომებით **დავალ**“ (გორგ. 2012:198).

არქაული ფორმის გამოყენების საფუძველი ზოგჯერ ლექსთწყობაა:

„და სხვა თამაშობს ჩემს საწადელს, ძველსა და **მთავარს**,

ვინ იცის, იქნებ კომედიის გმირი ვარ ერთი

და ქვეყანაზე დონ-კიხოტის ომებით **დავალ**“ (გორგ. 2012:198).

აჭარულ დიალექტში (ასევე გურულშიც) **გავლა**’ს **გარება** ცვლის პირიან ფორმებშიც და სახელზმნებშიც: **გიგიარს, გარებული** (ნოლაიდელი, 1972: 67).

მე.-ფეხაკრეფით **ვიარები** აკლდამებს შორის (გორგ.2012:210).

დიალექტურია **მოსვლა** ზმნის წყვეტილის ფორმაც:

„კი არ იციან სად დაიბადე,

სად იყავი და საიდან **მოდი**“ (გორგ.2006:26).

„ნუთუ მართლა ისე **მოსალამოვდი**,

ნუთი ქედზე რჯულწამხდარი **გამოდი**“ (გორგ. 2012: 22).

„უამურ ყვავილს წავეტანე...

... და მიმოზების მზიანი **ტოტი**,

ხშირად გამოიყენება სხვა ზმნათა არქაული ფორმებიც:

„ერთიც ახედე, რას **იქმენო**, რა კენჭებს ტკეპნი“ (გორგ. 2012:110).

„**მარქვით**, იქნებ ოდნავ ვერ იასმათა... (გორგ..2012:103)..

ამრიგად, ცოცხალი მეტყველების გავლენით აიხსნება ცალკეული ზმნის გამოყენება.

ზურაბ გორგილაძის პოეზიის სტილისტიკური ნიშანია, ვნებითი და საშუალი გვარის ზმნები გამოიყენოს აქტიური ფორმით:

„**და გავიოცე**,

უწყინარ ყვავილს მოვეფერე...

და გავიოცე,

ორივე ერთი საწადელით

სურვილს **იოსებს**“ (გორგ.2006:248).

„ნეტავ ვიქცე ლოდადო, სულ არ **სურვობს** ქვაკენჭი“ (გორგ. 2012:161).

„და მე მაგის გამო მგონი დიდებასთან **ვგვიანდები**“ (გორგ.2006:97).

ზოგჯერ ერთისა და იმავე ზმნის სუბიექტური და ობიექტური წყობის ფორმები სტროფში მონაცვლეობს

„ყველა დრო ხელში **შემოგაბერდა**,

შენ ჩემს სიყვარულს **შემოაბერდი**“ (გორგ.2006:17).

ვაგლახ!-როგორ დავიღალე.

არც ქალებმა არ დამითმო,

ვერც დავუთმე თავი ქალებს“ (გორგ. 2006:447).

ამრიგად, პასიური ზმნების გააქტიურებით პოეტი ქმნის საინტერესო ფორმებს, რითაც აძლიერებს ექსპრესიას. სუბიექტური და ობიექტური წყობის ფორმების სტროფში მონაცვლეობას სიტყვათა თამაშის ფუნქცია ეკისრება და ესთეტიკურობა იმატებს.

ი) რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები აჭარულში თავისებურია. ზის ზმნა აჭარულ დიალექტში გვამღევს ჟდას ფორმას, მრავლობით რიცხვში ფუძე არ ეცვლება: **ზიან// ჟდანან. ვარდნა //ზავება/ მიაზავდენ** (ფაღავა, ცეცხლაძე, 2015: 124).

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ცოცხალი მეტყველებისვე გავლენით რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნა ძირითადად არ იცვლის ფუძეს:

„დროდადრო მოიწვიმ-მოიცინებს,

გმადლობთ,-ჩემთან რომ ჩამოჯექით,

და ჩემთან ერთად რომ მოიწყინეთ“ (გორგ. 2006:494).

„მე და ზღვა ვზივართ შუა კიბეზე

და ვხედავთ, მთები როგორ მღერიან“ (გორგ. 2012:95).

აქვე გვხვდება ლიტერატურული ფორმებიც:

„ესენი **სხედან** და ბოდმებს სწერენ...“ (გორგ. 2012:158)

„საფორჩხელას ღელეში **ჩაცვენილან** ჭინკები“ (გორგ. 2012: 52).

ამრიგად, ზურაბ გორგილაძის პოეზიაში რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნის უღლებისას სიჭრელე გვაქვს, ცოცხალი მეტყველების გავლენა აქაც გამოკვეთილია.

კ) **ნასახელარი და მიმღეობური ზმნები.** ზურაბ გორგილაძის პოეზია ყურადღებას იქცევს ნასახელარ ზმნათა სიუხვით: საწარმოებლად აღებულია სხვადასხვა სახელი:

„ღმერთმა იცის, **დადაფნავენ**

თუ ასკეტად აჰქნიან“ (გორგ. 2012:58).

„აქ კი,-ჩემს ბებერ სენაკში,

სად ვაფარდაგებ ალიონს“ (იქვე,23);
 „მინდა გოდერძი გადმოვლახო, გიავთანდილო“(გორგ. 2012:91).
 „მარქვით, იქნებ ოდნავ ვერ იასმათა... (გორგ..2012:103).
 „ამაო საწუთროს ჩვენც გავიმარაბდებთ“(გორგ. 2012:439).
 „ნიჰმა ვერ იხვავთაგანა, რწმენამ ვერ იავგაროზა“(გორგ. 2012:444).
 „გავაცრემლვარე, გავაოგნე ჩემი ბეთლემი“ (გორგ. 2012: 555).
 „სანამ მეც წავალ და გადავევრანდები,-
 სულ ასე ვიტირებ და გინატრებ“(გორგ.2006:281).
 „ჯაჭვი ჟანგს აჭამა, ნაჭა მოიძულა,
 ტარო არ გაქუნჩლა, ქვევრი არ ჩაქუნჩლა,
 არ ისაწნახელა და არ მოიწურა“ (გორგ. 2012: 100).
გაუგანგანდეს ცოლიო,
 ვერცა ვინ აგახელფეხოს,
 ვერცა ვინ წაგახვალის“ (გორგ. 2012: 5).
 „საით?!- დგომა შენს პატრონთან, შენი ხალხის ალაყაფთან,
 ყოველივე მაგათ ხელში გამბუვდა და გალყაფდა“ (გორგ. 2012: 111).
 „თუ კი საწუთრო გავვიმმარცველდა,
 რა ვუყოთ მერე...რა ვუყოთ მერე“(გორგ.1988:129).
 ამ უკანასკნელი ზმნების ფუნქცია ინხოატივია.

ფუძედ აღებულია საზოგადო სახელები (დაფნა, ხვაგი, ლაყაფი), საკუთარი სახელები (მარაბდა, ავთანდილი), კომპოზიტი (ხელ-ფეხი), ზმნიზედა (განგან, ხვალე) მსაზღვრელ-საზღვრული (ცრემლის ღვარი).

ნასახელარი ზმნების სემანტიკური დატვირთვა უაღრესად დიდია: **იასმათა**, **აივთანდილა**- ერთგულად ემსახურა, **ისაწნახელა**- საწნახლის მოვალეობა შეასრულა, **გამბუვდა**, **გალყაფდა**, **გაუგანგანდა** და მისთ. ზმნები მოქმედების დაწყებითობაზე მიუთითებს.

ლ) მიმღეობური ზმნები. მიმღეობა თავისთავად ნაზმნარი სახელია, მაგრამ ის აწარმოებს ახალ ზმნებსაც. ეს მოვლენა დასტურდება ძველ ქართულშიც

მყოფობს, მოკიცხარობს, მღვდლობდა, მეუფლოს და ა. შ. ამგვარი ზმნები გვხვდება ზურაბ გორგილაძის შემოქმედებაშიც:

„ჩემი დღეების საკვირველება

შენგან შენს მიერს **თხოულობს** ისევ“ (გორგ.2012:23).

„იმას **თხოულობს** ძვალიც,

რაიც ოდესღაც მქონდა“ (გორგ.2012:56).

„ჩემი დღეების დარი, გული **თხოულობს** დარებს“ (გორგ.2012:55).

„კვლავაც **მოსასხნისე** მამა-პაპის ძვლები“ (გორგ.2012:306).

ზოგჯერ ზმნა და მიმღობითი ზმნა ერთმანეთის გვერდიგვერდაა:

და მაინც... ივერია **ქუხდა** და **მქუხარებდა** (გორგ. 2012: 36).

მ) რთული ზმნები. ზურაბ გორგილაძესთან დასტურდება რამდენიმე რთული ზმნა, რომელთაც არქაიზაციის ფუნქცია აკისრია. რთული ზმნები გაცილებით ფართოდ გამოიყენებოდა ძველ ქართულში, ახალში იგი ნაკლებად პროდუქტიულია...რთული ზმნა მარტო ქართულისთვის არაა დამახასიათებელი. იგი გვხვდება აფხაზურში და თურქულში, სადაც ზმნათა ძირითადად მასას რთული ზმნები მოიცავენ“ (შანიძე, 1981: 397).

„**ქეშმარიტ ჰყავი** ყოველი მოკვდავის გვერდით,

ქეშმარიტ ჰყავი სიტყვაც ერთი და საქმეც ერთი“ (გორგ.2007:67).

„ზოგს გულმკერდზე **ამბორს ვუყოფ,**

ზოგს დიდკრძალვით მოვხვევ ხელებს“ (გორგ. 2012: 76).

„ზოგს ბოდმის ღეჭვა **ხელეტვირთება,**

ზოგს - მათხოვრული თრევა და ურვა“ (გორგ.1988:99).

3. 6. ს ა წ ყ ი ს ი. ზურაბ გორგილაძის პოეზია ყურადღებას იქცევს საწყისის თავისებური ფორმებით. პროდუქტიულია ა სუფიქსიანი საწყისები:

„მიყვარს ზვავების და ლოდების გულზე **ჯახება,**

მიყვარს ამ მთებში **გავარდნა** და **გაყაჩაღება!**“ (გორგ.2012:43).

„გზებზე ატმების **აზდგიალება,**

კვირტში ჩიტების რძე“ (გორგ.2012:51).

„ვიხსენებ ცრემლით და გაბავშვებით,
ტკბილმწარესა და ტკბილს“(გორგ.2012:52).
„აჰყვა მემჩანის მოდას, პოეტი კაცის ჯიში,
აფთრისეული გეში, ღმეჭა, ხვეჭა და ხარჯი...
„ან ვის გვირგვინს სჭირდება,
ამ ქართული მზვავობის სირცხვილი თუ კირთება?“(გორგ.2012:38).
„ბესიკის ჯამში ანნას ბადაგს ჩააქვს ჩქაფუნნი,
ირმების ბლავილს მოაქვს ამბორიც, მოაქვს ქაფურიც“(გორგ.2012:43)..
„დამთმენი მრავალ უგუნურობის, დევნის, სიავის,
შედედებული იმთავითვე ვერნების ყვავილს“(გორგ.2012:41).
„მიჰყვებოდი ხმალთა ჭიხვინს
მიჰყვებოდი ქარის ყმუილს“(გორგ.2012:48).
აქვე გვხვდება საწყისის ილ სუფიქსიანი დიალექტური ფორმებიც:
ქვეყნის პირველ დამახილთან სახლობ“(გორგ.2012:18).

ზიდილი, ყეფილი და მისთ. საწყისები დასტურდება კახურსა
(ჯორბენაძე, 1989 : 332) და მთარაჭულში (დამახილი) (ცხადაძე, 1987:114).

ქუხვა გვხვდება სხვა პოეტებთანაც, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ილია
ჭავჭავაძესთან: და წამოვიდა სეტყვა შხუილით, **ქუხვა** და ჭეჟა, ელვა და სეტყვა
(ილია, „განდევილი“).

სურვა, ქუხვა კახური დიალექტიზმებია, აჭარულ დიალექტშიც
მონაცვლეობენ ზოგჯერ საწყისთა ა და ილ სუფიქსები: გვაქვს **ძახნა** ტიპის ფორმები
(ნოლაიდელი,1972:119). ზურაბ გორგილაძე იცნობს სხვადასხვა დიალექტის
მონაცემებს და ლექსთწყობის საჭირებისამებრ იყენებს (მათი გამოყენება ხან
რითმითაა შეპირობებული, ხანაც მარცვალთრაოდენობით). განხილულ პოეზიაში
სურვილის და **ქუხილის** ნაცვლად მათ გამოყენებას მარცვალთრაოდენობაც
განსაზღვრავს:

„წაიღებს გუგუნს და **ქუხვას**,
შვავები შლეგი და ურჩი“(გორგ. 2012:93).
„შენი ელვა, შენი **ქუხვა**, შენი ნალიმილევი,

ცოცხალის თუ გარდაცვლილის წყნარი სამოთხეები“ (გორგ. 2012: 114).

იმ მდგომარეობითი ზმნებისგან, რომელთა ფუძეს ავ' აწარმოებს, საშუალო გვარის ზმნათა (აქ: გორაობს, ცურაობს) საწყისებია: **გორაობა, ცურაობა ან გორავი, ცურავი, ბურთავი ანდა ჭიდავი.**

„ხომ გესლის ბრწყინავდა ნერვებში **ნანავი,**
ვინ იდგა შენს გვერდით, შენი გამგებელი,
არავინ, არავინ, არავინ“ (გორგ. 2012: 240).

ზოგჯერ მონაცვლეობენ სუფიქსები: ა ცვლის ილ-ს (**მახნა- მახილი, ქუხვა- ქუხილი**).

ლიქინი ჯავახურ კილოში გვხვდება და მომბეზრებელ ხვეწნას ნიშნავს.

შენ! მიჩვეულმა წლითიწლობით ჯახირს და **ლიქინს,**
ხომ არ დაჰკარგე, ჩემო ხალხო, სიცილის ნიჭი?“ (გორგ.2012:110).

„არც არავის ემუქრება,
მრავლობა და **ზრიქვა** მისი“ (გორგ.2012:34)..

ხავილი. უშნო, პირუტყვიანი ამომახილი, კატების ხმიანობაა.

„რაა ეს ლექსი, უცებ იფეთქებს
და გადაივლის ზვავის **ხავილით**“ (გორგ.2012:65).

გვხვდება ბევრი სხვა იშვიათი ფორმაც: **კეჭნა** ტექნიკური ტერმინია და **იგივეა, რაც ქდევა.**

„ის არ სჯობს ამდენ **კეჭნას** და მანჭვას
ერს გაუსინჯო დროულად მაჯა
და **სნება** თვისი პირველმა ამცნო?“ (გორგ.2012:57).

თავისებური ფორმა **სნება სნეულების** ნაცვლად ფორმა **სნების** გამოყენებას მარცვალთრაოდენობა განსაზღვრავს.

ლიქნას ნაცვლად **ლიქნის** გამოყენებაც რითმითაა შეპირობებული, **ლიქნობას** კი მარცვალთრაოდენობა განსაზღვრავს:

„ხო! ხო! ხანჯლების ლესვა, **ლაქარდობა** და **ლიქნი,**
ცრუ ცუნცრუკი და ქლესვა,- და სავარძელებზე **ფიქრი**“ (გორგ.2012:194).

„დასჯილი სიკეთისათვის სულ ვაგროვებდი წამალს,

ვერაგობამ და **ლიქნობამ** ვის რა შესძინა, ძამა! (გორგ.1988:50).

ქუცილაქუცი ლაქუცისგან ფუძეგაორკეცებით მიღებული ნეოლოგიზმია, აქ მარცვალთრაოდენობაა განმსაზღვრელი:

„მაგ. ცოლის ხვანჯრებით დაბორკილ დედლებს,

მაგ. **ქუცი-ლაქუცის** საბრალო მონებს“ (გორგ.2012:442).

ნეოლოგიზმია **ღორძინი- აღორძინება**, აქაც მარცვალთრაოდენობაა განმსაზღვრელი:

„სისხლს აკლია! - ლხინად ვარ თუ მიჭირს,

სხვის **ღორძინს** და ძლიერებას გადაკლული“ (გორგ. 2012: 469).

აქარული დიალექტში **გათხოვების** ნაცვლად გვაქვს **გათხოვა**:

აქვე გვხვდება ფორმა **გათხოვაც**:

„**გათხოვა** უნდა ამ ციაქალს, **გათხოვა** უნდა“ (გორგ. 2012: 372).

ამავე დიალექტის თავისებურებაა საწყისთა ნასახელარ ზმნათა საწყისებზე **ობას** დართვა: **ქეიფი - ქეიფობა, ლალატი - ლალატობა**. პოეტმა მშობლიური დილალექტის ეს თავისებურებაც ლექსის მეტრისთვის გამოიყენა:

ვინმეს შეარჩინა ჯარგვლის გამორეჯგვა,

ნაგულკაცობა და **ტრაბახობა**“ (გორგ.2012:101).

„თუ ჩემი ცხოვრება კოწიწდება,

თუ ლერწმა დაიწყო **ფოფინება**“ (გორგ.2006:192).

ამგვარ ფორმათა ანალოგიით ზურაბ გორგილაძის პოეზიაში გვხვდება **ფენობაც**:

„არა ყვავილთ **ფენობა** და ფერთა კარნავალი,

რა გინდოდა მთვარეზე, რას ეძებდი მთვარეზე“ (გორგ.2006:163).

მართალია, ამ სიტყვის გამოყენება მარცვალთრაოდენობითაა განპირობებული, მაგრამ მეტრისთვის შესაძლებელი იყო ფრაზის სხვაგვარი აგებაც:

„არა ყვავილთა **ფენა** და ფერთა კარნავალი“...

ასე რომ, სიტყვა **ფენობის** გამოყენება მხოლოდ პოეტის ნება-სურვილზე დამოკიდებული.

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ბევრია საწყისის მრავლობითი რიცხვის ფორმა:

„და სხვა ღიღინებით გაიარე
შენი წუთისოფლის შუკა
გზაში ღიმილებით იგონებდე
შენი დედაკაცის პუტუნს“ (გორგ.2012:75)..

„გოგო სიყვარულებს ჰყიდის
სხვის ხნულში ყრის ბიჭი თავთავს“ (გორგ.2012:65).

„დგას მშობლიურ ქუხილებს ისმენს,
სხალთის ტაძარი, სხალთის ტაძარი“ (გორგ. 2006:15).

„ნუთუ დაწდება, გაცივდება, გაგულგრილდება,
ამ ქუხილებით, ამ ზვავებით ნაპოხი ხალხი?“ (გორგ. 2006:50)

„გადიარა რა ხანია
იმ ძიძგანამ და ძიძგილებმა“ (გორგ.2012:33).

„იმდენს მკოცნიდა მოცლილი,
კილამ კოცნები მომწყინდა“ (გორგ.2012:388)..

„ახლა აღვაგე დაგვა და ოცნება
და ჩუმი გენიის საფერხეს დავები“ (გორგ.2007:84).

ზურაბ გორგილადის პოეზიაში ბევრია საწყისის მრავლობითი რიცხვის ფორმა: ღიღინები, ღიმილები, სიყვარულები.... ამგვარი ფორმებით მოქმედების ინტენსიურობაა გადმოცემული. ნასახელარ ზმნათა საწყისებს დაერთვის ობა: ქეიფი - ქეიფობა; ღალატი - ღალატობა. ზოგჯერ მონაცვლეობენ სუფიქსები ა ცვლის ილ-ს (მახნა და არა მახილი, ქუხვა და არა ქუხილი).

3. 7. მ ი მ დ ე ო ბ ა. ზმნის ფუძისგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეული- მიმდებობა ენის განვითარების ყოველ ეტაპზე განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.

მიმდებობის წარმოებისას ვლინდება ენის სიტყვასწარმოებელი პრეფიქსული მოდელი უძველესად არის მიჩნეული. ზურაბ გორგილადის პოეზიაში გვხვდება პრეფიქსული წარმოების მიმდებობანი, მათ შორის არქაულიც:

„სანამდე უნდა ვკრიფო მოთმენით,

ნაფშვენი შენი ცხელი ზოდების“(გორგ.2012“12).

„სჭირდება ერთი თხლაშო არაყი,-

და კიდევ სხვისი ნალურღნი ძვალი“(გორგ. 2012:102).

„სიტყვა დღვანელი, სიტყვა ხულელი,

სამას წელიწადს ნამარხულევი“(გორგ.2012:13)

არქაიზმია სიტყვა ნამუსრევი (ნატეხი- სარჯველაძე, 2001:164).

„სულ ჩემში ბოგინობს იმისი ნამუსრევი“ (გორგ.2006:339).

თავისებურია მიმღეობა მზაკვავი. როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ეს მიმღეობა მ-არ აფიქსიანია, საანალიზო მასალაში კი- პრეფიქსულია.

„ჩემი ქალაქის მზაკვაგ გადიებს,

...გამძუნება ვერ ვაპატიე“ (გორგ.2012:372).

აქვე ბევრია სუფიქსური წარმოების მიმღეობა:

„ინატრა, გულზე დაფრთხნილი

დგნალი და ხავსი ბრჯღალიო“(გორგ. 2012:5).

„დათოვლილი, დასეტყვილი, დამეხილი სულხან-საბა“(გორგ. 2006:8).

„შენ, ჭვანგო კლდეს მიჭვანგულო,

ხან გაბასრულო, ხან დაჟანგულო,

ხან დაეკლილო, ხან დადაფნულო“(გორგ.2012:11).

„იყავ დაჭრილი და გაქურდული,

გამობოლილი, გამოჭვარტლული,

შენ, ლოდიმირის წყალით ნათლული,

გამოშიგნული, გამოჯიქნული“(გორგ.2012:12)..

„შიგ ჭიკჭიკით მოჭუჭკული, ამ სირთების სევდა დანა“(გორგ.2006:12).

ქართულში ილ და ულ სუფიქსები მიმღეობის წარმოებაში ასე ნაწილდება: ერთთემიან, ფუძედრეკად და -ი, -ოფ, -ობ თემისნიშნიან ზმნათა წარსული დროის მიმღეობა -ილ სუფიქსიანია (შეჭმუნხილი, მოდრეკილი, დაწერილი, აბურძგნილი, დაფშვნილი, დაყოფილი), -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა მიმღეობები კი - ულ- სუფიქსიანი (მოკლული, განაბული, გამარცვული).

აჭარული კილოსთვის არაა დამახასიათებელი მიმღეობაში -ილ და -ულ სუფიქსთა მონაცვლეობა, კირნათ-მარადიდული მეტყველებისთვის კი ეს ნიშანდობლივია: მოკლილი, მოხრაკილი, დადებილი, ჩაფლილი, დარგილი“ (ცეცხლაძე, 2014: 86).

პოეტი მიმღეობის ნაცნობ გრამატიკულ ფორმას გასართმავად იყენებს:

„მრავალთაგან დალაშქრილი,

მრავალთაგან დალეწილი,

რაც რომ ქვეყნად თავი ახსოვს,

სულ თავს იცავს დალოცვილი“ (გორგ.2012:35).

საანალიზო მასალაში დასტურდება მიმღეობები, რომლებიც ნაწარმოებია ნამყო ძირითადის ფუძისაგან. განათულ, განათილ და გათაულ ტიპის მიმღეობათა შესახებ მიუთითებს მკვლევარი ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1989: 237).

„გალას ერთი ფრენჩი ქონდა,

ერთი გატყაული ჩანთა“ (გორგ.2012:111).

„მბჟან ძარღვებში და დამჟაულ ტყავების ძინთში...

პირველყოფილი მოაზროვნე, დავტოვე მხეცი“ (გორგ.2006:204).

ან ვინლა შებღალავს მოღამულ ღვთაებებს?

აქ, დევებივით რომ დირეებს დაეძებენ (გორგ.2012:116).

ჩვენი აზრით, ამგვარ ფორმათა გამოყენება მარცვალთრაოდენობითაა განპირობებული.

პოეტი იყენებს დიალექტურ მიმღეობებსაც. ესენია: ნაჟვერი, დაბლოტილი, ამოზუნზლული

„ჟამით ნაჟვერს, დაობლებულს,

დაბლოტილს და დატორილს

სულ ნატრობდა რომ ჰყოლოდა,

მფარველი და პატრონი“ (გორგ. 2012:61).

„საქართველოს სიყვარულის თაფლში ამოზუნზლული“ (გორგ.2006:66).

ზუნზლი გურული დიალექტიზმია და ხმამაღალ ტირილს ნიშნავს, ამოზუნზლული კი დასველებულს უნდა ნიშნავდეს.

„სული მექნებოდა ბავშვის პერანგივით

სუფთა, სურნელებით **მღუარი**“ (გორგ. 2006:351).

„**ღილი** წითლად ნათებაა“ ლლონტი, 1984:596)

„რა აფართხალებს გზისპირებზე **მღუარ** კუნელებს“ (გორგ. 2006:29).

„მოკუმულა ვნებად **გამრცვნილ** ბაგეებს ზედა“ (გორგ. 2006:323).

გამრცვნილი არქაიზმია: განმარცვლა არის გახდა (სარჯველაძე, 2001:46).

„ცით **მოწყურვილი** ციაგი...“

ცივი, ციური ცვარიო“ (გორგ. 2012:5)

არქაიზმებია საწყისის ფუძისგან ნაწარმოები მიმღეობები: **გადნობილი**, **დაჟდომილი**, **გამოცხობილი**... ავ თემისნიშნიან ზმნათა მიმღეობებში მოსალოდნელი ულ სუფიქსის ნაცვლად გვაქვს **ილ'** და შენარჩუნებულია თემის ნიშნისეული **ვ**: **დახურვილი**, **გაბურღვილი**. ამგვარი ფორმები დასტურდება **მთიულურ-გუდამაყრულში**, **ხევსურულში**, **ქართლურში** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961:36). ისინი შემოგვინახეს დიალექტებმა.

„ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?!

სხვისი ნიჭის მოთაყვანე, არბლენძი და **კადნიერი**“ (გორგ. 2012:34).

პოეტი ზოგჯერ ამჯობინებს პრეფიქს-სუფიქსურ მიმღეობას სუფიქსურის ნაცვლად, რაც მარცვალთრადენობითაა განპირობებული. ასეთებია შემდეგი **ნა-არ** პრეფიქს-სუფიქსური მიმღეობები:

„და თუ ვახსენე, **ნაოხრალმა** მესხეთმა რა თქვას,

მემედ ბატონო?“ (გორგ. 2006:23);

„**ნაოხრალით** იოხებდი, იოკებდი გულის ვარამს“ (გორგ. 2012:48).

„არასოდეს უცხოვრია,

ნამათხოვრალ-ნაპარავით (გორგ. 2012:35).

„როს სხვის გუჯრებს დაანთხიოს,

მისი კალმის **ნაწვეთარი**“ (გორგ. 2012:34).

... „ყველა უგონო მწყურვალის და **ნაპურვალის** ღირსი“ (გორგ. 2012:412).

„ჩემს წამებულ ჭალაკებს,
ტყეებს, მზის ნაბუღარებს“ (გორგ. 2012: 86).

უარყოფითი მიმღეობები ნაწარმოებია უ პრეფიქსითა და უ-ელ პრეფიქს-
სუფიქსით: აუწყავი, უნჯი, ურჩი, განუკურნელი

„რომ მოვპარე სულხან საბას აუწყავი მარგალიტი“ (გორგ. 2006: 8).

„ჩვენი სიყვარული უბღალია“ (გორგ. 2012: 398)

„უნჯი და ურჩი ეტმასნება წითელ დაისებს (გორგ. 2012: 164).

„ზოგ ლექსს დედის სუნი ასდის, ზოგს - დიდნენეს სურნელი...“

ჩემსას!-მარად ზენაარი ზაფრა განუკურნელი“ (გორგ. 2012:70).

უკანასკნელი ფორმა უჩვეულოა იმ გაგებით, რომ თემის ნიშანი
დაკარგულია, რაც მარცვალთრაოდენობით უნდა იყოს განპირობებული.

მო-ე პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღეობებია: მოგიზგიზე, მოთნე, მოქიცინეც

„მოგიზგიზე ბუხარივით მომაცხუნებს მისი წვერი“ (გორგ.2006:7).

„მოთნეც, მოენეც და მოქიცინეც,

ყველანი ჩემზე კარგად არიან“ (გორგ.2006:179).

„ამ ფერფლზე მოფარფაშევ, როგორ არა გრცხვენია!“ (გორგ.2006:43).

„თვალს აღერებს შენს ქვეყანას ვიღაც ოხერ-მოხეტე“ (გორგ.2006:45).

გამოიყოფა მ-არ// მო-არ, მა-არ პრეფიქსსუფიქსიანი მიმღეობებიც: მქუხარი,
მოზიზღარი, მაოხრალი.

„გადმოაგორებს ჭოროხი მორებს,

ჭოროხი რჯულით მქუხარი ასე“ (გორგ.2006:29).

„ბევრი გვილიმოდა მოზიზღარი,

ბევრი გვიცინოდა სამსალითა“ (გორგ.2006:55).

„დღეს სხვა დროა, სხვა მსხვრევა და განგაში,

შენს მაოხრალს რომ ამხელს და ამბობს“ (გორგ.2006:19)...

მარცვალთრაოდენობის გამო ზოგჯერ ურ სუფიქსს ელ-ი ცვლის კონფიქსებში:

„მაგრამ ვერ ვნახე ვერც გვირგვინი, და ვერც ვუალი,

რომ ამ სამივე საცდუნელზე ეთქვას უარი“ (გორგ.1988:223).

„თუ საბოძველის ბოძებს ლამობ,

უპირველესად მოდი და მოეც, სინდისი!!“(გორგ.1988:50).

ზოგჯერ სასუბიექტო და საობიექტო მიმღობანი ტაეპში სიტყვათა თამაშის როლს ასრულებს:

„კაცი სათალი, კაცი მოთალი,

ოჯახში ბევრი ფულის მომტანი“... (გორგ. 2012: 371).

3. 8. უდეტრები. ზურაბ გორგილაძის პოეზია ყურადღებას იქცევს უდეტერთა წარმოებითაც. თავდაპირველად განვიხილოთ ზმნიზედების თავისებურებანი. გვხვდება სხვადასხვა დიალექტის ფორმა:

„დალახვრული, დანაღმული ისე ჩემთვის იჩქითად,

თორემ ქვექვე წმაქაწმუქი აგერ, რამდენიც გინდა“(გორგ. 2012:398).

„სამშობლოში ვის ჭამს ეგრე,

ეგ უღმერთო მაგალითი“(გორგ.2006:62).

„ვაიმე, რაფერ გიბერდები

და..რაფერ გინათესავდები!“ (გორგ.2006).

„სიმაღლის გამო, ზარების ზედან

ათოვს გუმბათებს,-ათოვს და აწვიმს“(გორგ.2012:89).

„-ახლა გახედეთ, რა ხდებაო ქვეყანას ზედან“(გორგ.2012:109).

აქ, მაქ ზმნიზედები დაირთავს ზე/ ში თანდებულებს: აქში, აგზე... ზე'ს წინ ქ გამქლერდა: აგზე, მაგზე... ასეთი ფორმები ზურაბ გორგილაძის პოეზიისთვის უცხოა,პოეტი იყენებს თანდებულთა არქაულ ფორმებს:

„-ახლა გახედეთ, რა ხდებაო სატახტოს შიგან“(გორგ. 2012:109).

„დაცხრა ყვავილთა და ფერთა ბატალია

ახლა ველთაშიგან ქარნი კრიახოზენ“(გორგ. 2012:319).

უთანდებულო ფორმათა გამოყენებასაც მარცვალთრაოდენობა განაპირობებს:

„შენ ყოფილხარ კალოთას? შენ ყოფილხარ ნენიას?

შენ პირველი გალობა გულზე მოგიფრენია?“(გორგ. 2012:37).

„გადმოვარდნილს გოდერძით თუ ხინოს მთით თუ ორცვითაო,

თაგოს მთვარე თავდგირიძის თუნთასავით მკოცნიდაო“(გორგ.2006:73).

კავშირი განხილულ მასალაში გვხვდება როგორც არქაული, ისე დიალექტური ფორმით: მარა, ჰამა, გარნა, ვითარცა

„მარადიდი! მარადიდი!

დაგლეჯილი, მარა... დიდი“ (გორგ.2012:55).

„სულ ქართან იდავა სიცოცხლე ალვამა,

მეც, აგერ ვფარფატებ ვითარცა ფარვანა“ (გორგ.2006:446).

„გარნა ყოვლი გასრულდა გარნა?“ (გორგ.2006: 64)

კვალად გულგრილი, კვალად ხარბი, კვალად მხურვალე,

უკვე მეოცე საუკუნის სარკმლებს ხურავენ (გორგ. 1988: 37).

„წავალ, ჰამა... რომ წავიდე,

იმფერი რა დავიბარო?!“ (გორგ.2006:32).

„თვარა ერთ ქალზე რა დამტევს,

იმლამინდელ კოცნითა“ (გორგ.2007:119).

ზურაბ გორგილამის პოეზიაში მეტად საინტერესოა დასტურ ნაწილაკის გამოყენება:

„მყუდროობაში ჩემი თავი ვიპოვე დასტურ,

ბედნიერებას მოცახცახე შევახე ხელი“ (გორგ.2006:259).

დას(ტ)ურ ნაწილაკი სხვა დადასტურებით ნაწილაკთა გვერდით გვხვდება ქობულეთურში (დასტურ, მართლა) (ხახუტაიშვილი, 2013:124), დასტურდება გურულშიც (ღლონტი, 1984:186).

პირდაპირ ნათქვამთან ხშირად იხმარება ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ სხვისი ან თავისივე წინანდელი ნათქვამის განმეორებას, ესენია -მეთქი, -თქო და -ო. ნორმის მიხედვით, სხვათა სიტყვის ო გვხვდება წინადადებაში დაერთვის მხოლოდ ბოლო წევრს.

ზ. გორგილამის პოეზიაში სხვათა სიტყვის ო წინადადებაში რამდენიმე წევრს ერთვის: განწირვაცო, ღალატიცო, ექვიცო და შხამიც...სტუმარო, მოიწყენთო რატომო...

„-სიყვარულსო... შვენის მუდამ, ღმერთის მოსასხამი,

დღისო,- მორცხვი ბრწყინვალეა, სიგიჟეო, -ღამის,

გრძნობებისო, - მქუხარება, ბალახისო, - ჩქამი,
განწირვაცო, ღალატიცო, ეჭვიცო და შხამიც“ (გორგ. 2012: 345).

„-ახლა გახედეთ, რა ხდებო ქვეყანას ზედან,
-მითქმა-მოთქმაო, ჩოჩქოლიო, - აუწყეს ნეტარს.

სტუმარო! - და მხარზე ფუთიანი, ტორი დამაბრძანა კუნთიანი,
სტუმარო, მოიწყენტო რატომო“... (გორგ. 2012:546).

საანალიზო პოეზია ყურადღებას იქცევს იშვიათი შორისდებულებით:
ეივახ, ვაისულო, ოჰ...

„ეივახ, ამის შემხედვარე
ნამსხვანიდან გაველ განა“ (გორგ.2006:13).

„მე რომ მაფხიზლებს, მომავლის ხმაა,
ეივაჰ, მაჯები რაისთვის ვხარჯე“ (გორგ.1988:114).

„ნენი, ჩემი სოფელი...ყველი ერთი წველა“ (გორგ.2006:59).

„ნენე, ჩემი სოფელი...თორთქოშელა გოგო!“ (გორგ.2006:59)

„ვაისულო, რომ არ დაჰკარგოს კაბინეტი“ (გორგ.2012:539).

„ჰაიტ! შე ფარცაგო და მაკვარანცხო,
ჰაიტ! შე ჭინკას ჭლიკო, გოგიტა!“ (გორგ.2007:111)

შორისდებული ხშირადაა ქვემდებარედ გამოყენებული:

„მდევს უკმარობით და დაჟინებით

ხევის ვაი და ვუი“ (გორგ.2006:90).

„ობლის აკვანზე, დედის თმებზე, მამის ბეჭებზე
გადაიარა საუკუნის ვაიმ და ვუიმ“ (გორგ.2006:325).

ამრიგად, ზურაბ გორგილაძის პოეზიაში თანდებულებსა და ზმნიზედებში გვხვდება სხვადასხვა დიალექტის ფორმა. პოეტი ხშირად მიმართავს ზემოაჭარულისთვის დამახასიათებელ შიან, ზედან ფორმებს და არქაულ შიგან. სხვა დადასტურებით ნაწილაკთა გვერდით ქობულეთურში გვხვდება დასურ (დასტურ, მართლა) ნაწილაკი. უთანდებულო ფორმათა გამოყენებას არქაიზაცია და სტილიზაცია მარცვალთრაოდენობა განაპირობებს.

§4. სინტაქსური თავისებურებანი

4. 1. სიტყვათა რიგი წინადადებაში. მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა შეისწავლეს ზ. სარჯველაძემ და ც. კალაძემ. ახალი ქართულისთვის ნორმაა მსაზღვრელის პრეპოზიცია, ძველი ქართულისთვის კი – პოსტპოზიცია. ადრე გვექონდა კაცი კეთილი დღეს გვაქვს კეთილი კაცი (სარჯველაძე, 1984:537).

რაც შეეხება ზმნის ადგილს, ის ბოლოსაა, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურაში ზოგჯერ საჭირო ხდება რომელიმე სიტყვაზე საგანგებო ყურადღების მიქცევა, საამისოდ საჭირო ხდება მისი გადაადგილება, ანუ ინვერსია. სიტყვათა ბუნებრივი წყობის შეცვლა იწვევს სიახლის განცდას, ემოციური მახვილი მოდის სწორედ გადაადგილებულ სიტყვაზე. ეს კი მკითხველის საგანგებო ყურადღებას იქცევს.

მხატვრულ ლიტერატურაში „გრამატიკული ფუნქციის უქონლობის პირობებში მკაფიოდ ვლინდება საკომუნიკაციოსთან ერთად სიტყვათგანლაგების სტილისტიკური ფუნქცია“ (აფრიდონიძე, 1986:121).

„კვლავაც მრავალი გადაივლის სულში დემონი,
კვლავაც მრავალჯერ მიეგება დიდებას ბოროტს
ვისაც აქვს ნიჭი თავისთავში მთავარს ემონოს,
თავისუფალი არის მხოლოდ“ (გორგ. 2012: 298).

დემონი - სუბიექტი ბოლოშია, ზმნა უსწრებს ზმნიზედას.

„ინვერსიული რიგი, შემასმენელი+ქვემდებარე შესანიშნავი ენობრივი საშუალებაა ავტორის ჩანაფიქრის განსახორციელებლად...“ როცა გამონათქვამის მიზანი არის არა მოქმედება, არამედ მოქმედი, ქვემდებარე ბოლოკიდურია. ამ შემთხვევაში მოქმედებს მარტივი ფსიქოლოგიური მომენტი - ბოლო უფრო გვამახსოვრდება, ყურადღება მასზე ჩერდება“ (ინჯია, 2004: 15).

ან კიდევ:

„სამრეკლოების აწვდილ ხელების,
მე გაუგონარ ყიჟინას ვისმენ“ (გორგ.2012:23).

ზოგჯერ წყობას არა სტილისტიკური მიზანი, არამედ ლექსთწყობა განაპირობებს:

„..., მე შემიძლია მივაყურო გატრუნულ მინდვრებს...“

ხალხს კი იმდენი უნდა მისცე, იმდენი ასვა,
 ბრბოდ და ბოგანოდ იქცევა ვიდრე“ (გორგ. 2012: 150).

„მე დიდებას ათასნაირს ვიცნობ,
 ყველაფერი მოიხვეჭო ვინძლო,
 მაგ დიადის, მაგ მარტვილის გარდა“ (გორგ. 2012: 167).

დროის ზმნიზედა ტაეპის ბოლოსაა, რადგან ის ქმნის რითმს.
 განხილულ პოეზიაში თუ მსაზღვრელად გამოყენებულია ზედსართავი
 სახელი, წყობა პოსტპოზიციურია.

„მისი კალმის ფრთა დიადი
 გუთნეულში გუგულს მიაქვს“ (გორგ.2006:7).

„მესმის მისი სუნთქვა ცხელი თუ ზარების გუგუნია“ (გორგ.2006:7).

„მახსოვს, ეცვა კაბა ჭრელი,
 კაბის ბოლო ჰქონდა სველი“ (გორგ. 2012: 359).

„დუმბილს მარადიულს ანგრევს
 ვნებიანი ქროლვის ირონია“ (გორგ. 2012: 162).

თუ მსაზღვრელ-საზღვრული გათიშულია, მაშინ ორივენაირი წყობა
 შეიძლება შეგვხვდეს:

„სენაკში ზეთი მიმქრალა ლურჯი,
 აღსავალს ჟამი ჟვერავს ვერაგი“ (გორგ. 2012: 69).

„ზღვის ზარიანი მეხლება ზვირთი (გორგ.2012:27).

პოსტპოზიციურია ასევე მართული სუბსტანტიური მსაზღვრელიც:
 „შენს ხურჯინთან მომყვა მაშინ,
 სუნი ხმლის და სუნი დენტის“ (გორგ.2006:9).

„მარაბდასთან რაინდები წვანან,
 მაგალითი ერთგულების დიდის“ (გორგ.2006:11).

ამრიგად, ზურაბ გორგილამის პოეზიაში ნიშანდობლივია სიტყვათა
 ინვერსიული წყობა, რის საფუძველიც ლექსთწყობაა, დანიშნულება კი
 გადაადგილებულ წევრზე მკითხველის ყურადღების გამახვილება!

4.2. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების თავისებურებანი

თუ მსაზღვრელი ბოლოთანხმოვნანია და წინ უსწრებს საზღვრულს, იგი იცვლება ყველა ბრუნვაში. ამ შემთხვევაში შეიძლება გვექონდეს ოთხი სახეობა. სახელდობრ:

1) **სრული**, როდესაც მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ოღონდ ვითარებითში იღებს მიცემითის ნიშანს, ხოლო მოქმედებითში-ნათესაობითისას.

2) **გარდამავალი**, როდესაც მსაზღვრელს სრული დაბოლოება აქვს მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია მიცემითსა და ვითარებითში, ხოლო ნაწილობრივ (თანხმოვნითი ელემენტი) მოკვეცილია ნათესაობითსა და მოქმედებითში;

3) **შეკვეცილი**, როდესაც სახელობითის, მოთხრობითისა და წოდებითის გარდა, სხვა ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია.

4) **ვულგარული**, როცა ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმა გვაქვს (ნორმები, 1970: 132).

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ნათესაობით ბრუნვაში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების **შეკვეცილი** სახეობაა გაბატონებული. ამგვარი ფორმები როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არის აღნიშნული, გავრცელებულია ზემოაჭარულში (ნოლაიდელი, 1972). პოეტმა მშობლიური დიალექტის მონაცემები ლექსის საჭიროებისამებრ გამოიყენა და თან შექმნა ამ კუთხის კოლორიტიც:

„ლოდების ძირში შემოდებულ ქართული ძვლების,

ძველო პატრონო“ (გორგ. 2012:20).

„მგალობელ ქარებს ლოცვად ედება,

კოცონი მისი მოწოლილ ვაზის“ (გორგ. 2006:21).

„და მოგვძახის, კვლავაც შვილნო

ბებერ ძვლების ტკაცუნით“ (გორგ. 2012:40).

„რომ დამეცვა „ვარდონანა“

და ლეჩაქი ქართველ დედის“ (გორგ.2006:7).

„ვინც ბედდამწვარ საქართველოს

ბედისათვის იქმნა ალაღ“ (გორგ.2006:7).

„კაცობრიულ ჯანლით მტვირთავს,

სიცრუეც და სინამდვილეც“ (გორგ. 2012:49).

„ვივლი, ბიბლიურ სამოსით ვივლი,

გაწვევ კახაბრელ გლეხის შეგნებით“ (გორგ. 2012:171).

„და ცას გააოცებს დაღლილ მწუხარებით ბერთვენახი”

„წიფლი ფოთოლ ლექსებს ვწერდი,

დამწიფებულ მოცვითაო“ (გორგ. 2012:66).

„სხვენზე მიმაღულ ნუსხურის ზოდით,

დგას და ჩურჩულებს სხალთის ტაძარი“ (გორგ.2006:16).

„მხოლოდ ყორნები ფარფატებდნენ ჩვეულ სისხარტით“ (გორგ. 2012:21).

„არა მორწმუნის მდაგველ განცდებით,

არამედ როცა ცეცხლიც იწვება“ (გორგ. 2012:69)

„ისევ..კლდის ძირში დაბმულ გმირივით,

ისევ..ხსოვნაში წაფრენილ ყელით...“ (გორგ. 2012:106).

„და წავალ ქარში გაშლილ მკლავებით,

მე ჩემი დროის მემკვიდრე პრინცი“ (გორგ. 2012:115).

იმვითად გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების გარდამავალი სახეობაც: „ქოხების ყორყში ამოსული ქართული

სულის დიდო ბატონო“ (გორგ. 2012:21).

„ვივლი ამ ტლუ ბილიკებს ნამიანი თვალებით“ (გორგ. 2012:59);

ზოგჯერ ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების შეკვეცილი და გარდამავალი სახეობა:

„და ამ ლამაზ და ჭკვიანი ქალის

სისულელეზე უყვება ბიჭებს“ (გორგ.2006:350).

აღნიშნული ტაეპი შესაძლებელი იყო აგებულიყო სხვაგვარადაც (ამ ლამაზი და ჭკვიანი ქალის სისულელეზე უყვება ბიჭებს), მაგრამ პოეტი

ოსტატურად იყენებს პარალელურ ენობრივ ფორმებს და მით უფრო ექსპრესიულს ხდის ფრაზას.

იშვიათია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების **სრული სახეობაც**:

„დრო ინათლება, როგორც მინდია,

ჩუმი გრძნეულის მგზნებარე ხელით“ (გორგ. 2012: 545).

ერთგან გამოვლინდა **ვულგარული სახეობაც**:

„და გეუფლება **შორეული წინადღესავით,**

სინათლესავით ჩამქრალი და ჩუმი მოწყენა“ (გორგ. 2012: 339).

ამრიგად, ზურაბ გორგილაძის პოეზიაში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების **შეკვეცილი** სახეობაა გაბატონებული. იშვიათად გვხვდება **გარდამავალი და სრული სახეობანიც**. ზოგჯერ ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების **შეკვეცილი და გარდამავალი სახეობა**. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების სახეობების არჩევას ლექსთწყობა და სტილიზაცია განსაზღვრავს.

4. 3. ქვემდებარე-დამატებათა რიცხვში შეთანხმება ზმნა-შემასმენელთან

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ზმნა მრავლობით რიცხვშია მაშინაც, როცა სახელს სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა ახლავს:

„რამდენი **ლომთავა, რამდენი მგელთავა,**

მეფესთან **კნაოდნენ,-**

ყიოდნენ გლეხთანა“ (გორგ. 2006: 184).

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში შეინიშნება რიცხვში შეუთანხმებლობაც. ასეთი რამ უცხო არაა **ქვემოაჭარულისთვის**, სადაც სულიერი საგანი მრავლობითშია, ზმნა - მხოლობითში. ზ. გორგილაძის პოეზიაში ამის მიზეზი ზოგჯერ არის მარცვალთრაოდენობა:

„გვარიანად **შეგაწუხა** შენმა **ფსევდორაინდებმა ...**

კაი მაგრად **შეგაცბუნა** ამ სუნსულა **მსუნაგებმა“** (გორგ. 2006: 125).

„**დეიზრდება, დეიყივლებს,**

ქიორაი **ჭუჭულები“** (გორგ. 2006).

„მათ მიუძღვება,- და განახლებს,

ელაქუცება სოფლის ძაღლები“ (გორგ.2006:445).

ამავე მიზნით ზოგჯერ ერთმანეთის გვერდიგვერდაა მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები:

„ფხიზლობენ, დინჯობენ, დუმან,

სიმაღლის ფარული ნებით,

სატკივარს, ჯავარსა და გუმანს

არავის გაუმხელს მთები“ (გორგ.2006:107).

შეიძლებადა ყოფილიყო-არვის გაუმხელენ მთები.

როგორც ვხედავთ, ამავე ლექსში სუბიექტისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების სხვაგვარი შემთხვევაც გვაქვს.

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში რიცხვში შეთანხმების მაგალითების გვერდით გვხვდება შეუთანხმებლობაც. ზოგჯერ ერთმანეთის გვერდიგვერდაა მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები. სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხში პოეტი ლექსთწყობის საჭიროებისამებრ იყენებს დიალექტისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

4. 4. სინტაქსური კონსტრუქცია

ა) **ერგატიული კონსტრუქცია.** მოთხრობითი სხვა იბერიულ-კავკასიური ენების სპეციფიკური ბრუნვაა. იგი უცხოა ინდოევროპული, სემიტური და სხვა ჯგუფების ენებისათვის. იმ ფუნქციას, რომელიც მოთხრობითს ქართველურ ენებში აკისრია, ინდოევროპულსა და სხვა ენებში სახელობითი ასრულებს, ამიტომ მოთხრობითბრუნვიანი, ერგატიული კონსტრუქცია ქართველური და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური ენების თავისებურებაა. ქართულში მოთხრობითი ბრუნვის ერთადერთი ფუნქციაა ქვემდებარის გამოხატვა მხოლოდ 1) გარდამავალ ზმნებთან; 2) I სერიის მწკრივებთან.

მოკლედ, ქართულ ენაში მოთხრობით ბრუნვას ერთადერთი, საუკუნეების განმავლობაში უცვლელი ფუნქცია აქვს: გამოხატოს გარდამავალი ზმნის სუბიექტი მეორე სერიის ფორმებთან. ზმნა ამ დროს შეიძლება იყოს ორპირიანი, სამპირიანი და ზოგჯერ – ერთპირიანიც კი (ამ დროს, როგორც წესი, დაკარგულია

ობიექტური პირი). „სამხრული კილოების საერთო თავისებურებაა გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობითში დგომა. აქედან კი ერგატიული კონსტრუქცია ყველაზე მეტადაა გავრცელებული კლარჯულში“ (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017: 31-32) .

პოეტი ხშირად იყენებს ამგვარ კონსტრუქციებს გარდაუვალ ზმნებთან მეორე სერიაში: **გლებმა არ მივიდა, არ მიეფერა, გლებმა შეება, ნენემ შეფაშფაშადა, დაქანცულებმა დავეყვით ყანას...**

მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს:

„გლებმა,-

როდის იყო, დალილ-დაქანცულმა

სახლში მივიდა და ცოლს არ მოეფერა“ (გორგ.2006:113).

„გლებმა,-

როდის იყო, დედასაქართველოს

ულელს არ შეება და არ გაუწია“ (გორგ.2006:114).

„ნენემ ერთი შეფაშფაშადა,

მზიებით გიევსო თვალი“ (გორგ.2012:353).

„თოხის ტარებზე დაქანცულებმა, მამის ალერსში დაქანცულებმა,

დავეყვით ყანას, მოშრიალეს ცისფერ კაბაში“ (გორგ. 2012: 553).

ზოგი ზმნური კონსტრუქცია აგებულია დიალექტურად. მაგ. დაჰპირდა ის მას მას კი არა, მან მას იგი...

„შენც ისეთ კაბინეტში შემიძებ, ღმერთო,

რომ არ დამპირდნენ არაფერი“ (გორგ.2006:541).

აჭარული დიალექტის ამ თავისებურებით პოეტი ქმნის მშობლიური კუთხის კოლორიტს.

ბ) მასდარული კონსტრუქცია. საინტერესოა მიზნის გარემოების ფუნქციით მასდარული კონსტრუქციის გამოყენება, მაშინ როცა დღევანდელ ქართულში აქ მიმდებარე გამოიყენება. ეს ერთგვარი სტილისტიკური ხერხი აქ არქაიზაციისთვის გამოიყენება: **ხვეჭად, ჭამა, არდამშვიდებად, აღსარებად, სმად, წყევლად, ყნოსვად...**

„არა ხვეჭად, არა მუჭის სარჩოდ,

ეს რამდენჯერ ავუჯანყდე სინდისს“ (გორგ.2012:62).

„დამიწვევენ ჭყინტი ყველის და გოროხი ჭადის ჭამად“ (გორგ.2012:76)..

„მოყვასთა ჩემთა რას ვუტოვებ არდამშვიდებად“ (გორგ.2012:217).

„ღმერთო დიდებულო! მოველ აღსარებად“ (გორგ.2012:319).

„შენ როგორც გინდა ისე თქვი, სმად ხარხარებ თუ ჭამად“ (გორგ.2012:408).

„კაპასი მარტოს წითელი კვირტი,

მოკუმულია ვნებად გაცვრცნილ ბაგეებს ზედა“ (გორგ.2006:335).

„ბოროტის გვემად და მოყვასის გულგასაფრენად,

ვჭრი მარმარილოს“ (გორგ.2006:89).

უკანასკნელ მაგალითში მიზმის გარემოების ფუნქციით გვხვდება ორგვარი კონსტრუქცია, ერთში საწყისია გამოყენებული, მეორეში - მიმღეობა.

გ) ზურაბ გორგილადის პოეტური სინტაქსის ერთი თავისებურება

ზურაბ გორგილადის სტილის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანია ფრაზის პლეონასტურად აგებულება.

ერთნაირი ფუძეები აქვს **სუბიექტსა და შემასმენელს**. ასეთი ფრაზები აზრი კი ღირებულებათა გადაფასება ან შენარჩუნებაა, რომ საგნები თავიანთ დანიშნულებას აღსრულებდნენ: **ცელი ცელობს, ტარი არ ტარობს, თალხი მაინც თალხობს და ა. შ.**

„მღერი, თუმცა **თალხი მაინც თალხობს,**

ბარში რაღაც გლახა ხმები ჩამოდის“ (გორგ. 2012:17).

„შენს ლახვრებს და შენს პარტახებს რა მოთვლის,

მღერი, თუმცა **თალხი მაინც თალხობს**“ (გორგ.2006:19).

„როგორც ქვეყნის მეველე და მოვალე,

ბალღიც ლომობს, **ბალღიც აღარ ბალღობს**“ (გორგ. 2012:18).

„გუთნის **ტარი არ ტარობს,**

აღარც იგი **ცელი ცელობს**“ (გორგ. 2012:65).

„ჩემი, რაა ჩიკლიკი, **ჩოგანიც ვერ ჩოგანობს**“ (გორგ.2012:447).

„რაღაც კვალუცნაური,

მიწას ფარცხავს ფარცხები“(გორგ. 2012:24).

ხშირად ერთნაირი ფუძეები აქვს **ობიექტსა და შემასმენელს:**

„შენ ჩემს ვედრებას რას ევედრები,

თავად ვედრებავ და სინანულო“(გორგ. 2012:72).

„წუხილს, ჩემთვის რომ წუხდა ილია,

რომელ ცრემლში და წუხილში გარევ”(გორგ. 2012: 107).

„ჩქოლი არ დაჩქოლა, ჯირკი არ ჩაჯირკვა,

ზვინი არ დაზვინა, ისე დაიღალა“(გორგ.2012:100).

„ან ეს ძაღლი ჩააძაღლე, ანდა,

ქარავანი დააბრუნე უკან!“ (გორგ.2006:11).

„ ღმერთო, დარდიც ვერ ვადარდიანე,

ვერ მოვაწყინე ჩემი მოწყენაც”(გორგ. 2012: 220).

ზოგჯერ ერთი და იგივე სახელია სუბიექტი და ზმნის ფუძე:

„დავდივარ ველზე და დუმილი გულს მიკლავს,

ობერი მაობრებს, მაოტებს ანტერი“(გორგ. 2012:289).

მეტად საინტერესოა ისეთი მსაზღვრელ-საზღვრულის გამოყენება, რომელთა ფუძეებიც ერთნაირია:

„რა ვქნა, ჩემი სიყვარული

უფრო საყვარელი მინდა“(გორგ. 2012:24).

„გახტა ხანი, ხანმრავალი,

საჩურჩულეც, საგუგუნეც“(გორგ.2012:48).

აქ შედარების ორივე კომპონენტიც შესაძლებელია იყოს ერთი და იგივე სახელი:

„ჯოხს აკაკუნებს და ათამაშებს

ჩრდილში ჩრდილივით დამჯდარი კაცი“(გორგ. 2012:307).

„შენ ღალატი ღალატივით გბულდა,

რაც ამკობს და... ახურდავებს ქალს“(გორგ.2006:242).

„მოგკვდები ყველა სიკვდილივით,

იმ ერთის გარდა,

იმ ერთის გარდა“(გორგ.2006:367).

კიდევ უფრო საინტერესოა ფრაზაც, რომელშიც გარემოება, დამატება და ზმნის ფუძე ერთი და იგივე სახელია:

„**ღალატს ღალატით ვერ ვუღალატე,**

ვერ შევიყვარე ვერც სიყვარული“(გორგ.2008:233).

„**ვინც დრო დაამხო საკუთარ დროში**“ (გორგ. 2012: 148).

ზოგჯერ ერთი და იგივე სახელია სუბიექტი, ობიექტი და ზმნის ფუძე:

„**კოცნას კოცნაზე ვერ ვაკოცნიე,**

ვერც მოვაცილე ბაგეს ბაგენი“ (გორგ. 2012: 220).

„**ჩემმა თავმა ჩემი თავის უთავობა მამყოფინა**

და თავი დამამხობინა” (გორგ. 2012: 412).

ერთი და იგივე სახელია სხვადასხვა სახის გარემოება და ზმნის ფუძე:

„**ჭინკებთან ჭინკობდნენ,-**

მნათესთან მნათობდნენ“(გორგ.2006:185).

„**სწამდა, მაგრამ უღმერთობა,**

უღმერთობის გამო სწამდა!“ (გორგ. 2012:125).

აქვე უნდა დავასახელოთ პირნაკლ ზმნასთან იმავე ფუძის სუბიექტის გამოყენებაც:

„**აღარ თოვს თოვლი, მათრობელი აღარ თოვს თოვლი**“ (გორგ. 2012:188).

ამრიგად, ზ. გორგილაძის პოეზიაში ცოცხალი მეტყველების ზეგავლენა აისახება სინტაქსურ კონსტრუქციებშიც, მეტადრე, ერგატიულის გამოყენებაში. არქაიზაციის ელფერს ქმნის მასდარული კონსტრუქცია. მის გვერდით, ფრაზაში შეიძლება შეგვხვდეს მიმღეობაც. ძველი და ახალი ქართულის მონაცემებს პოეტი სტილიზაციის მიზნით იყენებს. ზ. გორგილაძის პოეტური სინტაქსის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანია პლეონასტური აგება ფრაზისა, სადაც შემასმენელი და სუბიექტი, ობიექტი/ ობიექტები, გარემოება/ გარემოებანი ერთი და იმავე ფუძის სიტყვებია.

თავი II. ზურაბ გორგილაძის პოეზიის ლექსიკური თავისებურებანი

მხატვრული ლიტერატურის ენა მთლიანად გამოავლენს სალიტერატურო ენას თავისი სტილური მრავალსახეობითა და არალიტერატურული განშტოებით. ის სტილისტიკურად მკვეთრად განსხვავებულია და დამოკიდებულია მწერლის ინდივიდუალურ მანერაზე. ლ. ბარლასის მიხედვით, მხატვრული ლიტერატურის ენას სტილთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მრავალფეროვან, ხშირად განსხვავებულ ენობრივ ერთეულთა (ვულგარიზმები და ამალღებული ლექსიკა) ერთობლიობის სტილისტიკური შეფერილობა განსაკუთრებით ფართო და მრავალფეროვანია (Барлас,1978:122). სტილისტიკური ფუნქციით შეიძლება გამოიყენებოდეს არა ცალკეული ელემენტი, არამედ სხვა სტილთა ნიმუშები, ჟარგონიზმები და დიალექტიზმებიც.

სიტყვა შეიძლება გამოვიყენოთ ნეიტრალური მნიშვნელობით (ტიპობრივი გამოყენება) და მას მივანიჭოთ ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობაც. სიტყვათა უმეტესობა ნეიტრალურია. ლექსიკა, რომელიც ემოციურად არაა შეფერილი, სტილისტიკურად არაა მარკირებული, ნებისმიერ სტილისტიკურ რეგისტრში გამოიყენება. ზურაბ გორგილაძის პოეზია მაღალი ესთეტიკურობით გამოირჩევა „სიტყვის ესთეტიკა უშუალოდ უკავშირდება მის ემოციურ-ექსპრესიულ ფუნქციას, რადგან ამ უკანასკნელისგან დაცლილი სიტყვა უბრალოდ აღმნიშვნელია ფაქტის, მოვლენის, მოქმედების ან მდგომარეობისა, ამიტომ მის ესთეტიკაზე საუბარიც კი ზედმეტია“ (სანიკიძე, 2010:349). სათქმელზე ემოციურობის მინიჭება მხოლოდ კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაშია საჭირო, შესაბამისად, განსაზღვრულია მათი გამოყენება ცალკეულ სტილშიც“ (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014: 94).

„საინტერესოდ ვერ დაწერ, თუ ენის წიაღში, როგორც იტყვიან, ყელამდე არ ხარ ჩაფლული. ათასი ვარიანტიდან ერთი ყველაზე ზუსტი ფრაზა უნდა მოძებნო მოვლენის დასახასიათებლად“-წერს რ. მიშველაძე (<https://forum.ge/?f=18&showtopic=33785956&st=60>).

„მხატვრული ლიტერატურის ენა საერთო ეროვნული სალიტერატურო ენის ორგანული შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ამავე დროს მასზე მეტია, რადგან

შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც უცხოა სალიტერატურო ენისათვის. მწერლის ენის თავისებურებათა შესწავლისას გასათვალისწინებელია მისი თანამედროვე სალიტერატურო ენის ყველა ნიშან-თვისება და ამ ენის ადგილი ჩვენი სალიტერატურო ენის განვითარებაში.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენის გამდიდრებასა თუ სრულყოფაში დიდია როლი მწერლებისა, რომლებიც თავიანთი თხზულებებით მივიწყებულ სიტყვებს აცოცხლებენ, ლექსიკის მარაგს ააქტიურებენ და ამით ხალხის წიადიდან შეთვისებულ -შესისხლხორცებულ ლექსიკას, მის მნიშვნელობას წარმოაჩენენ სალიტერატურო ენისათვის“(ზვიადაძე, 2010:151).

სწორედ ერთ-ერთი ასეთი პოეტი გახლავთ ზურაბ გორგილაძე, რომელიც დიალექტური ლექსიკური ერთეულების გამოყენებით ქმნის ეთნოკოლორიტს, წარმოაჩენს ადგილობრივ რეალიებს, რაც უდიდეს მხატვრულ ეფექტს იძლევა და ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს.“

ზურაბ გორგილაძის სამწერლო სტილს განუმეორებელს ქმნის ორიგინალურად შერჩეული და მორგებული სიტყვა, ხატოვანი და ლაზათიანი ფრაზა.

§1. სინონიმის სტილისტიკური ფუნქციები

სინონიმია, როგორც ენის განსაკუთრებულ შესაძლებლობათა გამოყენების სფერო, დიდი სიმდიდრეა ადამიანის აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად. სინონიმების შერჩევა მკვეთრად გამოხატავს მთქმელის შემოქმედებით ხასიათს, იდეურ-ესთეტიკურ მრწამსს.

სინონიმები მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავდებიან სტილისტიკური ნიუანსებით, ემოციურობით. სათქმელის ზუსტად და ექსპრესიულად გადმოსაცემად, სინონიმთაგან უნდა შეირჩეს ის, რომელიც ყველაზე მკაფიოდ და ხატოვნად გამოხატავს აზრს.

„განვითარებული სინონიმია, მნიშვნელობით ერთმანეთთან ახლოს მდგომი, მაგრამ ნაირნაირი დამატებითი აზრობრივი, ექსპრესიულ-ემოციური ელფერებითა და სტილური იერის მიხედვით განსხვავებული სიტყვების სიუხვე

შესაძლებლობას იძლევა, ამოვარჩიოთ საჭირო სიტყვა აზრის, გრძნობის გამოსახატავად, გამოსახატავი ობიექტისადმი მოლაპარაკის ან მწერლის დამოკიდებულების გადმოსაცემად... სემანტიკურად დიფერენცირებული სინონიმები წარმოადგენს, უწინარეს ყოვლისა, აზრის ელფერის, ზოგჯერ მეტად ფაქიზი ელფერის ზუსტად გადმოცემის საშუალებას“ (Морен, Тетеревникова, 1960: 192-193).

საგნის ან მოვლენის სრულყოფილად დასახასიათებლად ზურაბ გორგილაძე ხშირად ერთმანეთის გვერდიგვერდ რამდენიმე სინონიმს იყენებს: „სინონიმების პარალელურად ხმარება გაგებულია, როგორც აზრის გამამდიერებელი საშუალება, მაქსიმალური ლიტერატურული ეფექტის მისაღწევი ერთ-ერთი მეთოდი“ (ცეცხლაძე, 2013:172).

სინონიმთა პარალელური ხმარება, სინონიმური პარალელიზმი, ერთი მხრივ სტილისტიკური ხერხია, ხოლო „ენის ადრეულ საფეხურზე მათ გამოყენებას „რაციონალური საწყისი“ განსაზღვრავდა, უცხოური სიტყვის დანერგვის მეთოდს წარმოადგენდა. ერთ შემთხვევაში მოვლენის საფუძველი სტილისტიკური საჭიროება გახლავთ, მეორეში წმინდა ენობრივი აუცილებლობა“ (ძიძიგური, 1960: 67).

სინონიმური პარალელიზმი პოეტ ზურაბ გორგილაძის საყვარელი ხერხია. გამოიყენება სინონიმური არსებითი სახელები: **ზარი და ზეიმი, ზღაპარი და არაკი, ლოდინი-ცდა, ალღო, კვალი და გეში, ჩარჩი და ვაჭარი.**

„ვარ მჭევრი ჭირისუფალი დროთა, **ზართა და ზეიმთა**“ (გორგ.2006:49).

„არც ასაკს ჰგავს და არც ზღაპარს...

მინდა ხალხში გაგიტაცო, **ზღაპრებად და არაკებად**“ (გორგ.2006:9).

არაკი სომხურად იგავს ჰქვია ჩვენდაცა საწმარ არს და ტკბილ...(საბა (1)1991). თუ **არაკი** ზღაპრული შინაარსის იგავია, **ზღაპარი** პოეტური გამონაგონი, ფანტასტიკურ ამბავზე აგებული თხრობითი ნაწარმოებია. ორივე მათგანს აერთიანებს ამბის მხატვრულობა.

სინონიმურად ხშირად გამოიყენება ზმნებიც: „ბონდოია ოდოიას **იპოვნის და ნახავს**“ (გორგ.2006:31).

ნახავს და იპოვის შინაარსობრივად ვერ ფარავს ერთმანეთს, მაგრამ ეს ორი ზმნა ხშირადაა გამოყენებული სინონიმურად (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014: 228).

„საქართველომ **ამჩეხა და ამკაფა და ამსხეპაო,**

... საქართველომ **გამქურდა და გამზიდა და გამცალო**“ (გორგ.2006:31).

ამ ტაეპში ყოველი მომდევნო სინონიმი მეტად ექსპრესიულია: **გაზიდვა და გაცლა** ნიშნავს გაქურდვას, როცა დაზარალებულს აღარაფერი რჩება.

იგი გზაში ჩამომრჩა,

ვზივარ, **ვუცდი, ველი**“ (გორგ.2006).

სინონიმებია **კვალი, გეში და ალლო**:

„თევდორემ კი იცის **კვალი და გეში**“ (გორგ. 2012: 73).

„გაიხსენე ბნელეთს როგორ შესწყერი,

ახლა საით-ის **გეში და ალლო**“ (გორგ. 2012: 5).

გეში დაკარგულის ან რაიმე საძიებლის მისაკვლევ ნიშანი- ალლო, ჩვევა, გაწაფულობა; **ალლო**. - გრძნობიერება, გულისხმიერება).

„ეს **ღვედი** გქონდეს, ეს **კვეთი**, თორემ

რამდენიც გინდა **ნახავ და გასცემ**“ (გორგ. 2012: 28).

„**ლონიანი, ღვედიანი, კვეთიანი** სიტყვის ღმერთი“ (გორგ. 2012:24).

კვეთი (დვრიტა) მზადდებოდა ძროხის, ხბოს, ღორის, ბატკნის, თიკნისა და სხვა ცხოველის გამხმარი კუჭით.

„და გადმოზარგდა ჩვენშიც, სული **ვაჭრის და ჩარჩის**“ (გორგ. 2012: 201).

ჩარჩი, ქორვაჭარი, გადამყიდველია.

ნახა და იპოვა ცოცხალ მეტყველებაში სინონიმურად გამოიყენება, შეცდომაა. **პოვნა** შეიძლება დაკარგული ნივთისა, **ნახვა**- ახალი ფილმის ან თუნდაც დიდი ხნის უნახავი ადამიანისა. პოეტი ენის ამ შესაძლებლობას იყენებს სინონიმური პარალელიზმისთვის:

„არც არაფერს **ვამეტებ,**

არც არაფერს **ვაჭარებ**“ (გორგ.2006:69).

„და ვგრძნობ, არსად წასულა იგი ერთი წელი,

„მოდით, მომეშუქეთ, მომანათეთ,

თორემ ნატვრის ხეც კი გადახმა“ (გორგ.2012:299).

„ამფუნგე და ამშალე ვით მონღოლმა კარავი“ (გორგ. 2012: 129).

მ. ცინცაძის და მ. ფაღავას მიხედვით, გაბუცება ჭოროხისა და მაჭახლის ხეობების მკვიდრთა მეტყველებაში ნიშნავს დაკვირვებულ, გაოცებულ მზერას (ცინცაძე, ფაღავა, 1998: 145).

აჭარულში დაცული ბუცება//გაბუცების მნიშვნელობა სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია როგორც **გაჩერება, გაყურება, გატვრენა**. შ. ნიჟარაძეს საილუსტრაციოდ მოაქვს ასეთი მასალა: გააბუცე, ცავ, მაღ ბაღნები, ამ ზურზღულში აფერი აღარ მესმის (ნიჟარაძე, 1971). შუფერ, შაბუცე ერთწამალად მაშინა! (ნიჟარაძე, 1957:137).

გაბუცება გვხვდება ქართულში შეკრთომის, გაშტერების, გაოცების მნიშვნელობით. ბუცი „ქართლური დიალექტის ლექსიკონში (1981)“ ახსნილია, როგორც შტერი, სულელი, ჩერჩეტი.

ძველი ქართული ენის ძეგლებში ეს სიტყვა არ ჩანს. ამ ფაქტზე ყურადღებას ამახვილებს ალ. ჭინჭარაული და თვლის, რომ ეს გარემოება „შეიძლება მის სიახლეზე მიგვანიშნებდეს“ (ჭინჭარაული, 1985:122).

„გაბუცება“ გვხვდება საბას მიერ რედაქტირებულ „ქილილა და დამანას“: „...წიგნზე დართულ ლექსიკონში გაბუცება ახსნილია როგორც „გაშტერება“. მისივე ლექსიკონშიც „გაბუცება“ ახსნილია „გაშტერებასავით“. რედაქციაში ბუცი განმარტების გარეშეა შეტანილი (საბა(1) 1991). გაბუცება ახალ სალიტერატურო ქართულშიც დასტურდება: დედაჩემი დამძახოდა: „ბიჭო, ბატები მოდენე... რას გამოლენჩებულხარ, რას გაბუცებულხარ, შე უბედურო (ეკალ. 9).

გაბუცება შეტანილია ქეგლში; ალ. ჭინჭარაული იმოწმებს ლექსიკონის მასალებს და თვლის, რომ „ქეგლში ეს სიტყვა ქართულ მწერალთა ნაწარმოებებიდან მოხვედრილა“ (ჭინჭარაული, 1985:122).

სინონიმებად გამოიყენება **საწყისის და მიმღობის ფორმებიც:**

„არც გაკვირვება, არც გაოცება,

მივდივარ მდორედ და მივდინდები“ (გორგ.2006:311).

„ერეკლე ჯვარს აცვა სამშობლოს მწუხარებამ,

იმდენ ლოდინში და ცდაში,

და მაინც... ივერია ქუხდა და მქუხარებდა“ (გორგ. 2012: 36).

„ხალხს ნუგეშით ავუცრიდი ცდასა და ლოდინს“ (გორგ. 2012: 105).

„ან რატომ იყოს დაგმანული,

ან ჩაკეტილი?“ (გორგ. 2006:272);

მიუთითებენ მხატვრულ ნაწარმოებში სინონიმების ფუნქციების შესახებ:

„ისინი სამ მიზანს ემსახურებიან: 1. აზრის მკვეთრად და ზუსტად გადმოცემას 2. ერთნაირი სიტყვების გამეორების თავიდან აცილებას 3. გარკვეული სტილისტიკური ელფერის გამოხატვას (ბაბუნაშვილი, 1958: 28).

„პოეტური ენა ფასდება შესრულებული ესთეტიკური ან პოეტური ფუნქციით... პოეტური ენა არის შემოქმედებითი ენა და რამდენადაც შემოქმედებითობა საზოგადოდ ესთეტიკურ სფეროს განეკუთვნება, პოეტური ენა შემოქმედების ერთ მნიშვნელობას ასახავს. როცა სინონიმები ერთმანეთის გვერდიგვერდ იხმარება, ისინი ერთმანეთს ავსებენ, აზუსტებენ, განსხვავებულ შეფერილობას უსვამენ ხაზს“ (Якобсон, 1975: 238-239).

პოეტურ მეტყველებაში სინონიმების ხშირი გამოყენება შეიძლება გამოწვეული იყოს მისწრაფებით, იპოვოს უკვე ცნობილ საგნებსა და მოვლენებში ახალი შეფერილობა, ახალი ელფერი (პოპიაშვილი, 2009:240).

„გასარკვევია, განსხვავდებიან თუ არა ისინი სხვა სიტყვებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, მონაწილეობენ თუ არა ერთსა და იმავე კონტექსტში, აქვთ თუ არა ერთგვარი სიტყვაწარმოების შესაძლებლობანი, ემთხვევიან თუ არა ერთმანეთს ხმარების სიხშირის მიხედვით“ (აფრიდონიძე, 1988: 287) .

სინონიმების წყვილად ხმარების გრამატიკული საშუალებანია: 1. მათ შორის და კავშირის ჩასმა; 2. სინონიმების კომპოზიტურად ხმარება; 3. სინონიმები ერთმანეთის გვერდიგვერდ ტავტოლოგიურად თანაარსებობენ. ამ მოვლენას „სინონიმური პარალელიზმი“ ეწოდება (მიძიგური, 1966: 67).

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში სინონიმებს შორის ყველაზე ხშირად და კავშირია გამოყენებული.

მოკლედ, სინონიმური პარალელიზმი პოეტის საყვარელი ხერხია. გამოიყენება სინონიმური არსებითი სახელები (ზარი და ზეიმი, ზღაპარი და არაკი, კვალი-გეში, ჩარჩი და ვაჭარი); ზმნები (იპოვის და ნახავს, ამჩეხა და ამკაფა და ამსხეპა; გამქურდა და გამზიდა და გამცალა; ვამეტებ და ვაჭარებ, ვუცდი, ველი; ამფუნგე და ამშალე, მომეშუქეთ, მომანათეთ), იშვიათად საწყისი და მიმღობა (გაკვირვება, გაოცება; ლოდინი, ცდა; დაგმანული, ჩაკეტილი).

სინონიმები ერთმანეთის ერთმანეთს ავსებენ, აზუსტებენ, აზრს უფრო კონკრეტულად გადმოსცემენ, განსხვავებულ სტილისტიკურ შეფერილობას უსვამენ ხაზს. სინონიმურად გამოყენებულ სახელთაგან ზოგი ნასესხებია, სხვა ენიდანაა შემოსული, ზოგიც დიალექტურია (აფუნგვა და აშლა, ნახვა და პოვნა, ამჩეხა და ამკაფა და ამსხეპა; გამქურდა და გამზიდა და გამცალა; ვამეტებ და ვაჭარებ, ვუცდი, ველი).

§ 2. ანტონიმის სტილისტიკური ფუნქციები

ანტონიმები, საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები, პოეზიაში საგანგებო ფუნქციას ასრულებს.

ანტონიმები, ჩვეულებრივ, კონტრასტული სურათების დასახატავად, ანტითეზის, როგორც გამომსახველობითი სტილისტიკური საშუალების, შესაქმნელად გამოიყენება. ასეთნაირად გაადმოცემული აზრი უფრო მკაფიო, ეფექტური და ემოციურია ხდება. ანტონიმები ცალკეული სიტყვებია, ანტითეზა კი- სტილისტიკური დანიშნულებით მათი გაერთიანება.

ანტითეზა, დაპირისპირება ადვილი გასაგებია, სასიამოვნო მოსასმენია, ნათელია. „დაპირისპირება მიმზიდველი მეტყველების აუცილებელი პირობაა,“ - წერდა არისტოტელე. მისი აზრით, ორატორული სიტყვის აგების მთავარი პრინციპი ანტითეზური უნდა იყოს.

ენობრივი ანტონიმია, სინონიმისგან განსხვავებით, ყველა სიტყვას არ აერთიანებს.

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ნაკლებია ანტონიმური არსებითი სახელი:

„მათსას სასახლეს ანგრევს შენი ქობივით ლექსი“ (გორგ.2006: 161).

„ნეტავ ვიქცე **ლოდადო**,-სულ არ სურვობს **ქვაკენჭი**“(გორგ. 2006:161).

ანტითეზურობა განსაკუთრებით მაშინ აძლიერებს შთაბეჭდილებას, როცა ანტონიმი კონტექსტურია:

„შენ **ვირების** ხმას ნუ უსმენ, **ხარის** ხმაა მთავარი(გორგ.2006:142).

„ერთი **ვეფხვად** ვიქცეო,-სულ არ ფიქრობს **მელია**“(გორგ.2006:161).

„**ტოროლა** ყვავის **ბახალას** ვარცხნის,

არწივი ნატრობს **ჭინჭრაქას** ბუდეს“(გორგ.1988:51).

ამ მაგალითის მიხედვით, მელია, გაიძვერა ადამიანი საერთოდ არ ფიქრობს იყოს ძლიერი და შემტევი, თავისი გაიძვერობის იმედი აქვს.

განხილულ პოეზიაში ანტონიმებად ყველაზე ხშირად გამოიყენება ვითარებითი ზედსართავი სახელები: **კეთილი და ბოროტი, დიდი და მცირე, ტკბილი და მწარე, მტყუანი და მართალი, მახინჯი და ლამაზი:**

„**კეთილ** გენიას მოუცეკვა ცაში **ბოროტმა**“(გორგ.2006:215).

„რატომ,-ეს კაცი **ბოროტია**, მაგრამ **კეთილი**?

„იმაზე **ტკბილი** რა უნდა იყო

იმაზე **მწარეც** რა უნდა იყო,

რომ ხარ **მწუხარე** და-საქართველო“(გორგ.2006:49).

„უცებ საქართველო უფრო **დიდი** იყო,

მაგრამ იმდენადვე **მცირე**“(გორგ.2006:22).

„**დგას** და უყურებს **მტყუანს** და **მართალს**

სხალთის ტაძარი, **სხალთის** ტაძარი“(გორგ.2006:16).

„**მახინჯი** ვიყავ და მე გადავრჩი,

ლამაზი ვარ და რა გადამარჩენს“(გორგ. 2012: 217).

იშვიათად გვხვდება ქონების და უქონობის ზედსართავ სახელთა დაპირისპირებაც:

„რომ ის **ლერდანი** არა ვარ,

ის **ფუთქოვანი** ფულურო,

ყველა **წალდიან-უწალდოს**

თვალში და **ზურგში** ვუყურო“(გორგ.2006:49).

აქ ანტონიმებადაა გამოყენებული **თვალში და ზურგში ყურებაც. ზურგში ყურება თვალეში ყურების** ანალოგიით შექმნილი ჩანს.

ანტონიმებად, ჩვეულებრივ, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები და უდეტრებიც გვხვდება:

„სამშობლოში უკეთესი არ ჩანს,

უარესის უარესიც ვიცი“ (გორგ. 2012: 130).

„მოკლული ვარ შიგნით!..და,

არაფერი არ მემჩნევა გარედან“ (გორგ. 2006: 344).

ზურაბ გორგილაძე თავადაც ქმნის ანტონიმებს: **ქვესკნელის** ანალოგიით გვაქვს **ზესკნელი, ზენას ანალოგიით- ქვენა**. ეს უკანასკნელი სიტყვა ქარის ეპითეტად ქართულში არ გამოიყენება:

„ქვესკნელს ხეთქავდა თხიერი,

ზესკნელს ანგრევდა ზარიო“ (გორგ. 2012: 5).

„განგებავ, ძალავ და დედამიწავ,

ქარნო ქვენანო, ქარნო ზენანო“ (გორგ. 2006: 310).

ასე რომ, ზ. გორგილაძის პოეზიაში ანტონიმებად ნაკლებად გამოიყენება არსებითი სახელები, ყველაზე ხშირად ზედსართავი სახელები და იშვიათად - ზმნიზედები. ანტონიმები გვხვდება ერთსა და იმავე ტაქსშიც, რითაც იქმნება ანტითეზა და მიიღწევა ექსპრესიულობა. პოეტური ინდივიდუალიზმების ნიმუშებია **ზესკნელი და ქვენა** (ქარის ეპითეტი). **ზურგში ყურებაც თვალეში ყურების** ანალოგიით უნდა იყოს შექმნილი. კონტექტური ანტონიმებია **ვეფხვი და მელია, ვირი და ხარი**.

§ 3. დიალექტიზმების სტილისტიკური ფუნქციები

დიალექტი ენის თვითმყოფადობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა. როგორც ცნობილია, ბევრი დიალექტიზმი სალიტერატურო ენის კუთვნილება გამხდარა.

თანამედროვე ლინგვისტები ინტენსიურად იკვლევენ მის ფუნქციას მხატვრული ლიტერატურის ენაში. მკვლევრები და მწერლები იძლევიან

რეკომენდაციებს, რომ „სალიტერატურო, სამწერლობო ენამ უხვად უნდა ისარგებლოს იმ მდიდარი ლექსიკური მარაგით, რომელიც დიალექტებში გვხვდება“ (გიორგაძე, 2011: 17).

კ. გამსახურდია მოითხოვდა, რომ იგი გამდიდრებულიყო დიალექტებისა და მონათესავე ენების მონაცემებით (სიგუა, 1989: 136).

მეცნიერები მიუთითებენ მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტის შესწავლის ორი სხვადასხვა გზის შესახებ: „ერთი არის დიალექტოლოგიური, რომელიც იყენებს სალიტერატურო ტექსტებს, როგორც სასაუბრო მეტყველების, დადასტურებას. მეორე მიდგომა სტილისტიკური თვალსაზრისით განიხილავს დიალექტის გამოყენებას, იკვლევს ტექსტში მის ფუნქციას და როლს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საჭიროა ორივე მათგანის სინთეზი“ (კაჭკაკიშვილი-ბერიძე, 2016: 41).

გამოიყოფა მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტიზმების შემდეგი ფუნქციები: 1. ამა თუ იმ კუთხისა და დროის კოლორიტის შექმნა; 2. გმირის ხასიათის, სოციალური სტატუსის განსაზღვრა; 3. ნაწარმოების იდეურ-მხატვრული მიზანდასახულობის გადმოცემა.

გარდა სტილისტიკური ფუნქციებისა, მიუთითებენ მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტიზმების გამოყენების სხვა ფაქტორებზეც: „ა) დიალექტიზმი ავსებს სალიტერატურო ენის ხარვეზებს...ზოგჯერ ამას დადებითი ეფექტიც აქვს- ხდება ტრაფარეტად ქცეული გამოთქმების განედლება, გახალისება...“ (ჯორბენაძე, 1989: 214).

ფართო საზოგადოებაში დომინირებს აზრი, რომ ქართველმა პოეტმა ზურაბ გორგილაძემ ძეგლი დაუდგა საკუთარ დიალექტს, რითაც ზოგიერთი ხსნის მის პოპულარულობას, ზოგი კი პირიქით, ნეგატიურად აფასებს მას. ზოგჯერ ამ პოეზიის მიხედვით საუბრობენ **დიალექტიზმების შესახებ და განიხილავენ ცოცხალ მეტყველებას**, სადაც აისახება თურქიზმები ან რუსიციზმებიც.

ჩვენი ნაშრომის მიზანია ლექსიკური დიალექტიზმების ადგილისა და ფუნქციების შესწავლა, რისთვის, რა დოზით და რა მიზნით იყენებს პოეტი ზურაბ გორგილაძე აჭარულ და სხვა კუთხეთა დიალექტიზმებს.

„ზურაბ გორგილაძე აჭარის შვილია. ამ მრავალ ავბედობაგამოვლილ მხარეს იგი გულშემატკივრად, მზრუნველ და მოამაგე მესიტყვედ გამოუჩნდა. მისი ყოველი ლექსი ამ სიყვარულის საჯარო განცხადებაა. სიტყვების ჯადოსნური თამაში და მასში ჰარმონიულად შერწყმული დიალექტიზმები ლამაზი ფერებით მოქარგულ ერთიან ქსოვილს ქმნის, რომელშიც ჩვენი კუთხის სული და სურნელი იკვეთება“ (შამილიშვილი, 2017: 4).

„ერთ-ერთი მათგანი, მათ შორის, ვინც ცდილობს დაამკვიდროს საერთო ქართველურ ენაში აჭარულში დავანებული მარგალიტები, პოეტი ზურაბ გორგილაძეა. მის მთელ პოეზიას განსაკუთრებულ მხატვრულ დატვირთვას სძენს აჭარული დიალექტიდან მოხმობილი ლექსიკა, გრამატიკული ფორმები, ინტონაცია, რაც კოლორიტობასთან ერთად, ინდივიდუალობას მატებს მას და სიახლის შეგრძნებას ბადებს მკითხველში (რიჟვაძე, 2010:225).

ცოცხალ მეტყველებას მოაქვს მშობლიური კუთხის სურნელება, მისი პოეტური მარგალიტები, რაც მკითხველს პირველ ყოვლისა, აჭარული დიალექტის ლაზათს შეაგრძნობინებს. დიალექტური ლექსიკის როლი ზურაბ გორგილაძის შემოქმედებაში განუზომელია, კვლევამ ასეთი სურათი მოგვცა:

I. განხილულ პოეზიაში გამოვლენილი აჭარული დიალექტიზმები შემდეგნაირად დავყავით:

ა) ზურაბ გორგილაძის პოეზიაში უხვადაა საკუთრივ აჭარული სიტყვა: წაჯინქვა (წაბიძგვა), ბლაცვი (სულელი), დაბექსნა (დატკეპნა), დაბიქსვა-დაკეტვა, დაბაზება (დამწიფება), ბენჩქვი (ზემოაჭ. ბუჩქი); მოჭუჭკვა (მოგროვება), მიჭქკილი, ღელე-ღურდანი (ღელის მიდამო), ბაღვი (ბავშვი), ჩეგეფუნჩხე (ჩაგეხუტე), მობელვა და ა. შ.

„ღელე-ღურდანი დავებდდი,
კანკალებდა ხელში დანა“ (გორგ.2012:15).

ღელე-ღურდანი: ხევი-ხრამი, ხევხუვი, ღელის მიდამო (ფუტკარაძე,1993).

„დერდებს გულში ვიბექსნიდი,
აჭარელი ვიყავ განა“ (გორგ.)

დაბექსნა იგივეა, რაც დატკეპნა.

„ჯალათის აღარ გჯინქავს თვალები,
ცენზორიც აღარ გჩხრიკავს ბებერი“ (გორგ.2006:278).
ჯინქვა-ნიდაყვის/ხელის კვრა, ბიძგი (ფუტკარაძე, 1993).
„კახაბრელ, ფერიელ ბიჭებს
აბლაცვებს ეშხით და **აბლაცვებს** ბწკენით“ (იქვე)
ბლაცვი სულელი, გონებასუსტია (ფუტკარაძე, 1993).
„გოვ, კისერში ჩეგეფუნჩხე,-
ჩემებურა ვკადრე მარა“ (გორგ.2006:11).
„სათიბში რომ შეგისწრებდი,
ზვინებში რომ **მოგბელავდი**“ (გორგ.2006:423).

ბ) დიალექტიზმებად გააზრებული არქაიზმებია: ლირწი, ჟვავი, ჟვერი, ფარცავი, ლიზლობა, ბეჩი, ღაზვი, ისინი დასტურდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში:

ბეჩი- გამტერებული (საბა (I) 1991: 102).
„ქალს შევხედე...**გავბეჩდი** და სიყვარული დაიბადა“ (იქვე.)

ლირწი ესე არს დედათა მიმართ დაუცადებელი გულისთქმა და სიმხურვალე და ბოროტება, ქვებურობა უკვე არს კლებით მოძრაობა, ხოლო ლირწება- უწესოდ, ნამეტნავად მოძრაობა (საბა (I) 1991: 416).

ლიზლობა - უშვერი ხუმრობა, არს რა კაცი უაღრესსა და უპატიოსნესსა კადნიერად და ხუმრობით ყოველსავე ეტყოდეს ...

„ეგ **ლიზლობა**, ეგ **ლირწობა** კმარა-მეთქი, უკვე კმარა!

ჟვერი-ფოთოლი, ფოთლიანი რტო.
„ხაპის **ჟვერში** ყველი გაახვიე,
ნაცრიკვერი დაადევი ზედან“ (გორგ. 2012:74).

ჟვავი-ცვარი, ნამი, ცვარი (ლემხიდა **ჟვავი E**) (საბა (1) 1991: 414).
„მაგნოლიის **ჟვავიანი** ჟვერის ნაზი ჟრჟოლა,
შორს, წასული ამ ცასავით, სუსტი ნაზიბროლა“ (გორგ. 2012: 556).

გოროხი არის მიწა გასატყორცი ქვასავით (საბა(1)1991); კომტებად გამხმარი, გამაგრებული მიწა (ქეგლ), კორდოხი.

ნამსხვანი (სხეული), **ნამსხმანიდან** გაველ განა“(გორგ.2006:13).

მ. ცინცაძესა და მ. ფალავას მიაჩნიათ, რომ **ნამსხვანი** უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართულის **ნასხმანიდან**, აჭარულში იგი სახსრებს, კუნთებს ნიშნავს: **ნამსხვანი** (ნამსხვანები) მტკივა (ქობ.). შდრ. შ. ნიჟარაძე: **ნამსხმანი** – ადამიანის სხეული, ტანი უნამსხმანო –უტანო, უსხეულო: „უხილავი რამეა, უნამსხმანო, უყურო, ის რომ საქმეს აკეთებს, უნდა დაჟდე, უყურო“ (ნიჟარაძე, 1971; შდრ. ფუტკარაძე, 1993). ძველ ქართულში **ნასხმანი** იოგს აღნიშნავს (აბულაძე, 1973). მკვლევრებს მოჰყავთ მაგალითები ძველი ქართული ენის ძეგლებიდან: **ნასხმანთა** (მ. ცხ. 231r); **ნასხმანნი** (კლემ. 285,15r); **ნასხმანსა** (იოსებ ფლავ. II, 12:2,9).

გ) **დიალექტიზმებად გააზრებული ზანიზმებია**: **ფართქალი, ფუნჩხი, კუჩხე, ოჭვათო, კობერი, ხომორი, ბურჯგნა, ჯარგვალი, ღვარღვალი...**

ფართქალი (**ფათქალი**, ოფათქალუ-მაჯისცემა (თანდილავა, 2013:771), **ფუნჩხი** (**ფუნჩხა**, ნამცეცი- არის გურულშიც (იქვე,785), **კუჩხე** (კუთხე, კუნჭული), **კობერი** (**კობალა** -ლელვის უმწიფარი ნაყოფი), **ხომორი** (დიდი, უშველებელი)...

ჯარგვალი (პრიმიტიული საცხოვრებელი სახლის ტიპი სამეგრელოში.

ღვარღვალი გვხვდება აჭარულში, გურულსა და ლეჩხუმურში და ნიშნავს ცრემლის დენას ლაპალუპით:

„მსურს **ღვაფის ღვარღვალში** ჩავბანო ფეხები,

შენს მშვენიერებას, მაღალს და ღვთაებრივს“(გორგ.2006: 137).

თუ დავუკვირდებით, სიტყვა **ღვაფს** პოეტი ცრემლების მნიშვნელობით იყენებს, **ღვაფის ღვარღვალის** ამასვე უნდა ნიშნავდეს.

ბურჯგნა- ბურჯგონუნს გრდმ. სრესს, ბურჯგნის, ჟღვლემს.

„საკლავის თვალეზში ჟუჟუნა ჟვაგი,

შამფური **ხომორი**, საწვაგი მსუქანი“ (გორგ.2006: 69).

ხომორი (დიდი, უშველებელი) (თანდილავა, 2013: 887); **ხომორი** აჭარულში ნიშნავს მსხვილს. შ. ნიჟარაძე წერს: „ხომორი 1. მსხვილი, სქელი. „ხომორი ხე“. 2. გადატ. დიდი და ულაზათო, მოუქნელი, მოუხეშავი, უხეში, ტლანქი. „მსხვილად, ტლანქად, უხეშად“... (ნიჟარაძე, 1971).

ხოშორი მსხვილის მნიშვნელობით იხმარება „ჩვენებურების“ მეტყველებაშიც. აქვე დაუფიქრებელი ლაპარაკის აღსანიშნავად გამოიყენება გამოთქმა „ხოშრად დაგვახუნება“

ოჭვათო საწვეთურია, ზანიზმია.საწვეთური, ადგილი სადაც სახლის სახურავიდან ჩამონადენი წვიმის წვეთები ეცემა. იგი გვხდება განსაკუთრებით ქობულეთის რაიონის მკვიდრთა მეტყველებაში (თანდილავა, ნარაკიძე, 1986: 102)

„ო, მოეც ღმერთო,

ამ დროულებს გონება მოეც,

რომ **ოჭვანთოდან** არ უჭვრიტონ სამშობლოს პოეტს!“ (გორგ.2012:537).

სიტყვა კობერი, კობალა ლაზურ ლექსიკონში მოუმწიფებელ ნაყოფს ნიშნავს: „ყურძენი კობალა რუნ, დაჰა კობო რენ (თანდილავა, 2013: 377).

„ლელვზე ვაშლის ყვავილი

ვაშლზე ლელვის **კობერი**“ (გორგ. 2016: 59).

დ) განხილულ პოეზიაში დადასტურებული ბევრი სიტყვა **გვხვდება აჭარულშიც და სხვა დიალექტებშიც** იმავე ან განსხვავებული მნიშვნელობით. ესენია:

ღანილი, ღჯა, ღოჯე, ბლეზი, კატარი, ბურგალი (თავაშვებული თამაში), მოშპი-გავარდი, იარება, დაჟვერვა, დაფეხვა, დაბლოტილი, ლეკერტი, ჭლიკი-მატაოცი, ნამბული, ფიმფლი, ლადარი, ჭაჭვი, ყინჩი, წვიტი, დაბაზება, კვენდლი, ფუშტი, ლელმა...

დაბაზება (გორგ.2006: 539). გვაქვს აჭარულში, ალ. ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის მიხედვით, გვხვდება ლეჩხუმურსა და იმერულში და ნიშნავს სიმწიფეში შესულ მარცვალს (ღლონტი, 1984: 166).

„შორს!.. ბოროტი ბინდბუნდები, ფრთონავ,

ქვეყნის ყანავ, უფრო უნდა **დაბაზდე**“ (გორგ, 2006:539).

ღანილი- აჭარულსა და გურულ დიალექტში ნიშნავს წვიმის ცოტა ხნით გადაღებას, იღანილა (ღლონტი, 1984:583).

„ღრმაღელეს ღვაფო და სურნალას **ღანილებო,**

თანდათან სიკვდილისკენ ვიზრდები“ (გორგ.2006:175).

ღჯა- ლობიოს სარი (აჭარული, გურული (ღლონტი, 1984: 598).

„ლჯის ადგილას ლჯა იდგესო“ (გორგ.2006:69).

„ოლონდ შეუნდე წვიტ-წვიტ პოეტებს,

მათაც ხომ უნდათ, უნდათ და უნდათ“ (გორგ. 2012: 539);

ლეკერტები- აჭარული, იმერული, გურული, შედედებული სისხლი (ლონტი, 1984:328).

„იხუვლებს ხეობა ცივ ლეკერტებით“ (გორგ. 2012:76).

ბღეზი აჭარულშიცაა და გურულშიც და ბრაზიანს ნიშნავს. იგი გვხვდება აჭარულშიც. ზურაბ გორგილაძესთან ეს სიტყვა გაპიროვნება-ეპითეტადაა გამოყენებული:

„ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით“ (გორგ.2006: 48).

ციცამ -გურული, აჭარული- ქალიშვილი, ქალი, გოგონა:

„ციცამის თავსაფარში გამოკოჭე

და მზე ცალი თვალით გამოგოჯე

გასწი! თავაღმართში მხნედა!“ (გორგ. 2006:85).

დაბლოტილი. აჭარული, იმერული, გურული- დაკაწრული

„ნისლების ფიმფლი გააქილიკებს

გოდერძს-დაღრუბლულ რაინდს“ (გორგ. 2012:78).

ფიმფლი-ფშაური, ზემო აჭარული. ყურის ბიბილო. სიმინდის ტაროს წვერზე გამოსული ფოჩი თმასავით (ნიჟარაძე 1971, ლონტი, 1984: 543).

ღადარი- ხევსურული, გურული, აჭარული- ნაკვერცხალი (ს. ჟღენტ); ნაცარნარევი ნალვერდალი (ა.ჭიჭინ.).

„ღადარს აჩაღებს და კეცს აყუდებს დედა“ (გორგ. 2006:76).

ჭაჭვი (პეშვი, ხელისგული) გვხვდება გურულში, ზემო აჭარულში, ლეჩხუმურში, იმერხელში, მესხურსა და ჯავახურში.

„და გულფოთოლას ციცქნა ჭაჭვები

მე მიგროვებენ ცას“ (გორგ.2006: 57).

ფუშტი გურულსა და ზემო აჭარულში ჰქვია არასანდო, უნამუსო კაცს. აქაც იგივე, უარყოფითი სემანტიკაა გადმოცემული:

„გმაგს ფუშტი და ფინაჩი,

ფრანტები თუ დენდები“(გორგ.2006: 195).

ნამბული (ნოტიო, ნესტიანი ამინდი, მიწა, თივა; წვიმით ბუნებრივად დალბობილი, მორწყული მიწა (ნიჟარაძე, 1971). აჭარული, იმერული

„**ნამბულიდან** შემომბლავის,

შუბლიკვერაი ნიშა ხარი“(გორგ.2006: 370).

ბურგალი გურული ლექსიკონის მიხედვით, თავაშვებული თამაშია, ეს სიტყვა აქტიურად გამოიყენება აჭარულშიც.

ღანილი (გამოდარება), **მოშპი-გავარდი** (მოხერხებული), **იარება** (დადის). ეს სიტყვები აჭარულშიცაა და მეზობელ დიალექტში- გურულშიც.

ფუშტი გურულსა და ზემო აჭარულში ჰქვია არასანდო, უნამუსო კაცს. **ლეღმა** მზისგან გამლღვალი თოვლი, ყინულია. ეს სიტყვა გვხვდება ფშაურსა და ზემოაჭარულში.

დაფეხვა -ორივე ფეხით დაკოჭლება, დაშავება, დასტურდება აჭარულში, ჯავახურში:

კატარი აჭარულსა და გურულში გავრცელებული სიტყვაა და ნიშნავს ხის წვეროს, კენწეროს;

„კლდის **კატარში** მზე ყვაოდა,

კლდის ბორჯღალზე ბენჩქვი ყანა“(გორგ.2006: 85).

კვენდლი- ახალამოსული, ნორჩი, დაგრეხილი ხის შტო (ზემოაჭარული, გურული):

ძმაკაცი , -სოფლისა ძირს მიბმული **კვენდლით** (გორგ. 2012: 471).

II. პოეტი იყენებს **სხვა დიალექტების ლექსიკასაც**. არ არსებობს დიალექტი, რომელიც არ განიცდის სხვა დიალექტის გავლენას, მაგრამ ქვემოდასახელებული სიტყვები თავად პოეტს შემოაქვს სხვა დიალექტებიდან. კერძოდ, ყველაზე მეტია მეზობელი დიალექტის- გურულის ლექსიკური ერთეულები: **დვრინი, ურჯუკი, ბარბალი, ჟღველთი, ზუნზლი**.

ბარბალი ცეცხლის ალის მოძრაობა და ხმაურობა, ბრიალი, პრიალი (დლონტი,1974:59).

დვრინი გურულ დიალექტში სიმღერის ხმას ჰქვია. განსახილველ მასალაშიც ის სასიმღერო კონტექსტში გამოიყენება:

„დედო **დვრინით** დამემღერა,

დიდგოროზი მთებიდანა“ (გორგ.2006: 85).

ურჯუკი-(გურ. ჯიუტი. ს.ჟღენტი).

„**ურჯუკი** და გარეული,

სულ თელავსა აჭარელს“ (გორგ.2006:69).

„რამეთუ დრო მამღევს რაინდულ შეკვეთას,

რამეთუ **ურჯუკი** ფაფხურობს“ (გორგ. 2012: 56).

ზუნზლი გურულ დიალექტში ხმამაღალი ტირილია

„მაინც...ხსოვნა უკვდავია სულ!

ზურნის **ზუნზლი** ქარებს აღარ მოაქვს“ (გორგ. 2007: 90).

იმერიზმებია მაკვარანცხი და კიმპალი. ამავე დიალექტის ოკრიბულ თქმაში **ანგეში** ნიშნავს ლამაზს, წარმოსადევს. ეს სიტყვა გვხვდება ქობულეთურ კილოკავშიც.ეს სიტყვა გვხვდება ქობულეთურშიც.

„ბიჭი ვიყავ მზეპერანგა, მოხეთქილი, **ანგეში**“ (გორგ.2006: 51).

სიტყვა **კიმპალი** ალ. ღლონტთან განმარტებულია, როგორც იმერიზმი და ნიშნავს ყურძნის მარცვალს, **გამოკიმპვლა** კი ყურძნის გამომარცვლაა (ღლონტი,1984:291). ზ. გორგილაძესთან ეს სიტყვა მცირეოდენს, მარცვალს, სიტყვას ნიშნავს:

„რომ გამომეწვია წკვარამი დიაცის,

კიმპალიც რა არი, არ წამომცდენია“ (გორგ.2006: 19).

მაკვარანცხი-იმერ. დიალექტი. ეშმაკი, ცელქი, ხელმაკვარანცხი -ქურდი, ხელმრუდი (ღლონტი, 1984:304)).

„ჰაიტ!-შე ფარცაგო და მაკვარანცხო,

ჰაიტ!-შე ჭინკას ჭლიკო, გოგიტა!“ (გორგ.2007:111)

ქართლური დიალექტიზმებია აყალო და ტლუ. **ტლუ** უტოტო, სწორ ხეს ნიშნავს; **აყალო** არის რბილი მიწა. კარგმოსავლიანი ადგილი (ღლონტი, 1984: 45).

ტლუ უტოტო, სწორ ხეს ნიშნავს;

„ვივლი ამ ტლუ ბილიკებს ნამიანი თვალებით“ (გორგ.2012: 59).

„სხვა რა?-აყალო და შავხოშორი

მიწა მარჩენალი, ძვალხოშორი“ (გორგ.2012: 75).

აქვე გვხვდება **წკვრელვაც (რაჭული)** ყმაწვილის მიერ თავისი საცოლის ან ქალის მიერ საქმროს დათვალიერება, გასინჯვა, ნახვა (ღლონტი, 1984: 708).

„არ მოშლილა ქალის წკვრელა,

მოყმე ისევ ხოხობს წინდავს“ (გორგ. 2012: 24).

ფშაური კილოსია **ჩქერალი** (მდინარის დაქანებული ადგილი); **მთიულურის-ქარქვეტი** (ქარაფშუტა), **ქიზიყურისა- ღერღეტი** (უმიზნო, უაზრო ბატივით სიარული), **ჯავახურია ჩხვერა** (მუცლის ტკივილი), **ღიჭინი** (მომაბეზრებელი ხვეწნა); **მესხური** დიალექტის კი - **ქვებუდანა- ქვეშქვეშა**, გაიძვერა ადამიანი, ვერაგი, **ჯგვლეთა** (ჩქმეტა).

„მძარცვავს მოკეთე მატრაბაზი და ქვებუდანა“ (გორგ. 2006:202).

ქვებუდანა- ქვეშქვეშა, გაიძვერა ადამიანი, ვერაგი (ღლონტი, 1984:568); **ჯგვლეთა**, **ჯგვლეთა-მესხური**, მუჯლუგუნი, ჩქმეტა, გლეჯით ცემა (ი. მას).

„ჯიგანგირის გამო **ჯგვლეთდი**,

და ბურჯგნიდი მთელ ცისქვეშეთს“ (გორგ.2006:53).

ღერღეტი ქიზიყურში უმიზნო, უაზრო ბატივით სიარულს ჰქვია, **შეღერღეტება** კი ტანის აყრა: „მეც ღერივით **შეღერღეტდი**, ნენემ დიმინიშნა ქალი“ (გორგ. 2016: 70).

სიტყვა **ქარქვეტი მთიულურ** დიალექტში დასტურდება და თავქარიანს, ქარაფშუტას ნიშნავს. ამავე სემანტიკას გადმოსცემს ის ზურაბ გორგილაძის პოეზიაშიც:

„რას იზამ? - **ქარქვეტი** ქალები ფასობენ,

მშვენიერ ქალებს რომ ვეძახით მერე“ (გორგ.2006: 81).

ჩხვერა ჯავახური ლექსიკონის მიხედვით, გვრემა, მუცლის ტკივილია.

ჩქერალი ფშაურში ნიშნავს მდინარის დაქანებულ ადგილს.

„**ჩქერალეზში** ჩამავალი მზის შუქივით მიმქრალი“ (გორგ.2006: 51).

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ზოგჯერ აღნიშნულ ლექსიკას პოეტი განსხვავებული სემანტიკით იყენებს, ახალი შინაარსით ავსებს.

დასტურდება სიტყვები, რომლებიც გვხვდება რამდენიმე სხვა დიალექტში, მაგრამ არაა აჭარულში. ესენია: **ნაგრამი** (გურული, იმერული, რაჭული); **ღვაფი** (ნელი წვიმა-ზემო იმერეთი, ქართლი), **წკრელა-** მწკრივი, რიგი (ქიზიყური, კახური); **ჩინჩხლი** -ნაკვერცხლებიანი მუგუზალი; ნაპერწკლები, რომლებსაც თავი ღვინო ისვრის (გურული, იმერული, ლეჩხუმური, ფშაური დიალექტები); **ჩინჩხვარი** ქართლურში, ქიზიყურსა და მოხეურში ხმელ ფიჩხს ჰქვია; **ჭერხო-** ზემო სართული ხევსურული სახლისა (ხევსურული, ფშაური, თუშური, მთიულური), **ლაქარდი** - **ტკბილი სიტყვა**, **ლაქუცი** (მოხეური, ფშაური).

ნაგრამი- ნამრავლი, შთამომავალი (ნეგრო, ნოგრო) (შარაშიძე, 2014; ჭყონია, 1910; ბერიძე, 1912).

ჩინჩხლი- გურულში, იმერულში, ლეჩხუმურსა და ფშაურ დიალექტი - ნაკვერცხლებიანი მუგუზალი (დლონტი, 1984); ნაპერწკლები, რომლებსაც თავი ღვინო ისვრის (ჭყონია, 1910).

„მაინც აქ ვარ და შენს ბინდებს,

მაშხალების **ჩინჩხლით** მივდევ“ (გორგ. 1988: 197).

ზოგჯერ რომელიმე იშვიათი ხმარების სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება: მაგალითად, **ღვაფი** ზემო იმერეთსა და ქართლში **ჰქვია ნელ წვიმას**, რომელიც დიდი რაოდენობით მოდის. ეს სიტყვა არაა განმარტებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

„ნეტავ რა **ღვაფი** მოთიკრავს,

სულში ჩარღვეულ იარას“ (გორგ. 2006: 110).

ჩინჩხვარი ქართლურში, ქიზიყურსა და მოხეურში ხმელ ფიჩხს ჰქვია.

„რატომ მეზმანა შენი ფაცხა და საკმეველი,

შუა ლადარი და **ჩინჩხვარი** ტახის ტკვაცანი“ (გორგ. 2016: 35).

ჭერხო- ხევსურულ, ფშაურში, თუშურსა, მთიულურში ზემო სართულს ნიშნავს:

„ცარგვალი ბზუის, **ჭერხო** ჟღარუნობს

დგას ყინჩად და თავს იწონებს

ძველი ახალ ხიდთან ერთად“ (გორგ. 2006:82).

„შემოგაპაროს ლაქარდი,

სიტყვა ბილწი და წყნარიო“ (გორგ.2012: 8).


ლაქარდი მოხეურსა და ფშაურში ტკბილ საუბარს ნიშნავს (ღლონტი, 1984:325).

ისეთი დიალექტი არ არსებობს, სხვა კილოებთან რომ არ იყოს დაკავშირებული. ამგვარი სიტყვები ენის შინაგან კანონზომიერებას ავლენს. გასათვალისწინებელია ამა თუ იმ სიტყვის ისტორია ძველი ქართულიდან დღემდე. ლექსიკა, რომელიც ერთმანეთისგან ტერიტორიულად დაშორებულ დიალექტებში ვლინდება, შესაძლოა, უძველესი იყოს.

თანამედროვე ქართველი მწერალი რ. მიშველაძე წერილში „ენა და მწერალი“ წერს: „ მე იმერელი გახლავართ, მაგრამ ვინმემ „ქუთაისელი მწერალი“ რომ მიწოდოს, ქვას ვესვრი. თუ წაგიკითხავთ ჩემი ნოველები, შეამჩნევთ, რომ ჩემი პერსონაჟები კახურადაც უქცევენ, ქართლურადაც... და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფერეიდნულ ან ინგილოურ კილოზეც. მაგიდაზე მიდევს დიალექტთა ლექსიკონები, ისინი ჩემი სამაგიდო წიგნებია. მარტო ლექსიკონებზე როდი გახლავართ მიჯაჭვული. სადაც უნდა ვიყო, ჩემი მოსაუბრის ლექსიკას ვაკვირდები და, თუ რასმე საგულისხმოს მოგვარი ყური, მაშინვე უბის წიგნაკში ვიწერ“...

(<https://forum.ge/?f=18&showtopic=33785956&st=60>)

დიალექტიზმების ზუსტი სტატისტიკის წარმოება შეუძლებელია და არცაა აუცილებელი, მაგრამ მათი დაახლოებითი მიმართების დადგენა დიაგრამითაც შეიძლება:



ზემოდასახელებულ ფორმათა ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პროექტი ზურაბ გორგილაძე იყენებს არამართო საკუთარი დიალექტის, არამედ სხვა კილოთა მონაცემებსაც. აჭარული დიალექტიზმების გამოყენება პროექტის ერთ-ერთი სტილური ნიშანია, ის არ იფარგლება მართო საკუთარი კილოს გამოყენებით, არანაკლებ კარგად იცნობს სხვა კუთხეების ლექსიკასაც და სხვადასხვაგვარი ფუნქციით იყენებს მათ. ზ. გორგილაძემ თავის პოეზიაში მათ საგანგებო ადგილი დაუთმო, ზოგ მათგანს ამა თუ იმ კუთხის კოლორიტის შექმნის ფუნქცია დააკისრა. ამასთან, ხალხურ მეტყველებასთან სიახლოვე, ფრაზის ცოცხალი მდინარეა ზ. გორგილაძის პოეტური სტილის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანია, რომელიც ემყარება არამართო აჭარული, არამედ სხვა კილოების (გურულ, ფშაურ, ქართლურ, იმერულ) დიალექტიზმებს. ისინი ძირითადად მწერლის ენაში გვხვდება და არა პერსონაჟის მეტყველებაში. განსაკუთრებული სიხშირით გამოიკვეთა გურულის, როგორც მეზობელი დიალექტის, მაგალითები. ისინი ძირითადად გვხვდება ავტორისეულ მეტყველებაში, რასაც ფრაზის განედლების ფუნქცია აკისრია. ლექსის ნარატივს ყოველგვარი დიალექტიზმის ოსტატური გამოყენება ქმნის.

როგორც დიალექტოლოგი ბ. ჯორბენაძე წერს, „დიალექტიზმების კვლევა მხატვრული ტექსტის ენობრივ ფაქტურაში არსებითად გამოყენებითი დიალექტოლოგიის სფეროს განეკუთვნება... ეროვნული ენა ის ბალავარია, რომლის მიხედვითაც მწერალი თავისეულ ენობრივ სამყაროს ქმნის. მწერლის მიზანია, ხორცი შეასხას მხატვრულ სახეს, შექმნას შესაბამისი განწყობა, კოლორიტი და მას სრული უფლება აქვს ამ მიზნით გამოიყენოს ენის ნებისმიერი შესაძლებლობა“ (ჯორბენაძე, 1989:213).

ქ. შაინიძის აზრით, „პოეტისთვის მთავარია, გამოხატოს საგნები და მოვლენები თავიანთი ბუნებრივი თვისებებით და სახეობრიობით, რის გამოც იქმნება ერთგვარი ბაროკოსმაგვარი, ექსპრესიული სტილი“ (შაინიძე, 2016: 237).

პოეტი კარგად იცნობდა სხვა კილოების ლექსიკას და აქტიურად იყენებდა მათ ამა თუ იმ კუთხის კოლორიტის შესაქმნელად და ენის გასანედლებლად.

ი) იშვიათი ხმარების ლექსიკა. ზურაბ გორგილაძემ ბევრ ბევრ ძირძველ ქართულ სიტყვას ახალი სიცოცხლე შესძინა. მათ პირობითად ორ ჯგუფად ვყოფთ. განხილული პოეზიის ლექსიკის ერთი ნაწილი დადასტურებულია საბას „სიტყვის კონაში.“ ამ ლექსიკის დიდი ნაწილი უცხოა აჭარული კილოსთვის, ისინი პოეტმა გააცოცხლა: მაგ: უგლარგაჯი, არჯალი, ცრიატი, ინანთი, ლელმა, ლერდანი, იჩქითი, ჯავარი (თვალი პატიოსანი), ჯილა, ბოძალი, ლორფინი, ღუდღუდი, ლემტერი...

უგლარგაჯი მესხური, გურული, ქართლური კილოები-უმნო, გონჯი (ი. მაისურაძე, ღლონტი, 1984).

„რადგან შენფერი **უგლარგაჯი** უბღალავს სახელს,

ჩემი ხელმწიფის უზენაეს კვერთხსა და კანონს“ (გორგ.2006:118).

ლემტერი- წყალსა სეტყვისასა ეწოდების **ლემტერი** (საბა (1), 1991), სეტყვიანი ღვარია:

„რა წამებით და დიდებით გაჯერდი

შენს ტაბლაზე რა **ლემტერი** მოწვიმდა“ (გორგ.2012:124)..

ლერდანი საბასთან ეწოდება **უგვანად ზანტს** (საბა (1), 1991: 412).

„რომ ის **ლერდანი** არა ვარ, ის ფოთქოვანი ფულურო,

ყველა წალდიან-უწალდოს თვალში და ზურგში ვუყურო“ (იქვე,12).

ცრიატი- დღე ღრუბელ-აშლილი, ცივი ZAC (საბა (1) 1991). ამავე მნიშვნელობით შემონახულია მოხეურში, ქიზიყურში, ქართლურში. მკრთალი, ცივი, ღრუბლიანი დღე (ო. ქაჯ).

„წვიმაგადავლილ **ცრიატს** შუქში ღვთაებრივ ბინდად,

მორცხვი, კეთილი და ლამაზი თეთრი ხე იდგა“ (გორგ.2006:289).

ზურაბ გორგილაძე ამ სიტყვას იყენებს ბაგეების ეპითეტადაც: სამარადისოდ ვკოცნი მე შენს **ცრიატ** ბაგეებს (გორგ.2012:398).

არჯალი ურცხვად ანჩხლია (საბა(1),1991), უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით კი -აღსასრულის დღე. ზურაბ გორგილაძის პოეზიაში კი ეს სიტყვა პირველი მნიშვნელობით გამოიყენება.

აქვე უნდა დავასახელოთ **იჩითი** (მყისი, ანაზდი). გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“:

„მშვენიერი მონატრება,-ისე, ჩემთვის **იჩითად**,

ლამაზი და ხომფანდურაი აგერ, რამდენიც გინდა“ (გორგ.2012:398).

სულხან-საბას მიხედვით, **იჩითი** არის **მყისი**, **ანაზდი** (საბა (1), 1991).

ალ.დლონტი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც რაჭულ დიალექტიზმს. სემანტიკა იგივეა: მცირე, სახელდახელო, უცებ მოფიქრებული და გაკეთებული რამ, მაგ. **იჩითი** მასპინძლობა). ეს სიტყვა გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“: წყალობა შენი **იჩითად** არს ჩვენი გარდმომფენელი!“ (ვტ.).

იჩითად სიტყვის მნიშვნელობებია: სასწრაფოდ, ჩქარა, აჩქარებით, მალე, მალიად, უმალ, ხაფად, ხელდახელ, ადრე და მალე, საცაა, სადაცაა, აგერ-აგერ, გამალებული, გამალებით, გაფაციცებით, ფრენით, კაცი აფრინა, ელვისებურად, ფიცხლავ, მარდად, მკვირცხლად, დაუზარებლად (ნეიმანი, 1978: 559).

ხვინჭა- ხვინჭა არს კენჭი წყალთა შინაჲ (საბა (1),1991); მსხვილი ხრეში (ქეგლი), რაჭულსა და ქიზიყურში ნიშნავს წვრილ ქვებს, კენჭებს (დლონტი,1984)

„ნაცარსა და **ოქროხვინჭას**, ერთ საცერში ერთად გაცრის,

ყავას ხვრეპს და ბორჯომს სვლიპავს,-აი, ბედნიერი კაცი“ (გორგ. 2006:509).

ღაზო არაბულ-სპარსული წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს ბოროტს, შურიანს (ქეგლ II 998). ალ. დლონტის ლექსიკონში ამ სემანტიკას ემატება ხარბიც.

ღაზვი-გურული, ზემოაჭარული- ხარბი, შურიანი, გულხარბი (დლონტი, 1984).

ზ. გორგილაძის პოეზიაში დასტურდება ფორმა **ღაზვი**, ის სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენება. მაგ.: საწყისის ფუნქციით გვაქვს შემდეგ მაგალითებში

„ამიტომ არა ეჭვი და **ღაზვი**,

ამიტომ არა ხვინჭა და ქატო“ (გორგ. 2016: 64).

„გველის ლამაზი ცბიერება, მზის გაგანია,

ღალატიც, ღაზვიც“ (გორგ.1988:220).

მომდევნო მაგალითში **ღაზვი** ზედსართავ სახელადაა გამოყენებული:

„რად უარყოფენ ამ დიდებას **ღაზვი ფაჩუნით**,-

და მიძვრებიან, მიძვრებიან

იმავ ნაჭუჭში?“ (გორგ.2006:273).

„დარჩათ რაიმე კიდევ ქალში **ღაზვიან** ხელებს?“ (გორგ.1988:228).

მ. ცინცაძისა და მ. ფალავას მონოგრაფიაში ეს სიტყვა ასეა განმარტებული:

ღაზვება, შეხარბება, შეშურება: რამდენ ფაფას ვჭამთ, არ შეგეღაზვოს (ხალა); ხალხმა გვაღაზვეს კეცები, მარა ნახე?! (იქვე)... საბა ადასტურებს ღაზობა'ს და მკითხველს უთითებს: „შურთან ნახე.“ შური კი ასეა განმარტებული: „... შური არს მწუხარებაი სხვს კეთილსა ზედა“. „ხოლო ღაზობა არა თუ ოდეს მწუხარებისა ქონებად, არამედ უძვრესიცა, რამეთუ ენების მოსპოლვა კეთილმოქმედისა მის მოყუსისა“.

მკვლევრებს მოჰყავთ მასალა „ქილილა და დამანადან“: ... ორგნითვე მათი შური ღაზოდ დამკვიდრებულა (ქილ. და დამ. 242); მისი შური **ღაზოდ** გულთა დაუმარხავთო (იქვე, 299) (ცინცაძე, ფალავა, 1998: 207-208).

ამავე რიგისაა შემდეგი ლექსიკური ერთეულებიც: **ლეღმა** (საბა (1), 1991) ეს სიტყვა გვხვდება ფშაურსა და ზემოაჭარულში და მზისგან გამლხვალი თოვლი, ყინულია; **ინანთი**- ვარდის წყალსავით სუნნელიანი (საბა (1), 1991); **ფარცაგი**- ავისა და კეთილის საშუალი (იქვე); (გურული, თუშური, ფშაური)- ვარგისი, ხეირიანი, კარგი. საიმედო, ვარგისი; **ლორფინი**-ქვის ფიცარი, **ბოძალი**- ისარი ორპირი, **ღუდღუდი** - ნელი ცეცხლის ჯმა და დუღილისა, **ჩარბი** - არწივთა, შევარდენტა და ქორთა ნისკარტი (იქვე); **ზავთი**-(საბა (1), 1991), მესხური, ფშაური. რისიმე ძალა, ზავთიანი, რიხიანი (ი. მაის.); რიხიანი, ძლიერი, მკვახე ხმა.

პოეტმა გაააქტიურა იშვიათი ხმარების ბევრი სიტყვა: **ალაგე, ბეხრევი, ტავარნა, წრიაპი, წარაფი, უბირი, კეჭნა, დაწდომა, ჩარბი, გათქერვა, ღრეჯა, ციგლიგი, ხვანჯარი, ლორფინო, ხარდნა, ფეთხუმი, არჩივი**

ტავარნა- ფეხზე აკრული ტალახი (ქეგლი, II) ჯავახურშია შემონახული.

„ხმა ღვთისა და ხმა ერისა

არის ტკეპნა **ტავარნის**“ (გორგ.2006:65).

ხაფი რიხიანი, ძლიერი, მკვახე ხმაა (ვტ); **ნაყში** -სახე; **ხვილიფი** - წვრილი ჯაგნარი; **ანგალი- ანგლობს**, ლაზღანდარობს (ქეგლი, II). უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის (2006) მიხედვით, **არჩივი** ვისიმე, რისამე წილია:

„სიცოცხლემ წაიღო თავისი **არჩივი**,

საწუთრო თავისას ნელ-ნელა მიაპარებს“..

ქალაქური ლექსიკონის მიხედვით, **ბუნჯგალი** არის სხივების ფუნჯი, სხივის შეკონილი ნაპერწკალი.

ქალაქური ლექსიკონის მიხედვით, **უბირი**. შეუგნებელი, **ყურუმსადი**.

ყურუმსადი სასაუბრო სტილის სიტყვაა და უბირს, შეუგნებელს ნიშნავს.

ხვანჯარი-უღილებო შარვლის დასამაგრებელი ტანზე მის სათავეში გაყრილი ზონარი

თქერება ცხენის ცხენზე თამაშობა სპორტული ტერმინია.

ხვითო-1. ნატვრის თვალი, რომელსაც თითქოს გველი ინახავს და ზოგჯერ თამაშობს. 2. იგივეა რაც ხეთო (ქეგლი, II:1254).

დგრიალი-დგრიალი ცხენთა დგენისა; **დამღრალი**-იგივეა, რაც დამჭკნარი (ქეგლი, 398); **ღვანთქაფი**-დიდი ღვარია ღვართქაფად იგივეა რაც ღვარად (ქეგლი, 1001); **აღაგე**. ღობეზე გადასასვლელი ადგილი (ქეგლი, I: 43)

მოსრაგნა მოსარგალებაა intermedia.ge/სტატია/17495.../user:cxvedo:show:channel

„ქვის ხანა და ქაოსი ქვაში **სრაგნავს** ჩუქურთმებს“ (გორგ. 2012: 163).

წრიაპი, ქეგლის მიხედვით, არის კბილებიანი რკინა, ტერფზე ამოსაკრავი, იხმარება ციცაბოსა და ყინულზე სიარულის დროს (ქეგლ II: 1225).

წარაფები -წაგრძელებული, დაბალი კლდე, პატარა, მოგრძო ტყე (ქეგლ მეორე:1203).

„ჯერ რა გარდმოხსენი, რა დამიქანდაკე,

მხოლოდ **წრიაპები**, მხოლოდ **წარაფები**“ (გორგ.2012:198).

ციგლიგი ქეგლ-ის მიხედვით სწრაფი და მოხდენილი მოძრაობა, თამაშია, ჩანჩქერი ციგლიგით ჩამოდის (ქეგლი II:1166). **ციგლიგა** ზ. გორგილაძესთან მიემართება ვარსკვლავებს:

„წამით ხვიჩა ვარსკვლავები მოწკურავენ თვალებს,

მოდექი და ეგ ციგლიგა ცანგალები თვალე“(გორგ. 2006: 31).

ორწობები ქეგლ-ში განმარტებულია, როგორც ვიწრო, ძნელად მისასვლელი ადგილი მთებსა და ხევებში. ეს სიტყვა არ დასტურდება საბასთან, ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონში“ ის ახსნილია, როგორც გურული დიალექტიზმი და ვიწრო, ტალახიან ბილიკს ნიშნავს.

ზ. გორგილამის პოეზიაში ეს სიტყვა გვხვდება ფრაზეოლოგიზმში - **დროთა ორწობები**, რომელიც ნიშნავს დროის ავბედითობას, ისტორიის მწარე გაკვეთილებს:

„**დროთა ორწობებში** ნგრევით ჩაიშალა

დღეთა ღნავილი და ლექი“(გორგ.2006: 41).

ნაყში სახეა, **ანგლობა**, ქალაქური ლექსიკონის მიხედვით, მატაოცობაა (www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t)

„მზეც თავზე გევლება **ოქროვან ნაყშივით**“(გორგ. 2006:143).

„მზეც თავზე გევლება **ოქროვან ნაყშივით**,

ლალი და ამაყი, განაღებ ალაყაფს“(გორგ.2012:127).

ართვალი- მახინჯი, ხატოვ. უშნო, უსახური, ულამაზო (idioms.tsu.ge/?p=1827).

ხვილიფი - წვრილი ჯაგნარი (.[უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი](http://www.univer-salური.ენციკლოპედიური.ლექსიკონი)).

კ) ზურაბ გორგილამის პოეზიაში კოლხური მითოლოგიური პერსონაჟებიც გაიელვებენ. აქვე გვხვდება მეგრულ-ჭანური ლექსიკაც: **თუნთა, უღორონთო, ოჩოკოჩები, მაფშალიები, ოდოიები, სისატურები...**

„თაგოს მთვარე თავდგირიძის

თუნთასავით მკოცნიდაო“(გორგ. 2012:65).

„კანჭა კვიცზე გადაევნებას,

ჩვენ მოგვხედო გიჯობს,

ბონდოია, **უღორონთო**, ბონდოია, ბიჭო“(გორგ. 2012: 28).

„შენი ტყეები, შენი კობტა **ოჩოკოჩები**,

შენი ცისფერი **მაფშალიები**“(გორგ. 2012: 30).

მაფშალია იგივე მერცხალია.

„შენი ბერთემის ოდოიები,

შენი ლებარდეს სისატურები“ (გორგ. 2012: 30).

პოეტს ხელეწიფება შექმნას კონკრეტული კუთხის კოლორიტი. საამისოდ ხან ცალკეული დიალექტების ლექსიკას იყენებს, ხანაც- ზანურისას.

§3. ბარბარიზმების სტილისტიკური ფუნქციები

ზურაბ გორგილამის პოეზიაში გვხვდება ადმოსავლური ლექსიკაც.

„არცერთი ენობრივი კოლექტივი არ ასცდენია შეხებას სხვა ენობრივ კოლექტივთან“, – წერს შ. ძიმიგური სიტყვათა სესხების პირობების შესახებ მსჯელობისას (ძიმიგური, 1960: 41).

კულტურათა დიალოგით შემოსული სიტყვა ზოგჯერ ფართოდ მკვიდრდება, ზოგჯერ კი იკარგება, „ხშირად სიტყვები ისე გამოდის ხმარებიდან, რომ კვალს არ ტოვებს, მაგრამ მათ შემცველად იდიომი რჩება (თაყაიშვილი, 1961:53).

პოეტმა გააცოცხლა ის სიტყვები, რომლებიც ქართულში მხოლოდ ნეკროტიზმებშია შემონახული, შექმნა მისგან იდიომიც. ნეკროტიზმები ისეთი ფრაზეოლოგიზმებია, რომელთა კომპონენტებიც ენაში დამოუკიდებელ ლექსებებად არ გამოიყენება. ესენია: აბრუს გატეხა, ყავლის გასვლა, აინუნში მოსვლა/ ჩაგდება, ყალყზე დადგომა, ყირაზე გასვლა, ყირაზე გადატარება, ილაჯის გაწყვეტა, არაქათის გაცლა, სიქას გაცლა. მაფრაზეოლოგიზებული სიტყვები ძირითადად არაბული და სპარსული წარმოშობისაა: აბრუ, ილაჯი, ყავლი, ყალყი, ყირა, არაქათი, სიქა, აინუნი, იხტიბარი.

ყავლი 1.Kavil (-vh) არაბული წარმოშობისაა. ის არის 1. დაუსაბუთებელი მტკიცება (მოდღვრებით); 2. პირობა, შეთანხმება (ჩლაიძე, 2001: 805).

ზურაბ გორგილამემ ის გამოიყენა სიტყვათშეხამებაში სისხლის ყავლი.

„აქ უფლის წიგნი გადაშლილია და

სისხლის ყავლი განაგებს ყოველს“ (გორგ. 2016: 121).

ყალბი არაბული სიტყვაა და შემონახულია გამოთქმაში **ყალყზე შედგომა**, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს უკანა ფეხზე შედგომას ცხენისას, გადატანითი მნიშვნელობით კი აღეღება, საწინააღმდეგოდ განწყობა, უზომო აღშფოთება, განრისხება, გაწყრომა, გაჯავრება (შდრ: **თმების ყალყზე დადგომა**, რაც ნიშნავს შეშინებას, თავზარის დაცემას, შემფოთებას, უსაზომო ზიზღს):

პოეტი ამ სიტყვას იყენებს დამოუკიდებლად:

„ვინ ჩამორევას ცისფერ დისკოებს?

ან ეფემერებს გაბრუებულს ღრუბლების **ყალყით?**“ (გორგ. 2006: 50);

„უშა და თეთნულდი, ლილეოს ჯანყი,

ხმაძვირი მახვშები, კომკების **ყალყი**“ (გორგ. 2012: 547).

მეტად იშვიათი ლექსემაა **ულურკაცი**. **ულური** თურქული წარმოშობის სიტყვაა და ბედს, იღბალს, ბედნიერებას ნიშნავს. **ულურს არ იტებს**, იგივეა, რაც იხტიბარს არ იტებს (ქეგლი II: 948); ეს სიტყვა ფშაურში რწმენას, იმედს ნიშნავს, დაახლოებით იგივე სემანტიკაა გამოხატული საანალიზო მასალაშიც:

„ჩემო კაცურო და **ულურკაცო**,

ჩემო კბილნაფოტა გოგიტა“ (გორგ. 2016: 111).

ა) აღმოსავლური ბარბარიზმები

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში აისახა ავბედითი წარსული, რომელიც დაეტყო მის მშობლიურ დიალექტს. ცოცხალი მეტყველების ნაკადს მოჰყვება აჭარულ დიალექტში შემოჭრილი აღმოსავლური ბარბარიზმები: **ფილინთა** (filinta-კარაბადინი), **ზევზექი** (zevzek-უყურადღებო, მოლაყბე), **მუნნათი** (mynnath-წყალობა, ვედრება და ყვედრება); **ყიამეთი** (kiyamet) სამყაროს დასასრული, უბედურება, გაჭირვება, **დოსტი** მეგობარი, მოყვარე, მომხრე, **ყარდაში** (ყარდემი-ძმა), **ბაბა** (მამა), **თული** (turlu- ჯიში, სახე, სხვადასხვაობა), **სირთი** (გორაკი), **დირელი** (direk), **ბერბათი** (berbad-სპარს. დასვრილი, ბინძური), **მაშალა** (მშვენიერია, ჯვარი გწერია, თვალი არ ეცეს):

„ამ აუხსნელ **ყიამეთს**-სამყაროს პატრონს

ჩვენი, ქართული, ღვთაებრივი დააცხრა სევდა“ (გორგ. 2012: 67).

„დიდი შუამთობა და იალაღები,

მთიელი ქალები, -დოსტები“ (გორგ. 2006:68.)

„ეგ ლამაზი ბეზღუნგები ვინ მოგიტანაო? (გორგ. 2012:67);

„ისევ ვგევეზობ,-

და ჯეელის ჯიგარს ვიფერებ“ (გორგ.2006:280).

უპირველეს შენს ქვეყანას მოუარე,

დამბადებელს ემსახურე, ბაბა! (გორგ. 2012: 469).

ამ თვალებით მინახია, ყარდამ,

უნაგირიც დარახტული ვირიც... (გორგ. 2012: 432).

უპირველეს შენს ქვეყანას მოუარე,

დამბადებელს ემსახურე, ბაბა! (გორგ. 2012: 469).

ო, მომამორეთ ეს ბერბათი კითხვის ნიშანი,

ხვალ უნდა შევხვდე ძახილის ნიშანს! (გორგ. 2012: 149).

გაისმის დარბაზში „ამინ“ და მაშალლა“ (გორგ. 2012: 43).

„ამ დუნიას, შენს დირელთან,

გორვა-გორვით მოვცვითავო“ (გორგ.2012:66).

„ხალხსა და ქვეყანას ამდენი თული,

რომ გაუდიდკაცდა, რომ გაუბრძენდა“ (გორგ. 2006:506).

„ჩემს სულში დგანან მზით და სევდით სირთები...

ნუთუ, მამულო, საყვარელო, აღარ გჭირდები?“ (გორგ.2006:87)

ბ) რუსიციზმები. აქვე დასტურდება რუსიციზმებიც: ბეზღელნიკი-
უსაქმური, ციგნები- ბოშები, პრიუტი- ობოლთა თავშესაფარი.

„მართლა ისე როდია, როგორც ლაყბობს ყოველთვის,

ვინმე ოხერ-მოხეტე, „ბეზღელნიკი“ პოეტი.

არა! -თავი რაც უნდა, მოგვიქონონ ციგნებმა“ (გორგ.2006:477).

„ჩემი სიყვარული,-ობოლი ბავშვივით,

„პრიუტში“ გაზრდილი, ჩემი სიყვარული“ (გორგ.2006:330).

მოკლედ, ზურაბ გორგილაძის პოეზიაში აისახა ის რუსიციზმები, რომლებიც
გავრცელებული იყო პოეტის თანადროულ ცოცხალ მეტყველებაში.

§4. არქაიზმის სტილისტიკური ფუნქციები

ზურაბ გორგილაძე წარსული დროის აღსადგენად, მისი კოლორიტის შესაქმნელად მიმართავს არქაიზმებსაც: „არქაიზმები მწერალს იმაში ეხმარება, რომ დაკარგული თუ მოძველებული საგნებისა და მოვლენების სპეციფიკა და მათი დრო უფრო მკვეთრ ფერებში ასახოს. ყოველივე ეს მწერალს ეხმარება, რომ მკითხველს გაუადვილოს ასახული ეპოქისა და მოვლენების ცხოველმყოფელი აღქმა“ (ზანდუკელი, 1960: 220).

დედასამშობლოს სამი საუკუნის მოშორებული კუთხის-აჭარის ღვიძლი შვილი ელოლიავება „მამის მჯიღში და დედის მაჯაში“ გადარჩენილ ქართულ სიტყვას. პოეტი ამაყობს იმ წარსულით, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დახლეჩილი წარსულის ნოსტალგია. არქაულ სამოსელს იცვამს, არქაულივე ენით დასტირის პოეტი ძველს:

„ღმერთი ჩემი, ენა ჩემი,

წიგნი ჩემი მოისრაო“ („საქართველომ ქროლვისაო“).

ფესვების ძიებამ გააცოცხლა ლექსიკის არქაული ფენა: **სახმილი -ცეცხლი** (აქ: შური, ბოღმა); **ბედითი- ცუდი, ხამლი- ფეხსაცმელი; სპა- მონა; ტკვეფა - დახეთქა, დასკდომა აბულაძე, 1973:45).**

„სახმილი ხრავს, მუდამ ყურით მათრიოს“ (გორგ.2006:20).

სახმილი -აქ შურსა და ბოღმას ნიშნავს.

„თავქვე დაქანებულან **ბედითი** სრალომები“ (გორგ. 2012:163).

„უცებ **სპა** მოსდგამდა ბუკსა და ნალარას

სრულად სააქაოს მხრიდან“ (გორგ.2006:21).

„ვაიმე, შავდებიან მთები

და ირმების **ხამლებით** გაბაწრული ვკვდები“ (გორგ. 2012:164).

ერთიც ახედეთ, რას იქმენო, რა კენჭებს **ტკვეფენ** (გორგ.2006: 124).

ტკვეფა (შდრ. ნატკუფოლავი) ნიშნავს დახეთქას, დასკდომას.

§6. ინდივიდუალურ-საავტორო ნეოლოგიზმების სტილისტიკური ფუნქციები

ენა მუდმივად ცვალებადი კატეგორიაა, მასში ჩნდება ახალი სიტყვები, მდიდრდება ლექსიკური ფონდი. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ

მხატვრული ლიტერატურის როლი, რომელიც არის ასპარეზი უამრავი ახალი ფორმისა, რომლებიც, დროთა განმავლობაში, შესაძლოა, დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში, მის კუთვნილებად იქცეს.

ნეოლოგიზმებად იწოდება ის ახალი სიტყვები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ქცეულა შესატყვისი ცნებების შესაბამის დასახელებებად, შეინარჩუნეს სიახლის ელფერი და ჯერ კიდევ არ მოხვედრილა ლექსიკონებში. ადამიანებზე ჯერ არ არიან შექველნი ამ „სიახლეს“. ჩვენი კვლევის საგანია ინდივიდუალურ-საავტორო ნეოლოგიზმები და ოკაზიონიზმები (კონკრეტული კონტექსტისთვის, შექმნილი სიტყვები (ლათ.casus-შემთხვევა), გამოვარკვიოთ, რას ეყრდნობა პოეტი ახალ სიტყვათა წარმოქმნისას და მკვიდრდება თუ არა ისინი სალიტერატურო ენაში.

I. ნეოლოგიზმები, რომელთა შექმნაც განპირობებულია რითმით: ნაოქროვარი-მგლოვარი, **შემესისხლთაგანა, შემეხორცთაგანა** (ერთიმეზა ტაგანას); **მივდინდები** (ბინდები), (იზეპირებს) **მზეპირი, სხივტოტა** (მივდოდა) და ა. შ.

„ხომ კარგად ვიცი, გალაქტიონს ვინ იზეპირებს?

ხომ კარგად ვიცი, სად გაფრინდა იგი **მზეპირი**...“ (გორგ.2006:323).

„ვისთა ნამუსრი,

ვისთან კიდევ **ნაოქროვარი**,

რას ნიშნავს ნეტა ეს დიდება

ჩუმად მგლოვარი“... (გორგ. 2007: 37)

„როგორც თენდება, ისე ღამდება,

სულში გუბდება გუბის ბინდები

ლექსები აღარ მინიაღვრდება,

მივდივარ მდორედ და **მივდინდები**“ (გორგ. 2007).

ღვინოს ლეკი ბიჭი **ფერობს**,

ასე, ღმერთო, რას უშველის,

რას მოუტანს საქართველოს?“ (გორგ.2006:72).

„ბევრის გული ფლიდობდა,

ბევრის ტვინი **ბინდობდა**“ (გორგ.2006:93).

„გამორბის ქარი, კივის ქარი,

ქარი ხმერობს,

აფეთებს, ფუნგავს უღრან ფოთლებს,

და ბედნიერობს“ (გორგ. 2012: 250).

„რომ სახალხო ჭირ-ვარამს, შენაც შეესპეკალო,

ცარიელი ჩანთა და სკამი უნდა გეკავოს?“... (გორგ. 2012: 427).

... „ჭოროხი ბზინავს, ალვა მხარულობს,

შენ ჩემს სიყვარულს რად ემსგავსები,

თავად გონებავ და სიყვარულო“ (გორგ. 2012: 71).

„თორთქალო და სხივტოტა,

მინდორ მინდორ მივდოდა“ (გორგ. 2007:78)

II. ზოგი ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნას ალიტერაცია უნდა ედოს საფუძვლად: ხვართქლი ხვართქალებს, ფურტკნავს ფუნჯი; ხვარჩი ... ხარჯი
საფორჩხელა- ჩონჩხლო

„იქ საფორჩხელას ჩონჩხლო ჯაგებში,

ხვართქლი ხვართქალებს სულ“ (იქვე,16);

ან: „ყელზე შემომეფართქალა,

ვაზის ლერწი ლოფორთქანა“ (იქვე, 87).

„მეყო ჟამმა ჟანგნაფლეთმა,

რათ დამფლა და რაც დამგმანა!

„ჩუქურთმაში ფურტკნავს ფუნჯი,

კვირტისა და ჩვილის ტიტინს“ (გორგ. 2007: 18).

III. ზოგი სიტყვა მიღებულია სხვა სიტყვათა ანალოგიით:

ხელისგული/უბეგული, შავხოშორი/ ძვალხოშორი

„ან: ხელის გულზე შეინახავს და

ან უბეგულში ჩაისვამს კაცს“ (გორგ. 2007: 14).

„სხვა რა?-აყალო და შავხოშორი

მიწა მარჩენალი, ძვალხოშორი“ (გორგ.2012: 75).

„ზოგს ქართული დააქვს ცრემლი,

ზოგას ღველფი და ზოგს ტაგანა.

ისე შემესისხლთაგანა, ისე შემეხორცთაგანა“ (გორგ. 2012: 33).

IV. ლექსიკურ ერთეულთა უმეტესობა არცერთი ზემოდასახელებული ფაქტორით არაა შეპირობებული: **ღვილიკა, ფოთქოვანი, ბალარძანა, ძოდნა, დგიალი, ბუდანი, ძუაძირა**. ამ სიტყვათა მნიშვნელობები არ დასტურდება არცერთ ლექსიკონში.

„ამიტომ მზვერავს და შემყურებს ეჭვით,

ეგ ორღობეების **ღვილიკა** პატრიოტი“ (გორგ. 2007: 91);

„რომ ის ლერდანი არა ვარ, ის **ფოთქოვანი** ფულურო,

ყველა წალდიან-უწალდოს თვალში და ზურგში ვუყურო“ (იქვე, 12).

„ბევრი მოგაყრის ქვაღვიაროს,

ბევრი ბუდანა და **ძუაძირა**“ (გორგ. 2006: 55).

„რომელი ხემშიაშვილი, ჩემი მწეწდა და **მძოდნიდა**,

„ქალსა თუ ხელხვავს, კაცსა თუ **მოროდს**,

ვისაც სიმღერის სიწმინდე სჯერა“ (გორგ. 2006: 127).

„ჯაყელების გორაკზე, ბებერ ხატიმამულთან

ბოდონძვერა დუმილი,

დღეებს უყეფს ძალღივით“ (გორგ. 2012: 553).

დახლში გომბაქი ბრუნავდა,

ბაზაყრუ, წიგნის თაროსთან (გორგ. 2012: 444).

„ჩემი, რაა ჩიკლაკი, ჩოგანიც ვერ ჩოგანობს,

მომავალი შენია, **ბოდოყროვ** და ბოგანოვ“ (გორგ. 2006: 478).

ზოგ სიტყვას ავტორი ქმნის მეტი ექსპრესიულობისთვის:

„ადექ შენ ბერთემბელაო, ამოსაგდებო კორძითა“ (გორგ. 2012: 384).

„კახაბრის ველზე **ფოქინავს** ყვავილი,

ვისი სულია ნეტავ, ძმობილო?!“ (გორგ. 2006: 89).

„კვლავ მიაქროლებს ფაფარს ფარისი,

კვლავ **ძგრიალებენ** ლურჯა ცხენები“ (გორგ. 2012: 168).

„საითაც უნდა,

ჭიკჭივი მისი ჩემს ხსოვნაში დარჩება ბუნდად“(გორგ. 2006:237).

მეტად საინტერესოა ნასახელარი ზმნები და საწყისები (შეგელომკაცები, გამჩუმარება, გამდუმარება და ა. შ.).

„აწი რალაი, ქედნი მხარში

ველარ **შეგელომკაცები**“ (იქვე, 94);

„ნეტავ ეგ გამდუმარება

გამჩუმარება მცდარიო,

ვინ უნდა შეაზანზაროს,

ვინ უნდა არევ-დარიოს“ (იქვე, 23).

„სპარსის ენით გაბანგვა და **მღერალობა**,

და.....ისპაჰანს დაგლეჯილი დედა“ (იქვე,32).

„თუ კაცი ხარ, ნუ **მეზავშეები**“(გორგ.2012:429).

„რატომ მიერჩი ამ სიჩუმეს

და **უსიერობ**,

ოჰ, ყველაფერი მოწამეა“(გორგ.2006:274).

პოეტურ-ინდივიდუალური ნეოლოგიზმები მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებაა და მწერლის ან პოეტის შემოქმედებითი ნიჭის, მისი მხატვრული პოტენციალის საზომია.

§ 7. ფრაზეოლოგიზმების სტილისტიკური ფუნქციები

პოეტურ სიტყვას იშვიათ ექსპრესიულობას სძენს ფრაზეოლოგიზმებიც. ისინი დიდი გამომსახველობითი ძალის მქონე სტილისტიკური საშუალებებია. „მათი გამოყენება მეტყველების ექსპრესიულ-ემოციურ ბუნებას ამაღლებს და ამდიდრებს“ (Ефимов,1968:70). მიჩნეულია, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი ქმნის განუმეორებელ ენობრივ სტილს და წერის მანერა თუ ლექსიკა-ფრაზეოლოგიაც მისეულია. სწორედ ამგვარია პოეტ ზურაბ გორგილაძის პოეზიაც.

„მწერლის მიერ შერჩეული ყველა სიტყვა ვერ იქცევა სალიტერატურო ენის კუთვნილებად, თუმცა მწერლობის ღირსება სწორედ იმ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის წარმოჩენაა, რომელსაც მეტი უნარი აქვს საერთო სახალხო ენის

კუთვნილებად იქცეს. სოციუმის ენობრივი ხატი საუკეთესოდ სწორედ ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში აკუმულირდება“ (ზვიადაძე, 2010:151).

ზურაბ გორგილაძის პოეზია საინტერესოა ემოციების ენობრივი გამოხატულების მხრივ. ისინი უმნიშვნელოვანესია სამყაროს შემეცნების, მოტივაციის, სოციალური კომუნიკაციისა და საქმიანობისათვის. ემოცია „რეაქციაა შინაგან და გარეგან გაღიზიანებაზე, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული სუბიექტური შეფერილობა“ (Догоиов, 1979:57).

„ემოცია რთული ფენომენია, რომელიც მოიცავს ნეიროფიზიოლოგიურ და სამომრათ გამოხატულებით კომპონენტებს და სუბიექტურ განცდას. ის...ადამიანში ემოციის განცდისა და გამოხატვის უნარი თანდაყოლილია, ზოგადკულტურულია და უნივერსალური“ (Izard, 1980:69).

რადგან „ენის მიერ არახილვადი შინაგანი სამყაროს მოდელირება ხილვადი, მატერიალური სამყაროს მიხედვით ხდება, ... არახილვადი სამყაროს კონცეპტების აგების ძირითად მექანიზმს მეტაფორა წარმოადგენს“ (ლოლაძე [HTTPS://SEMIOTICSJOURNAL.WORDPRESS.COM/2010/08/07/](https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/07/)).

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში უხვადაა სულ' კომპონენტებიანი ფრაზეოლოგიზმები: „სულში რისხვის გაჭენება“, სულის გაბეზრების მწვანე ნინველით დაღრღნა“, „სულის შეჭმა“, „სულში დემონის გადავლა“, „სულზე ფრჩხილების დაქნა არსთა მპყრობელის მიერ“, „სულში იარის ჩარღვევა“, „კაკალ სულში ეკლიანი შოლტების ცემა“, „სულის დაჭაობება“, „სულის დაორსულება სამყაროს შხამით“, „სულში ქნარების ქროლვის შეჩერება“, „იმჟამინდელი სულის მირონივით დაღვრა“, „სულის დაღლა“, „სულში შუქის ჩადება“, „სულში ყვავილების ფანტვა“, „სულში ხურდის ჩაყრა“, „სულის სიხარულის თქემით ავსება“, „სულში უდაბნოს კენჭის ჩაგდება“, „სულში ისლამის გარჭობა“, „სულში ვაზის აცრა“ და ა. შ.

დასახელებულ ფრაზეოლოგიზმთაგან ბევრი პოეტური ფანტაზიის ნაყოფია, რითაც ზურა გორგილაძემ გაამდიდრა ჩვენი ენა.

შეურაცხყოფა

„ან რისთვის გცემენ კაკალ სულში ეკლიან შოლტებს“(გორგ.2012:258).

განრისხება:

„სულში რისხვა გაჭენდება,

გაჭენდება გმინვა ყველა ეზოდან“(გორგ.2012;103).

სულით დაცემა, უზნეობა:

„შენი სული დაჭაობდა,

შენ მაგ ჭაობს ვერასოდეს გაიგებ“(გორგ.2012:103).

„უმაღლესი ჩემი ძონძეები მას ხანჯლებზე მივკიდე

სული ვერ კი მივყიდე, სული ვერ კი მივყიდე“(გორგ.1988:125).

გამაჰმადიანება:

„ტრიალებდა სისხლი, ბული და

მირჭობდნენ სულში ისლამს“(გორგ.2012:26).

ტანჯვა, წამება, წუხილი, გესლი:

„ნეტავ რა ღვაფი მოთიკრავს,

სულში ჩარღვეულ იარას“(გორგ.2006: 110).

„მჭამდა ღმერთი თუ გესლის თანადი,

თრიაქი, სულში მბრუნავი ნადმად” (გორგ.2012:66).

ბევრი იქუხა ჩემი სულის თავანზე, ბევრი...

„ვიყავი მუდამ შუბლშემკული ღრუბლების მტევნით” (გორგ. 2012:366).

„ძვირფასო! სული დაორსულდა სამყაროს შხამით,

სხვა ჰამლეტების სირბილია..სხვა მოსასხამი“(გორგ.2006:303);

„იქნებ ჩემს სულზე ფრჩხილებს იქნის არსთა მპყრობელი?” (გორგ. 2012: 203).

ორიგინალურია ყრმების სახელოვანი სიკვდილის გამომხატველი ფრაზეოლოგიმი:

„აქ მირონივით არის დაღვრილი

იმჟამინდელი სული ყველა ყმის“ (გორგ.2006; 81)

ვაზი ქართული მეობის, იდენტობის ერთ-ერთი ნიშანია. ქრისტიანობის

სიყვარული, მისი ორგანულობა ქართველი კაცისთვის ასე გადმოიცემა:

„სულში ვენახი ყვაოდეს, თორემ
ღვინო დალიონ, რამდენიც უნდათ“ (გორგ.2012:28).

„ვინც ამიცრა სულში ვაზი
და ქურდობა დამაბრალა“ (გორგ.2006:7).

„მეყო, მტევნის წებო-წვენში
ჩემი სულის ორთქლი დგანა“ (გორგ.2012:18).

სიხარული, აღტაცება

„ჩემს სულს ქარები გადაპოწკავენ
და წაუღებენ სხალთის ფერიებს“ (გორგ. (გორგ.2012:95)..

„კვლავაც მრავალი გადაივლის სულში დემონი,
კვლავაც მრავალჯერ მიეგება დიდებას ბოროტს“ (გორგ. 2012: 298).

„მოჰფენია სულზე მზე ფენიქსის კლანჭით
და უგონოდ დასჯილს თავმდებობენ მთები“ (გორგ.2012:84).

„ქუსლში ამ ღელის ღვივის ეკალი,
სულში ვაშლები თოვს“ (გორგ.2012:51).

სულში ვაშლების თოვა მეტად საინტერესო ფრაზეოლოგიზმია. პოეტურ ტექსტში „ხატიმამული“ ორჯერაა ნახსენები ვაშლი, როგორც პირველცოდვის სათავე და მიზეზი, იმ პირველქმნილი სამოთხის ხატიდან რომ მოდის და ზურაბ გორგილაძის სახისმეტყველებისადმი ეკალივითაა აცრილი კაცთა მოდგმის ქუსლში, როგორც სისუსტის სიმბოლო (შედარებულია აქილევსის ქუსლთან), როგორც ბაბუას ნაჭამი ტყემალი კვეთს კბილებს შვილიშვილს (შაინიძე, 2016:108).

ძლიერი სიყვარული

„ ჩემი სულის კუკული ხარ,
არ იფიქრო, მოგწყვიტავო“ (გორგ. 2012:66).

კუკული საერთოქართველურია, ქართულში, ისევე როგორც ლაზურსა მეგრულში (კვიციანი, მცენარის გაუშლელი ყლორტი, ყვავილია (თანდილავა, ნარაკიძე, 1986: 100).

სული და გული სონონიმურადაც გამოიყენება. საანალიზო პოეზიაში ამ კომპონენტებით შედგენილი ფრაზეოლოგიზმები სინონიმურ პარალელიზმს ქმნის:

„სულსა მჭამს, გულ-ღვიძლს მიდღვებავს

განაწირ-განამწარიო“ (გორგ. 2012:6).

„სული არ შეგეწამლება?

გული არ დაგენაცრება?

რა ქნან, როდემდე იცადონ,

გაცივებულმა ტაძრებმა?!“ (გორგ. 2012: 203).

აღნიშნული ტაეპები პროფ. ნ. ვერძაძემ შემდეგნაირად შეაფასა: „ისტორია პოეტმა გაითავისა, გაიცნობიერა, როგორც ღვიძლი და განუყოფელი ნაწილი ჩვენი დღევანდლობისა. ჩვენი დროის ჭეშმარიტი ქართველის წუხილითა და გულის გაღებით აცოცხლებს ხსოვნად ქცეულ ძველ დროს.

იმ მოღუშულ და ცრემლიან დღეთა ამგვარი გააზრება კი ყოველთვის წარსულსა და აწმყოს შორის საღსალამათიან ხიდს გადაკიდებს. დღევანდელი ეროვნულ-პატრიოტული წადილისა და წყურვილისაგან მოშორებით მისთვის ისტორია არ არსებობს“ (ვერძაძე, 1988:9).

კონცეპტი **სული** ზურაბ გორგილაძის პოეზიაში შეისწავლა ნ. ცეცხლაძემ. **დადებითი გაცდების** პროცენტული მაჩვენებლები ასეთია: სიხარული - 27 %; სიყვარული და პატრიოტიზმი- 18-18 %, ნოსტალგია -14%, ქრისტიანობის სიყვარული და პოეტური შთაგონება- 9-9%, ცოლქმრობა - 5%. **უარყოფით** **გაცდათაგან** კონცეპტი **სული** ყველაზე ხშირად გამოხატავს ტანჯვას, წუხილს- 22%, წუთისოფლის ამაოებას, სიკვდილს, თავმოებურებას და ზნედაცემულობას ეთმობა- 13-13%, პოეზიის დანიშნულების გაუფასურებას- 8%, გამუსლიმანებას- 9%მუზის დაშრეტას- 9% (ცეცხლაძე, 2017: 461).

სემანტიკური ბუდეების მიხედვით ანალიზის შედეგები ასეთია: „ზურაბ გორგილაძის პოეზიაში კონცეპტი **სული** მრავალფეროვან სურათს ქმნის. აქ ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში აღბეჭდილ მწიგნობრული ენის თუ სასაუბრო სტილის ფრაზეოლოგიას ჭარბობს ინდივიდუალიზმი. კონცეპტი **სული** უმთავრესად

გამოხატავს ემოციებს, ამათგან ყველაზე ხშირად უარყოფითს: ღრმა სულიერ ტკივილებს, მწუხარებას, ტანჯვას, გამაჰმადიანებით გამოწვეულ წუხილს, ზნედაცეულობას, სიკვდილს. დადებით განცდათაგან გადმოსცემს სიხარულს, ქრისტიანობის ორგანულობას, სამშობლოს სიყვარულს, ნოსტალგიას, განცდებს, სულიერებას სიმშვიდეს, სიკეთესა და პოეტურ შთაგონებას. ეს კი განაპირობებს ზ. გორგილაზის პოეზიის ძლიერ ექსპრესიულობას და მაღალ ესთეტიკურობას“ (იქვე).

განვიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიტყვა-კონცეპტი **გული**.

„**გული**-ს შემცველი ფრაზეოლოგიზმების ორიგინალურობას ადასტურებს ძველი ქართულის მონაცემები. შენიშნულია, რომ სახარების ტექსტში, ხშირ შემთხვევაში, იქ, სადაც გარკვეული გუნება-განწყობილება თუ გრძნობაა გადმოცემული, ქართულში გვხვდება **გულის** შემცველი ფრაზეოლოგიზმები, ბერძნულში – არა“ (ბერიშვილი, 2002:108).

ც. მოდებამემ გამოავლინა, რომ გერმანულში შემდეგ ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს არ მოეძებნებათ ანალოგი: **გულზე არ ეხატება, გულზე გადაიყარა, გულზე გასკდომა, გულიდან ამოგლეჯა, გულზე ცეცლის მოკიდება, გულის დაწვა, გულის დადგომა, გულის გადაყოლება, გულის გაკეთება, გულზე ხელების დაკრეფა, გულის გაპარვა, ვინმეზე გულის შევარდნა“** (მოდებამე, 2015: 410).

როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს: „**გული** წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების (გულისრევა, გულის შემოყრა) ამთვისებლად, ერთი სიტყვით, მას ეკისრება ფუნქცია, ტვინის, გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს“ (ჩიქობავა, 1938: 66).

„**გულიანი** იდიომების ანალიზმა გვაჩვენა, ქართულში **სიყვარული, სიხარული, მწუხარება, დანანება, დარდი, ნაღველი, შიში, წყენა, სტუმართმოყვარეობა, სიზარმაცე, შიმშილი, დაბნედა**. ადამიანის ღრმა გრძნობები და განცდები ძირითადად **გულს**, მის მოძრაობას უკავშირდება“ (ცეცხლაძე,

20172:216). აქვე გვხვდება რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი, რომელთა მაფრაზეოლოგიზებული კომპონენტაცაა **გული**:

„ახლა საით?-ის გეში და ალლო,

მიჯობს **გულზე დამაჯორგო მეწყერი**“(გორგ.2006:19).

„**გულის მოსაფხანად** ხელს აძლევს,

გულს არ უკლავს, გულს უხარებს ხალხო“ (გორგ.2012:18).

„ვერც **გულს მოიფხან**, ვერც იბღავლებ, ვერც იხარხარებ” (გორგ.2012: 44).

„ალიფაშამ გვიღალატა... **გულს განგაშით ესობა**

ამ ფრაზების ლახვარი და ჰანგის უმაღლესობა” (გორგ.2012: 85).

„სპარსულად მუსიკობდა, მტერი კი **გულს იპობდა**,

ეს მაშინ, სალოცავო, მაშინ“(გორგ.2012:36).

„ვიცი, ჯილაგი გაქვს იმნაირი,

გულ-ღვიძლს ამოგლეჯ მეგობრისთვის“(გორგ.2012:50).

ქართულ ფრაზეოლოგიზმებში **ღვიძლი** იშვიათად გამოიყენება. თურქულში შესაბამის კონტექსტში გვაქვს **ღვიძლში ისარივით ჩაესო, ღვიძლი ეწვის, ღვიძლი ეფლითება** (Tandilava, Tsetskhladze, 2015: 105). ქართველი კი არცერთ შემთხვევაში **გულს** არ ჩაანაცვლებს სხვა სიტყვით. ნათარგმნ ძეგლებში, „ვისრამიანსა“ და „ყარამანიანში,“ ასეთ გამოთქმებში **ღვიძლი** გამოიყენება: „მოაბადს ღვიძლს ცეცხლი ედებოდა“ (ვისრ.127,4).

დიდი დარდის გამოსახატავად ქართულში გულთან ერთად გვხვდება **ღვიძლიც: გულ-ღვიძლში ცეცხლი დაუტრიალდა**. ზურაბ გორგილაძემ გააძლიერა შთაბეჭდილება და გამოიყენა ფრაზეოლოგიზმი **„გულ-ღვიძლის ამოგლეჯა.“**

„პოეტის ხმა და შესაბამისად, მისი მრავალმხრივი ინტონაცია, რომელსაც პოეტური სიტყვის მარილს უწოდებენ, ხელოვანის გულიდან მოდის და იგი, როგორც ზურაბ გორგილაძე აცხადებს, იმდენად სულისმიერია, რომ ჯილდოებისა და გასამრჯელოს მოლოდინით არ არის მოტივირებული“(შაინიძე, 2016: 45):

„მე ის არა ვარ, ვისი **მარილიც**,

სტუმრის სუფრაზე ბრჭყვიალებს მხოლოდ,

ვინაც გნებდება კახპა ქალივით

და გასამრჯელოს მოთხოვს ბოლოს“

აქვე დასტურდება იშვიათი იდიომები: ვარდის ასაკი, ჩიტლეღვას ასაკი.

„ქალი, რომელსაც უბდგიალებს ვარდის ასაკი,

თუ...ქალი, რომელიც გადასცილდა ჩიტლეღვას ასაკს?“ (გორგ. 2006:373).

ვარდის ასაკი და ჩიტლეღვას ასაკი აქ ანტონიმებია, და, სავარაუდოდ, უკანასკნელი მოწიფულობის ასაკს უნდა ნიშნავდეს. ჩიტლეღვა - გარეული ლეღვი; ისხამს წვრილ, შავ ნაყოფს (ღლონტი, 1984:658). ლექსში პოეტი საუბრობს სიყვარულის შენახვაზე და სჯერა, რომ ამ სათუთ გრძნობას უფრო შეინახავს ქალი, რომელიც მორჩილდება განგების ასაკს, რომელიც გადასცდა ჩიტლეღვას ასაკს.

მოღალატეებს, მედროვეებს, ანგარებიანთ და მხდალთ მიემართება იდიომები: ყივჩაღის/ ყაჩაღის/ იუდას ნაშიერი, დახლის ვირთხა, სკამის მგელი, ჭრელი ჭირი და ა.შ.

„სასმელს არ აწყურებს, ჭამადს არ აშიებს,

ყივჩაღის, ყაჩაღის, იუდას ნაშიერს“ (გორგ. 2012: 42).

„სკამის მგლებიც და დახლის ვირთხეზიც,

ყველანი ჩემზე კარგად არიან“ (გორგ.2006:179).

„კი არ იციან აღთქმის კარებთან,

რა დააგროვა იუდას გროშმა“ (გორგ.2012:22).

„ვის ბიბლიის ქუსლი ახსოვს,

ვის- ბიბლიის ალიყური“ (გორგ.2012:33).

„ერთი ჭრელი ჭირი გჭირდა,

ბრძენს თუ შეგირდს,

მხდალს თუ რაინდს,

ტახტის კაცი სულ თავს გჭირდა,

სულ უკმევდი გუნდრუკს მაინც“ (გორგ.2006:134).

ქართულში სიკვდილის სემანტიკა ყველაზე მრავალფეროვანია: დღის დაღევა, სულის ხდა, სულისა და ხორცის გაყრა, ტანისა და თავის განშორება, ტვინისა და ძვალის ერთმანეთში არევა, წუთისოფლის გაყრა სიცოცხლის ფიალის ავსება, საუკუნო კალთას მოკიდება.

„კაცობრიობის დამოკიდებულება სიკვდილისადმი, როგორც ყოფის კონცეპტუალური მომენტისადმი, შეიძლება იყოს საუკეთესო საშუალება, გასაღები სხვადასხვა ეთნოსის კულტურული მსოფლხედვის გასარჩევად. წარმოდგენა სიკვდილზე უნივერსალურია მრავალი ხალხის სამყაროს ენობრივ სურათში, თუმცა ყოველი ნაციონალური კულტურის (რწმენა, ტრადიცია, რიტუალი, წარმოდგენა და ა. შ.) თვითმყოფადობა განაპირობებს თითოეული ეთნოსის ენობრივი ცნობიერების უნიკალურობას“ (კიკონიშვილი, აბალაკი, 2010: 86-87).

„ქართული ენა მდიდარია სიკვდილის სემანტიკის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმებით, აქ ნათლად ჩანს ეროვნულ ცნობიერების უნიკალურობაც და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გამოწვეული მსოფლმხედველობრივი ცვლილებებიც, მხატვრულ ლიტერატურაში აისახება ეს პროცესებიც და სიკვდილის ცნების გააზრებაში შემოდის სრულიად ახალი მხატვრული ელემენტები“ (ცეცხლაძე, კიკვაძე, ფარტენაძე, 2011:294).

პოეტური ფანტაზიის ნაყოფია და მეტად ორიგინალურია ფრაზეოლოგიზმები:

„ბარე რვაჯერ შემოჰკარი ქართლს სიკვდილის ალიყური“ (გორგ.2006:53).

„ამ დუნისა, შენს დირედთან

გორვა-გორვით მოვცვითავო“ (გორგ.2012:66).

ფრაზეოლოგიზმები ძირითადად უარყოფითი ემოციების: დარდის, წუხილის, შერცხვენის, ღალატის გამოსახატავად გამოიყენება. მათი სტილისტიკური ფუნქციაა ამ მანკიერებებისადმი უარყოფითი ემოციის აღძვრა.

პოეტი ფრაზეოლოგიზმებით ახსენებს ხალხს ძირძველ ისტორიას, ავბედითობას:

„აქ კოლხეთში, რიონის თუ რუხის ნაპირთან,

რამდენი თავის ხორცის ნაგლეჯს გლეჯდა აკვნიდან“ (გორგ.2012:21).

„რით დაგეკვალთა ტანი-ტატანი,

რა გიდულებდა სისხლსა და ქოთანს“ (გორგ.2012:22).

წარსულის სადარაჯოზე მდგარი პოეტისთვის მთავარია წინაპართა ხსოვნა: „წინაპართა ძვლების ფერფლი გავატანე ნიავს განა?!“ (გორგ.2012:25).

ღალატი, შერცხვენა პოეტისთვის წინაპართა ძვლების საფლავში **პირჩაღმა ჩაბრუნებაა**, ამიტომაც სთხოვს ხალხს გონიერებას და სიფრთხილეს:

„ტბელისა და სელიმის ძვლებს საფლავში

პირჩაღმა ნუ ჩამიბრუნებ ხალხო!“ (გორგ.2012:17).

პოეტი უხმობს მეგობრებს, რათა მოინახულონ და მარტოსულობის სევდა გაუქარვონ, შეუმსუბუქონ ცხოვრების ტვირთი:

„ასე განდეგილს დავემსგავსე,

ცხრა წისქვილი თავზე დაბრუნდა“ (გორგ.2012:299).

ლექსში „მკვდრების საუკუნე“ პოეტი იხსენებს მეოცე საუკუნეს როცა:

„მოდღვარი ისევ ქვეყნის რაინდს ედგა შეგირგად,

ცრუ სასწაულებს გვაწოვებდნენ ისევ ნეკიდან“ (გორგ.2012: 303).

„უპირველესად მოდი და მოეც,

სინდისი!!!-

უსინდისობის გამო

სამშობლოს ზურგზე წამომჯდარ პოეტს“ (გორგ.2012:157).

აქ გამოკვეთილია პოეტის დანიშნულება. პოეტისთვის უსინდისობად მიიჩნევა **სამშობლოს ზურგზე წამოჯდომა**, მის ხარჯზე ცხოვრება.

სასაუბრო სტილისთვის დამახასიათებელია ფრაზეოლოგიზმიც. ისინი უარყოფითი სემანტიკის გამომხატველია:

...„ყველა ნაოხრალს

ქვა ასროლინე კუდითა!“ (გორგ. 2012:322)

„და ჩალად არ მიჩანს ეგ შენი ჯიქურები“ (გორგ.2012:126).

„მაგათ ყბაში **ნუ ჩამაგდებ**, ხალხო!“ (გორგ.2012:18).

„ჯიბრი აქვთ, ვინ უფრო გაართობს გადამთიელს,

ენაყბად გაკრეფენ თავისიანს“ (გორგ.2012:123).

„სულ ფეხზე ეკიდა მულღაზანზაროელს,

შენი გულანშაროს ბედი“ (გორგ.2012:19).

„ღლაპებს ხეირიანად წვინტლი არ მოხოცვიათ,

სადაც გაიხედავ, მათი ხორხოცია“ (გორგ.2006:139).

„ო, მოეც ღმერთო,

ამ დროულებს გონება მოეც,

რომ ოჭვანთოდან არ უჭვრიტონ სამშობლოს პოეტს!“ (გორგ.2012:537).

ლექსში „რატომ?! რატომ?!“ გამოიყენება სინონიმური ფრაზეოლოგიზმი-ჭუჭრუტანით არ უჭვრიტონ სამშობლოს პოეტს!“ (გორგ.2006:118).

ეს სტრუქტურული ვარიანტები მეტად საინტერესოა როგორც ენობრივად, ისე შინაარსობრივადაც. ოჭვა(ნ)თოდან//ჭუჭრუტანიდან ჭვრეტა სწორედ ის სატკივარია, რომელიც აწუხებდა პოეტს.

§ 8. ანდაზა-აფორიზმების სტილისტიკური ფუნქციები

ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი სიბრძნე ჭეშმარიტი სარწმუნო წყაროა. მხატვრულ ლიტერატურაში ანდაზას არგუმენტის ფუნქცია ეკისრება, ავტორს სურს მსმენელისა თუ მკითხველის დარწმუნება ნათქვამის ჭეშმარიტებაში და ექსპრესიულობის მიღწევა. გამომსახველობის მისანიჭებლად ზურაბ გორგილაძე მზამზარეული ანდაზებით კი არ კმაყოფილდება, გადაამუშავებს, გადაახალისებს მათ.

პოეტთან გვხვდება ანდაზა-აფორიზმები, ისინი ტექსტის ორგანულ ნაწილადაა ქცეული:

„მწიფს რომ შემოჰკრავ და მჭახე ჩამოსცვია,

გული გეტკინება, - აბა რა იქნება“ (გორგ. 2012: 430).

„მივდივარ, ქვაზე იმედს და სიკეთეს დავდებ

სულისად შენდა, - იდუმალის მოვფენ სხივებით“ (გორგ. 2012: 239).

ფრაზის დინამიკურ ერთეულებადაა ნაქცევი შოთა რუსთაველის აფორიზმები:

„სჯობს სიცოცხლესა,“ - დაიწყებდით ბრძანების წერას,

თუ ყოვლადუხვი- „ რასაცა გასცემ“ (გორგ. 2012: 154).

მაგრამ რა! ცოტაც გაივლის, კვლავაც ჩაჰხედავ წყაროსთვალს

„იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“ (გორგ. 2012: 444).

პოეტურ სიტყვაში ოსტატურადაა ჩაქსოვილი სხვა ავტორთა აფორიზმებიც: ასეთია, მაგალითად, ვოლტერის სიტყვები

„შენ, - მეგობრისგან მიხსენი, ღმერთო,

ჩემს მტერს კი, როგორმე, მოვუვლი თვითონ“ (გორგ. 2012: 471).

§9. დისფემიზმების სტილისტიკური ფუნქციები

ცოცხალ მეტყველებასთან სიახლოვით აიხსნება დისფემიზმების და ვულგარიზმების გამოყენებაც. მხატვრულ ლიტერატურაში ისინი პერსონაჟის მხატვრული სახის შესაქმნელად, სტილიზაციის მიზნით გამოიყენება.

თანამედროვე ქართულში გაბატონებული ვულგარიზაციის ტენდენციის შესახებ საგანგებოდ მსჯელობენ (არაბული, 2005: 237).

ზ. გორგილაძის პოეზიაში დისფემიზმების გამოყენებას სტილიტიკური ფუნქცია აკისრია:

„თვალს აღერებს შენს ქვეყანას ვიღაც **ოხერ-მოხეტე**“ (გორგ.2006:45).

„მე კი, მე მხოლოდ მაშინ მინდა წიგნიც და ლექსით,

როცა ეს **მძორი**, ეს **ოხერი** სავსეა კუჭი“ (გორგ. 2012: 152);

„**სკინტილიან** ჭუჭულს რომ ოქროს დეზები აქვს,-

მაგი არაფერი“ (გორგ.2006:97).

„-მაგ **ბედმწატემ** და მაწანწალამ,-

გაამვირეთო, ეგ **ოხერი**, მეორეთ ბრძანა“ (გორგ.2006:123).

„ბებერი გულღვიძლი არ გამომაჰამონო

ამ **ნაგაზებმაო**“ (გორგ.2006:452).-

„ამ **ბაძანგრების**, ამ **ტლოხრების** ამ **ყრუბოღმების** ბობოლა ბუდეს“ (გორგ. 2012: 534)

„ამდენი **კახპა** და ამდენი **ახვარი**

საქართველოს არასოდეს ჰყოლია“ (გორგ. 2012: 540)

„ზუკა! შე ოხერო, შე, შე სამაგელო,

შე, თავმოსპეტილო, შე ცხვირნიკურავ“ (გორგ.2012:329).

„ყველა თახსირი და უცხვირპირო

ჩემი განკითხვის ცდაშია მუდამ“ (გორგ.2012:108).

„ ჰე, ჰეი, მეციხოვნევ!

-აქა ვარ, ბატონო!

-არ მოსთრევს რჯულძადლი?

-არ მოსთრევს, ბატონო!

-ეგრემც, ეგრემც, ღმერთმა გიპატრონოს“ (გორგ. 2012: 42).

როგორც ვხედავთ, დისფემიზმების სტილისტიკური ფუნქცია არის ქვეყნად გაბატონებული უზნეობის, ღალატის, მრუმობის, ანგარების და ბევრი სხვა მანკიერების წინააღმდეგ ბრძოლა.

თავი III. სიტყვაწარმოება

ცნობილია, რომ სიტყვათშემოქმედება ენის გამდიდრების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. ზურაბ გორგილაძის პოეტური ენა ქართული მდიდარია სიტყვაწარმოებითაც. ამ თვალსაზრისით ყურადღების ღირსია ერთი მხრივ აფიქსური წარმოების შედეგად მიღებული ახალი სიტყვები, მეორე მხრივ-ავტორისეული კომპოზიტები.

4.1.სახელთა წარმოქმნა. ა) ქონების სახელები: თანამედროვე ქართულ ენაში ვისიმე ან რისიმე ყოლა-ქონება აღინიშნება ძირითადად -იერ, -იან, -ოვან, -ოსან სუფიქსებით, ოღონდ სხვადასხვა სიხშირით გვხვდება. განსხვავებული მათი სტილისტიკური ფუნქციებიც.

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ბევრია იან სუფიქსიანი მქონებლობის სახელი. ეს ნიშანდობლივია ახალ ქართულში, სადაც მქონებლობის გამომხატველ სუფიქსთაგან -იან სუფიქსმა მნიშვნელოვნად გაიფართოვა ხმარების არე. გარდა არსებითი სახელებისა, იგი დაერთო ზედსართავებს, ნაცვალსახელებს, რიცხვით სახელებს.

„სტუმარო!- და მხარზე ფუთიანი,

ტორი დამაბრძანა კუნთიანი,

სტუმარო, მოიწყენტ რატომო...“ (გორგ. 2012: 544).

„მიხვეტავს, მოხვეტავს, ტრამლიანს, დავლიანს“ (გორგ.2012:50).

„ რად ხარ ეჭვიანი, რად ხარ ნაღვლიანი...“ (გორგ.2012:37).

„ვივლი ამ ტლუ ბილიკებს ნამიანი თვალებით“ (გორგ.2012:53)..

„მხარე უანკარეს მოფერების მდომი,

ჭირხლიანი, როგორც ჭოროხი და სხალთა“ (გორგ.2006:95).

საინტერესო დერივატია **გულპერანგაფრიანი**

„რანდმა, **გულპერანგაფრიანმა**,

წარბები მეხივით დაჰყარა“ (გორგ.2012: 546).

ზოგჯერ ამა თუ იმ სუფიქსის გამოყენებას ლექსთწყობა განსაზღვრავს ასეთია **ურ/ულ** სუფიქსიანი სახელებიც: **ორლობული, მთვარული, ღვარული**

„მე ეს ქიშპი **ორლობული** შემშლის,

საქართველოს ნაწამებო ნაწილო“ (გორგ.2012:18).

ზოგჯერ ამგვარ სახელებს რითმის გამო ქმნის პოეტი:

„...გეფრქვიოს ჩუმი სევდა **მთვარული**,

რომ იყოს სადღაც ცრუ და ლამაზი,

ღალატი, ცრემლი და **სიყვარული**“ (გორგ.2012:18).

„ყველა კაი ყმას - გიჟის ხალათი,

ერთგულ დიაცებს- ცრემლი **ღვარული**,

ღალატს ღალატით ვერ ვუღალატე,

ვერ შევიყვარე სხვა **სიყვარული**“ (გორგ.2012:220).

მარცვალთრაოდენობის გამო ჩანს შექმნილი სიტყვა **ალპიური**, რადგან გვაქვს პარალელური ფორმა **ალპურიც**:

„ზვავების გულზე **ალპიური** დგანან შოლტები,

ყვავილოვანი ბუბუნებენ კიდით კორდები“ (გორგ.2012:54).

„გზა, ვით ფოსტალიონი მიჰყვებოდა ხეობას,

შორს, **ალპური** ველების მდუმარება ღრეობდა“ (გორგ.2012:427).

ოვან სუფიქსიანია **ხმახმოვანი**, **მაღალრტოვანი**:

„ნუთუ, ოჰ, ნუთუ **ხმახმოვანი** ჩემი დროება,

დადლილ სულს ართმევს ამ სიამეს, ამ სათნოებას?“ (გორგ.2012:234).

ოვან სუფიქსიც ზოგჯერ რითმის გამოა გამოყენებული:

„გადიმსხვრა დაფნა **მაღალრტოვანი**,

... ვისი გულისთვის, ... ვისი გულისთვის,

ეს გამეტება მადამ **ბოვარი**?“ (გორგ.2012:369).

მქონებლობის აფიქსთაგან ერთ-ერთი პროდუქტიული მაწარმოებელია ძველი ქართულის სუფიქსი **-იერ**. რომლის დანიშნულებაცაა გამოხატოს რაიმე კონკრეტული საგნის მქონებლობა ან ვისიმე ყოლა; ამა თუ იმ საგნის ან არსების რაობა, შემცველობა, ან რაიმე სულიერი მდგომარეობის, თვისების მქონებლობა; **იერ** ასევე გამოხატავს წარმომავლობას: დასაბამ-იერ-ი (ჭუმბურიძე, 1990: 55).

„ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე **ერი**?

.....რადაც... სამი მილიონი, მაგრამ ხუთი **ყოვლიერით**“ (გორგ.2006:37).

„ნეტა მემღერა ისე მაგრად, ისე **ხმიერად**,
რომ შენ ამაყად გეტირა და გუბედნიერა“ (გორგ.2006:512).

„მიდიხარ, ხმას გიბამს ხილვები **ხმიერი**,
მიდიხარ და არსად არ მიემართები...“ (გორგ.2006:541)

ხმიერი - ხმაურიანი, ხმამაღალია.

პოეტური ინდივიდუალიზმის ნიმუშია **ჯანიერიც**, რომელიც არ ჩანს განპირობებული ლექსწყობით:

„სამშობლოვ, შენი ბეჭმაღალი და **ჯანიერი**
ხელის გულებით გადაიქრობს პირიდან სიცხვილს“ (გორგ.2006:183)

საინტერესოა **ეულ** სუფიქსიანი ფორმები: **სისხლეული, ნათლეული,**

„ვინ გამარიდა, ვინ გამზიდა ამ **ნათლეული**

შემოგარენით, სადაც ბედზე მღერის წყეულიც?

სადაც წამებაც კუთვნილი და **სისხლეული?**“ (გორგ.2006:273).

„კოლხი არს თუ **სხივოსანი** მესხი,

თუ დაჩეხილ საქართველოს დაღლა“ (გორგ.2006:149).

ბ) უქონლობის საწარმოებლად ქართულში გამოიყენება **უ-პრეფიქსი, უ-ო**
და უ-ურ პრეფიქს-სუფიქსები, მაგრამ მათი, ისევე როგორც სხვა მაწარმოებლების
დართვითაც იცვლება სტილისტიკური ნიუანსები:

„მაინც სასტიკი და **უამური**,
ყოვლად უზადო და უდაბური,
ყოვლად ტყიური და უნაზესი
დასრულდა ჩემში“ (გორგ.2006:251).

„არ მეგულება სოფლად დიდება,
უსასწაულო და უზვარაკო“ (გორგ.2006:84).

„ ხმა **უბოროტო** შენაც მისწიე,
ქალია იგი და ქალურს ცდილობს“ (გორგ. 2012: 323).

„ვზივარ **უაზრო და უწყინარი**..“ (გორგ. 2012: 235).

„სად არის საწუთრო -ერთთავად **უზადო!**

ერთთავად **უხინჯო**, ერთთავად **უნაკლო**“ (გორგ. 2012: 538).

ესეც საკმარისია უნაკლოდ და უდავოდ,

„ნუთუ შენთან დარჩება -მარად და სამუდამოდ?!“ (გორგ. 2012: 123).

უკანასკნელი ფორმა ყურადღებას იქცევს ახლებური წარმოებით: კამკამასგან წარმოქმნილი უკამკამო პოეტური ინდივიდუალიზმის ნიმუშია:

„მტრისას, ზეცა უკამკამო“ (გორგ. 2012: 421).

ზოგჯერ ერთ ტაეპში, ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება პარალელური წარმოების ფორმები:

„იქნებ ეს ბანგვაა უსახოა და უსახური?“ (გორგ. 2012: 207).

მოკლედ, მქონებლობის და უქონლობის სახელებში ზ. გორგილაძე იყენებს არქაულ სუფიქსებსაც, ხშირად არჩევანი ლექსთწყობაზეა დამოკიდებული; დასტურდება პარალელური ფორმებიც და პოეტური ინდივიდუალიზმის ნიმუშებიც.

გ) წინარე ვითარების სახელები ძირითადად იწარმოება ნა-არ აფიქსით,

„ნასისხლარო და ნასიმინდარო,

ნაგზაურო და ნავენახარო“ (გორგ. 2012: 12).

იშვიათი ფორმაა ნაგზაური.

„არა მარტოდენ ნაციხარები, არა მარტოდენ ნატაძრალები“ (გორგ. 2012: 47).

„აი, იმ ნაციხარებთან,

აი, იმ ნასახლარებთან,

აი, იმ ნაგზაურებთან,

მტერი რომ არ მინდობდა“ (გორგ. 2012: 82).

გვაქვს ნა-ევ-იც: „შენი ელვა, შენი ქუხვა, შენი ნადიმილვევი“ (გორგ. 2012: 116)

დ) ზურაბ გორგილაძის პოეზიაში დანიშნულების სახელების მაწარმოებლებია სა-ო და სა-ე. ასეთი სახელები ხშირად პოეტური ინდივიდუალიზებია: სათავმდივნო, სარაინდო, სარჯულო, საჩურჩულო,

„ესენი რბიან კარიდან-კარად

და სათავმდივნო სტრიქონებს სწერენ“ (გორგ. 2012: 158).

„დახანჯლულ მხარ-მკლავებს,

დამაშრულ ტორალებს,

მის სარაინდოს და საუფლისწულოსა,
სულ სალოლიავო და
საგუგუნო ცას“ (გორგ. 2012: 555).
„ენას გვიწუნებს ციცაქალა,
საყველპუროს და საქალაქოს“ (გორგ. 2012: 113).
„ტაოსთან,
ჩვენს ძველ სამზეოსთან,
ჩვენს ძველ სარჯულოსთან“ (გორგ. 2012: 559).
„ჭინკებთან ჭინკობდნენ, მნათესთან მნათობდნენ,
სუყველა- საროზგე, საყურფე, სათოფე“ (გორგ. 2012: 181).
„გახტა ხანი, ხანმრავალი,
საჩურჩულეც, საგუგუნეც
კაცის ცოდვა- მადლით ბრუნავს
ეს მეოცე საუკუნეც“ (გორგ. 2012: 49).

დ) სადაურობის სახელების წარმოებისასაც იგრძნობა ცოცხალი მეტყველების გავლენა:

„სიტყვა დღვანელი, სიტყვა ხულელი,
სამას წელიწადს ნამარხულევი“ (გორგ.2012:13).
„მერე ხალა... ხალისთავი, ყავარი და შველი,
და ქუთათელ ბერიკაცის კრიმანჭული ძველი“ (გორგ.2012:556).
„სულ ხორასნულ ღვინოს სვამდი,
სისხლსაც სვამდი კარვის კარად“ (გორგ. 2012: 48).
„მსურს კისერზე მოვიძებნო,
ძენწმანურაი ვენახები“ (იქვე, 316).

უაღრესად საინტერესოა უკანასკნელი ფორმა **ძენწმანურაი**, რომელიც **დანდალურად** ტიპის ფორმათა ანალოგიით ჩანს შექმნილი (აჭარულში, შუაიმერულსა და მესხურ-ჯავახურში გამოიყენება -ურ სუფიქსი, რომელიც გათხოვილი ქალის წარმომავლობას გამოხატავს **დანდალურად** ქალი).

ე) ზურაბ გორგილაძის პოეზიაში უხვად გვხვდება **ობა** სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელი:

„ახლაც ალგებრის გაკვეთილი მაქვს და **უნიჭობა** მკლავს“ (გორგ. 2012: 52)

„ეგ **ლიზლობა**, ეგ **ლირწობა**,

კმარა-მეთქი, უკვე კმარა“ (გორგ. 2006: 14).

როგორც ცნობილია, „თანამედროვე ქართულში აბსტრაქტული სახელები სახელებისაგან, ზმნისართებისაგან, ნაწილაკებისა და შორისდებულებისაგან იწარმოება -ება, -ობა და სი-ე აფიქსებით. სი-ე მორფემა უძველესი აფიქსია, ის ნაზმნარი და აბსტრაქტული სახელების საზიარო მაწარმოებლადაა მიჩნეული. „სი-ე მორფემა სახელებს ისეთი სახელთა ფუძეებისგან აწარმოებს, რომლებიც საგანთა თვისებას ან ნიშანს გამოხატავენ“ (შანიძე, 1953: 133).

ზოგჯერ აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლები მონაცვლეობს:

„შენი ბალღური **ლადობა**

ღელვან დაღალულისა“ (გორგ. 2006: 337).

აქაც შევხვდებით ლექსწყობის გამო უჩვეულოდ ნაწარმოებ ფორმებს:

სიქალწულე, ბნელობა...

„უბადლო განცხრომით **მითვალწუნებს**,

დიდებით დანთქმული ბუნების **სიქალწულე**“ (გორგ. 2006: 339).

ან: „და მე გეძახი, კმარა და კმარა

ეს გარინდება და ეს **ბნელობა!**

ჩემი მანდილის ძაფო და ძალავ,

ჩემო სიმართლევ და **ქართველობავ!**“

ან კიდევ:

„რაც... **მდიდრობის** და ძარცვის ბადალია

ქალთან სიცოცხლე და ქალთან სიახლოვე“ (გორგ. 2006: 331).

ზოგჯერ კი არაწესიერად ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი ერთმება სხვა აბსტრაქტულ სახელს:

„ვის შემურდება ნეტავ შენი

ნავსი **ნაზობა?**..

ყოვლადქალური უკმარობა

თუ **კაპასობა?**“(გორგ.2006).

პოეტური ინდივიდუალიზმის ნიმუშია **ობა**- სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელის გამოყენება მაშინ, როცა არც მარცვალთრაოდენობა და არც რითმა არაა განმსაზღვრელი ფაქტორი:

„რომ გადმოვფანტო ცხელი პეშვებით

მზის **მრავლობა** და სიუხვე ფერთა“(გორგ.2006:172).

„ვის შეშურდება ნეტავ შენი ნავსი **ნაზობა**“(გორგ. 2012: 349).

„ნუთუ ყრუვდება მოგუგუნე კაცობრიობა?

...ჭრიალებს ჩემი ეჭვისა და სევდის **ლიობა**“(გორგ. 2012: 184).

„ვერაგობამ და **ლიქნობამ** ვის რა შესძინა, ძამა“(გორგ. 2012: 408).

„რალაც **მდიდრობის** და მარცვის ბადალია

ქალთან სიცოცხლე და ქალთან სიახლოვე“(გორგ. 2012: 320).

ვ) კნინობით-ალერსობითი სახელები ზურაბ გორგილაძის პოეზიაში გვხვდება როგორც ცოცხალი მეტყველების გავლენით ნაწარმოები, ისე ლიტერატურული კნინობით-ალერსობითი ფორმები:

„რად გამიგულისდი, შავრუჯა **ლომანავ**,

მე შენი რომელი ლონდრე და ლომა ვარ“(გორგ.2006:150).

„ რას შეიძენდა ჩემი სისხლი ფიცხსა და ზვიადს,

ამ **კაცუნებად** გადაქცეულ ბერბიჭებს შორის“(გორგ. 2012: 183).

„აქ, კოლხეთის ბინდბუნდებში

მტერს ჩქამიც რომ დაღავს,

ბონდოია ოდოიას იპოვის და ნახავს“(გორგ.2012:65).

„მებრალეზოდი **ძამია**,

მეცოდებოდი, **ძამა**“(გორგ.2006:431).

„ცისო!- შენ ჩემო მუზის **დაია**, -

და ყოვლადწმინდა ცის ლაპარაკო“(გორგ.2012:116).

„შენ ჭერში აგაქვს ცხელი ხანჯლები

და მბან ჭრილობებს, ჩემო **დაია**“(გორგ.2006:131).

ამრიგად, ზურაბ გორგილაძის პოეზიის სიტყვაწარმოებით თავისებურებებს აყალიბებს როგორც არქაულ, ისე დიალექტურ ფორმათა სტილისტიკური ფუნქციებით და პოეტური ინდივიდუალიზმის იშვიათი ნიმუშებიც (უკამკამო, სათავმდივნო, სარაინდო, სარჯულო, საჩურჩულე, საგუგუნე); ლექსთწყობით შეპირობებული იშვიათი დერივატები: სიქალწულე, მდიდრობა, ბნელობა, ლიქნობა, ნაზობა, მრავლობა, ღიზლობა და ა. შ.

4. 2. კომპოზიტები

ზურაბ გორგილაძის შემოქმედებითი ნიჭი და უნარი კარგად ჩანს კომპოზიტთა წარმოებაში. მდიდარი და მრავალფეროვანია კომპოზიტები, რთული სახელები, რომლებიც ორი ან მეტი ფუძისაგანაა შედგენილი.

ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები:

და მაინც, მე ყველასი ვარ მადლობელი,

სოფელი, ძმაო, ფართი-ფურთით სავსე სოფელი... (გორგ. 2012: 553).

„ამ ჭინჭიპუნჭას დახარბებულ ქალების გვერდით

რას შეიძენდა ჩემი სული ამაყს და დიადს“ (იქვე, 187).

„რომ ეს ჩიტები ჭივჭივებენ ფათქუნ-ფათქუნით“ (გორგ.2012:271).

ფუძეგაორკეცებითაა მიღებული ზედსართავი სახელები და ზმნიზედები:

„სექტემბერი რომ დადგება წამოვკრიფავ გუდანაბადს,

შევუყვები მთაკორტოხებს სოფელ-სოფელ, დაბა-დაბა,

გადავივლი კლდეკატარებს, ნისლი გორებს დაბალ-დაბალს,

წამოვრეკავ ქუხნა-ქოხებს, კარდალ-კარდალ, ტაფა-ტაფა,

და ხირხათის ბებერ ბურჯებს, გულს გუგუნით დავატაფავ“ (გორგ.2006:86).

„ბუნჯგალ-ბუნჯგალ ვარსკვლავები

სულ მთებზე გადმოცვივდაო“ (გორგ.2006:73).

მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის ნაირფუძიან კომპოზიტთაგან ბევრია დიდ ზედსართავი სახელით წარმოქმნილი:

„დიდგუმბათების განგაში,

დიდბეთლემების კვარიო“ (გორგ.2012:7).

„დედო დვრინით დამემლერა

დიდგოროზი მთები თანა“(გორგ.2012:14).

კომპოზიტთა პირველი კომპონენტი ხშირად **გულია: გულხარბი, გულდიდი, გულმარაზიანი, გულგუნდა, გულწმინდა, გულგოროზი:**

„იმ გონიერ და **გულწმინდას,**

მოჭირნახულეს რიგითს“(გორგ.1988:147).

„მაგრამ პირიქით სწადიან,

გულხარბის გულისთქმასაო...“(გორგ.2012:7).

„და მისმენდა სულხან-საბა,

ასე ამაყს, ასე **გულდიდს**“(გორგ. 2012: 5).

„შუაზე გამტყდარო და გადახლეჩილო,

გულმარაზიანო, ალიმემედ!“(გორგ.2012:426).

„ჩოლოქს გაღმა გოგო იდგა

გულგუნდა და თვალმარყვალა“(გორგ.2006:13).

„კოლხეთივით **გულფანცქალა,**

გულგოროზი კახეთივით (იქვე, 50);

„რატომ მომატყუე, **გულდეღიაგ,**

მეგრულ ფაცხაში,- ხარიხებთან“(გორგ. 2012: 544).

მცირეა ერთცნებიანი კომპოზიტი, რომელიც მიღებულია არსებითი სახელების შეერთებით: **პირცოფი, მზეპირი:**

„დაძრწის **პირცოფი** და ბაცი ღამით თუ დღისით“(გორგ.2012:54).

ხომ კარგად ვიცი, სად გაფრინდა იგი **მზეპირი...**“(გორგ.2006:323).

არსებითი სახელისა და რიცხვითი სახელის შეერთებით მიღებული კომპოზიტებია **ხანმრავალი, რტომრავალი:**

„გახტა ხანი, **ხანმრავალი,**

საჩურჩულეც, საგუგუნეც“(გორგ.2006:54).

„საქართველოს ბურჯს,-ძლიერსა და **რტომრავალს,**

მხარს ნუ მოსტებ, მხარნათელო ხალხო!“ (გორგ. 2006:20).

განსაკუთრებით მდიდარია მიმღობიანი კომპოზიტები: წარბაგხსნილი, თავმოჭრილი, ყელგამოჭრილი, შუბლდაბურული, რჯულშეჭედილი,

„მაჯებდაჯაჭვული, ჩადრმოხდილი, ცხოვრებაალეწილი:

„ჰოიდა ნანა, ოჰოი ნანა,

წარბაგხსნილი დავალ განა!“ (გორგ.2006:14)

„ჩოლოქს გაღმა ნუ გამიშვებ შერცხვენილს,

თავმოჭრილს და ყელგამოჭრილს, ხალხო!“ (გორგ.2006:19)

„კვლავაც იმ კლდეზე პირმცინარი, სისხლგამდინარი,

ერთმანეთს ბდღვნიან ვეფხვი და მოყმე“ (გორგ.2006:50).

„და მწვანიან წყლისპირებში წელწაფრენილ ცირებს,

ხელის გულზე მზე უდევთ და საყვედური მცირე“ (იქვე,10)

„შენი მოსვლით წარბაგხსნილი, ვაზით შუბლდაბურული,

ეზოს მოგცემს გურია და მჭადს გაგიტეხს გურული“ (გორგ.2006:45).

„ჩემი სამშობლო ჩემი ხალხია,

რჯულშეჭედილი ქრისტეს რვალებით“ (გორგ.2006:52)...

„ჩადრმოხდილი აჭარელი შენს ზღაპრებში გამლის

დალალს“ (გორგ.2006:9).

„მაჯებდაჯაჭვული ისპაჰანს მღეროდა,

ბუზანკალდასეული კოლხეთში მღეროდა“ (იქვე, 103).

„მე კი....

გასხეპილი, ცხოვრებაალეწილი, ვდგავარ მის წინაშე“ (გორგ.2006:297).

კომპოზიტთა დიდი ნაწილი არსებითი სახელის და ზედსართავი სახელის შეერთებითაა მიღებული: მხარნათელი, კარღია, თვალღია, თვალსეირი, ბედმწატე,

ფერუხვი, ხმახმოვანი, ფეხმსუბუქი, ძუძუმჭლე, ძუძუმღვრიე

„საქართველოს ბურჯს,-ძლიერსა და რტომრავალს,

მხარს ნუ მოსტეხ, მხარნათელო ხალხო!“ (გორგ.2006:20)

„ჩემი სამშობლო ჩემი ხალხია,

ხალხი კარღია, ხალხი თვალღია“ (გორგ.2006:47).

„მთები, ვისთვის თვალსეირი,

ვისთვის ჯავრი შიგნიდანა“ (გორგ.2006:12).

„ო, იმგვარ წუხილს ღვთაებრივს ამხელს

მისი **ფერუხვი** ფოთლების ხვაი“ (გორგ.2012:267).

„საქართველოს ბურჯს,-ძლიერსა და რტომრავალს,

მხარს ნუ მოსტეხ, **მხარნათელო** ხალხო!“ (გორგ. 2006:20)

„ნუთუ, ოჰ...ნუთუ, **ხმახმოვანი**

ჩემი დროება...“ (გორგ.2012:234).

„**ფეხმსუბუქისა** და კეკლუცის ოინი,

ბალიშქვეშ მთავრდება ბიჭო (გორგ.2006: 98).

მეტად საინტერესოა კომპოზიტი **ფეხმსუბუქი**, რომელიც ეშმაკს ნიშნავს, ის **ცინდლის** ეპითეტადაცაა გამოყენებული, **ძუძუმღვრიე** და **ძუძუმეძავი** სინონიმებია და ორივე უზნეოს, მეძავს, მრუმს უნდა ნიშნავდეს:

„მიფარფატებდა მაისის ქარში

ძუძუმეძავი მანონის წიგნი“ (გორგ.2012:347)..

„ჩემს შადიმანს და **ძუძუმღვრიე** ფატმანს შევხარი,

მე- დანგრეული კლარჯეთის პრინცი“ (გორგ.2012:38).

საინტერესოა **ძუძუმჭლე ხვეწნა**, **უშედეგო ხვეწნა**, მათხოვრობაა:

„მძაგდა **ძუძუმჭლე ხვეწნა** და მათხოვრობა“ (გორგ.2012: 539).

კიდევ უფრო საინტერესოა კომპოზიტებისგან ა **სუფიქსით** წარმოქმნილი სახელები: **ციგლიგა**, **ჭავჭავა**, **თავბურჯგალა**, **რქებბორჩხალა**, **კოჭბორჯგალა**, **ქვალვენთება**, **ბედბდღვიალა**, **ტანხერტალა**, **გულფანცქალა**, **ქვალვენთება**, **ყელღერღეტა**, **მზეპერანგა**, **ჟანგნაფლეთა** და ა. შ.

„ამ **გულკვირტებას** ვინ ასწავლა ქალის თამაში?“ (გორგ.2012:346).

„ რამდენი **ლომთავა**, რამდენი **მგელთავა**,

მეფესთან კნაოდნენ, ყიოდნენ გლეხთანა“ (გორგ.2012:180).

„**ბედბდღვიალა** საქართველოვ!

დე, იცოდე, რომ ვარ ქურდი“ (გორგ.2012:26).

„ნენევ, ჩემი სოფელი...ძალდი **კუდჯონჯალა**,

ფეხზე გადაკიდული ხორხომელა ხურჯინი“ (გორგ.2012:52).

„ო, შე სულელი, შე კუდვარდა,
 თხუპნია გოგო“ (გორგ.2006:335).

„რა დაგიმალოთ, მე აქ მიყვარდა
 ის თვალღვიარა, ის“ (გორგ.2006:328).

„ჩემო ხართვალა, ალიმემედ!“ (გორგ.2012:426).

„იდგა ბული ველური, ლოდითვალა წყაროთა,
 გულწითელაც ხარობდა...
 ბოლოქნარაც ხარობდა“ (გორგ.2012:428).

პოეტი კალმახს ჩქერჩინჩხვარას უწოდებს:

„ჩქერჩინჩხვარავ, ვენაცვალე, შენს მოქნეულ ტანს, ელვიანს,
 გმირთაგმირო, ეგ რამდენი ვარსკვლავები დაგსევია“ (გორგ.2012: 309).

„რამხელა ჯალაბის პატრონი ხარ,
 რამდენი დათვიბელა ბადიშის პატრონი“ (გორგ.2012:425).

ტანკენარი ქალის ეპითეტებია ტანხერტალა, ჭვავტოტა

„ნეტავ იმ დროს, ტანხერტალავ,
 ლეკნარით თუ ბოკელათით,
 სათიბში რომ შეგისწრებდი
 ზვინებში რომ მოგბელავდი“ (იქვე, 94);

„ჭვავტოტაი და ალვისტანაი
 ნენემ დიმინიშნა ქალი“ (იქვე, 120).

8. ორ- და მეტცნებიანი კომპოზიტები. ზურაბ გორგილაძის პოეზიაში გვხვდება ორ- და მეტცნებიანი კომპოზიტებიც, რომლებიც არსებით, ზედსართავ სახელთა და მიმღობათა გაორკეცებითაა მიღებული:

წამოვრეკავ ქუხნა-ქოხებს, კარდალ-კარდალ, ტაფა-ტაფა,
 და ხირხათის ბებერ ბურჯებს, გულს გუგუნით დავატაფავ“ (გორგ.2006:86).

„ნუთუ უბიძგებს ფერთა დიდებას?!
 ვეფხისტყაოსნის ტყავებიდან დაფენილ-დაღვრილს?!“ (გორგ.2006:50).

„არასოდეს უცხოვრია,
 ნამათხოვრალ-ნაპარავით“ (გორგ.2012:35).

ამათგან ზოგი პოეტური ფანტაზიის ნაყოფია:

„სჭირდება რქები მჩხიბავ-მჩხვერავი,

„ძუძუმ, დაჭეჭვილ-დაშეშხილმა, რა თქვას, ბატონო,

რა თქვას ბატონო?“ (გორგ. 2012:20).

„მაგის ხუმტურ-ბჟუტურებს ყურს ვინ უგდებს ნეტავი?“ (გორგ. 2012:427).

„ცოტნე! ცხრა მხარეს გადატანილ-გაზიდული,

წევს მზეზე თაფლით გაზუზულ-გაზინთული“ (გორგ. 2006:83).

ამრიგად, ზ. გორგილადის პოეზია ყურადღებას იქცევს საინტერესო ფემეგორკეცებული კომპოზიტებით: **ჭიკჭიკი, ხირხიცი, ხორხოშელა, ღურღუმელები.**

კიდევ უფრო საინტერესოა ნაირფუძიანი კომპოზიტებისგან ა სუფიქსით წარმოქმნილი სახელები: **თავბურჯგალა, რქებმორჩხალა, კოჭბორჯგალა, ქვალვენთება, ჭვავტოტა, ყელღერღეტა, მზეპერანგა, ჟანგნაფლეთა და ა. შ. კარლია, თვალღია, ფეხმსუბუქი, ძუძუმღვრიე და კიდევ ბევრი იშვიათი ფორმა პოეტის იშვიათ, ხალას ნიჭზე მიგვითითებს.**

თავი IV. ზურაბ გორგილაძის პოეზიის სტილისტიკური

თავისებურებანი

მხატვრული ხერხების კონკრეტული სტილისტიკური ფუნქციით დატვირთვა ქმნის პოეტის სტილს. ფრანგი ბუნებისმეტყველისა და მწერლის ჟ. ლ. ბუფონის სიტყვები - „სტილი თვით ადამიანია“ მიგვანიშნებს, რომ სტილში ვლინდება ავტორის მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულება გადმოსაცემი შინაარსისადმი.

ზურაბ გორგილაძის პოპულარულობა განპირობებულია მკითხველში მაქსიმალური ექსპრესიის გამოწვევით: „იდეალური სტილი გულისხმობს სათქმელის თქმულთან შეფარდებას, რაც მეცნიერული ნაშრომის ენაში მეტყველების კლასიკურ სიმარტივესა და აზრის სიცხადეს მოითხოვს; მხატვრული ნაწარმოების ენაში კი - ექსპრესიული მაქსიმუმის მიღებას“ (მიქელაძე, 2009:14).

§1. შედარების სტილისტიკური ფუნქციები

პოეტ ზურაბ გორგილაძის შემოქმედება საინტერესოა ტროპის სახეებით, მაგრამ შედარება, როგორც სტილისტიკური კატეგორია, პოეტ ზ. გორგილაძის შემოქმედებაში, ყველაზე თავისებურია და საინტერესო.

შედარება, უაღრესად ექსპრესიულ-ემოციური ძალის მიმნიჭებელია ენის დასრულებული ფაქტისათვის; მასში მქლავნდება მთქმელის სუბიექტური თვალსაზრისი, მასვე ეკისრება განსხვავებული სტილისტიკური ფუნქციები.

„შედარებისთვის დამახასიათებელია საგნის, მოვლენის ემოციური წარმოსახვა სხვა საგნის, მოვლენის რომელიმე თვისების ხაზგასმით,“- მითითებულია „ლიტერატურის თეორიის საფუძვლებში.“ მეტაფორული შედარების მთავარი ნიშანია ახალი შინაარსის პროდუცირება: „მეტაფორული შედარების შემთხვევაში გრძნობადი შინაარსის სიტყვები სულ სხვა, ახალი შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება. ჩვენ ახალ შინაარსს ვიღებთ, რომელიც არ დაიყვანება წინასწარ აღნუსხულ ნიშნებზე“ (რამიშვილი, 1963: 214).

შედარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის შემეცნების პროცესში. ა. პოტეზნიას აზრით, თვით შემეცნების პროცესი შედარებაა. როგორც შემეცნების ფორმა, შედარება განუმეორებელია“ (Палиевский, 1962: 76).

შედარებისას, როდესაც ვავლენთ მსგავსებას უცნობსა და ნაცნობს შორის, ვაკავშირებთ აბსტრაქტულსა და კონკრეტულს, ჩვენ შევიმეცნებთ გარესამყაროს და გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას მისდამი. ლიტერატურაში ავტორის მიერ შემეცნებული სამყარო მხატვრულადაა დახასიათებული, ამიტომაცაა შედარება შემოქმედის მხატვრული ინდივიდუალურობის დასადგენი ერთ-ერთი საშუალება. მიგნებული და მოულოდნელი შედარება მეტად ექსპრესიულია. „ნებისმიერი პოეტური შედარება ემყარება მეტ-ნაკლებად რთულ ფსიქოლოგიურ ასოციაციებს, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს გარემომცველი სამყაროს ნაირგვარ, ზოგჯერ არსებითად ურთიერთგანსხვავებულ საგნებსა და მოვლენებს. ესა თუ ის ასოციაცია წარმოდგენათა შორის ისეთ კავშირს გულისხმობს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მსგავსების ან კონტრასტის მიხედვით,“- წერს ელგუჯა მაკარაძე ქართული საგმირო ლექსის ხატოვანი მეტყველების ანალიზისას (მაკარაძე, 1999:61).

შედარებაში გამოიყოფა 1. შედარების სუბიექტი (შესადარებელი საგანი.); 2. შედარების ობიექტი (რასაც ვადარებთ); 3. თვისება, რომელსაც ემყარება შედარება.

შედარების ობიექტი მიეხედვით საინტერესოა შემდეგი მაგალითები:

„დავდგები ბოკელათზე,

როგორც მთვარის მაჩანჩალა“ (გორგ.2007: 86).

„ოღონდ საყელო,- დის ლეჩაქის ყურივით თეთრი“(იქვე, 185).

„ცა ლოცვასავით მაღალი და ტამარივით თბილი“(იქვე, 200).

მომდევნო მაგალითები ყურადღებას იქცევს თვისებით, რომელსაც ემყარება შედარება. იგი შესადარებელ საგანს არ ახასიათებს, პოეტური ნიჭის ნაყოფია, აქ ჩანს პოეტის შეფასებითი დამოკიდებულება საგნებისა და

მოვლენებისადმი, საუბარია დუმილის ამამაღლებელ თვისებაზე (შდრ. ლოცვასავით მაღალი):

„მშვენიერება გულწრფელია, ვით გაოცება!..“ (გორგ. 2012: 154);

„და ის პირველი - სიკვდილივით უკვდავი კოცნა“ (გორგ. 2012: 320).

„შორია,-და თქვაფი თოვლივით ყრუ არი...“

უარი!-სოფელში უმიზნო ფორიაქს“ (გორგ.2006:235).

„„გასწი, ქნართ და ფართი წიწამურივით მწარე“ (გორგ.2006: 63)

„მე ჰაერივით შიშველი დავრჩი“ (გორგ.2006:205).

„და დუმილივით მაღალს, არწევს ოცნება სვეტებს

ო, წამებაა ლექსებს საქართველოში წერდე“ (იქვე, 70);

მეტად ექსპრესიულია მოულოდნელი შედარებანი:

„შენ სისხლს ანთხევდი ბიბლიასავით,

დღეის დღისათვის მე რომ გყოლოდი“ (გორგ.2006: 110)

„როგორც წითელბატონები და მირონის წვეთი

ტანზე აყრის საქართველოს ეს უკვდავი სევდა“ (გორგ.2006: 31).

„სამარადისო კაემანით გახსნილ ჭრილობას,

რად მოაწვეთა მირონივით ბანგი ყოველი?“ (გორგ.2006:188).

„მათ სიტყვას და სიახლოვეს,

ვით დიდებას- შევიფერებ“ (გორგ.2006: 86);

„ჯერ კიდევ დამკრავს ჯეელის სურნელება,

ჯერ კიდევ კოხტა ვარ ქართულ სტრიქონივით“ (გორგ.2006:92).

მეტად საინტერესოა სიკვდილის შედარება ბუსთან ან ბრბოსთან:

„მაგრამ სიკვდილი კივის ბუსავით,

მაგრამ სიკვდილი ბრმაა ბრბოსავით,

თანაც ლამაზი, სალამბოსავით...“

და სულ კაი ყმის კარებთან დგანა!“ (გორგ.1988:98).

შედარების საშუალებით დახასიათებულია უსულო, აბსტრაქტული სახელებიც:

„სიყვარულივით იდგა მზეში შიშველი ჭორი,

და ჩემს უაზრო თვალებს

კვდომით კორტნიდა ქორი“ (გორგ.2012:291).

„ვთქვათ, ნისლივით მომეწყინა, ვისთან უნდა მოვიდე?“ (გორგ.2012: 291).

„მე თოვლი მიყვარს, როგორც ბავშვობა“ (გორგ.2006:233).

„შებმიან ერთმანეთს ხარშაკის ბულივით,

სპარსული კრიახი, ქართული ქუხილი“ (გორგ.2006: 46)

„წინ გინთია დედაენა დედის ნაქსოვ დროშასავით“ (გორგ.2006: 33);

პოეტი დანანებით საუბრობს თანადროულ ეპოქაში მთავარი ღირებულების- სიყვარულის დაკნინებაზე:

„ფოსტის მელანივით გამოშრა და

ყაზარმის საპონივით გაილია.

საცოდავი,-

ჩემი თაობის სიყვარული“ (გორგ.2006:364).

ხშირად ყურადღებას იქცევს შედარებანი, როცა უარყოფითი კონოტაციის სიტყვა დადებით კონტექსტშია გამოყენებული, ან პირიქით:

„ნისლი ზეობებს, ყანა ფერდებს, ზვარი ბექობებს,

უკვე დაღვრილი სისხლივით შვენის“ (გორგ.2006:61);

„ვდგავარ და მის თბილ ნანგრევებს

ჯალათივით დავხარი“ (გორგ.2006: 181)

ესეც ჩემი ნაყოფი და სარჩო,

ლიმილივით გახსნილი მაქვს ჭრილობა“ (გორგ.20012: 95).

პოეტისეული მანერაა, აბსტრაქტული საგნები შეადაროს კონკრეტულთ ისე, რომ თვალნათლივ ასახოს სინამდვილე:

„თავგვირგვინივით მახურავს ჭორი,

შავი ყვავილით მეძალეა ჟინი კაპასთა“ (გორგ.2006: 202)

„ხმათა და ფერთა უსაზღვროება

ჟანგივით მოჭმულ დღეებს გიქეზებს“ (გორგ.2006: 169)

„დუმილი ყვავის, როგორც ქალწული,

ცას გაავებულ ყვავილებს უწვდი“ (გორგ.2006: 156).

„და გულის მარაზს ღვინოსავით ვაზაში ვასხამ“(გორგ.2006:164);

„როგორც „და ლეგენდები, როგორც ფარნები,
გაანათებენ შებოლილ ტაძრებს“(გორგ.2006: 25);

„და უცებ ქალი მოგინდება, როგორც წყალობა“ (გორგ.2006: 276)

„სისხლი და ზიზღი ტყვიასავით ქვებს მიგლესია“(იქვე).

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში შედარების მრავალნაირ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, როცა

ა) უსულო საგანი შედარებულია სულიერთან:

„მე შენი კლერტა და იები მომელიან,

ქალივით მორცხვი და ქალივით კაპასები“(გორგ.2006:91).

„წარსულის წიაღში ბინდივით მზირველი,

ახლა დუმს...და გმინავს ბებერი ხეობა“(გორგ.2006: 87);

„გამომეღვიძა-ცა ირხეოდა,

მზე ჭიხვინებდა კოლხის კვიცივით“(გორგ.2006: 104)

„მზეც გვირგვინივით გქონდა

მხურვალე და მიბნედილი მზეც.

გადაკვდებოდა ნისლი გედივით,

დაახურავდა ფრთებს უღონოს ვნებიან ზვრებს“(გორგ.2006: 108);

„მზე ჩადის ეგრისს იქით, როგორც დაჭრილი ორბი“ (გორგ. 2012: 88).

„ქუდზე კაცივით დგება

ჩემი ქართული ლექსი“(გორგ. 2012: 156);

„და ამარიდებს უაზრო თვალებს

კახკა ქალივით მთვრალი პარიზი“(გორგ.2006:231).

„ჩემი სიყვარული,-ობოლი ბავშვივით,

„პრიუტში“ გაზრდილი, ჩემი სიყვარული“(გორგ.2006:330).

„ხსოვნის დღეები ყაჩაღივით მაგრად გავკონე,

ჭიატის შიშით, ქოხის ყველა ხვრელი დავქოლე“ (გორგ. 2012: 555).

ჟ. მაინიძე საუბრობს, რომ ზურაბ გორგილაძის „პოეტური ხედვა“ გარკვეულ ხმებს სხვადასხვა ფერში აღიქვამს. მაგ:

„ოჰ, მოჩანს ქარში, სისხლივით მოჩანს

ქნარის და ფარის განგაში მარტო“.

სმენითი შეგრძნების პარალელურად ხორციელდება ხმის მხედველობითი აღქმა ანუ პოეტი ხედავს ხმას გარკვეულ ფერში: „სისხლივით მოჩანს განგაში, ქნარი“ (შაინიძე, 2016:18).

ასეთ მოვლენებს ძირითადად სინესთეზიასთან აკავშირებენ. თანამედროვე მკვლევრები ამ ფენომენს მეშვიდე გრძნობებს უწოდებენ. აღნიშნავენ, რომ იგი უმეტესად ხელოვან ადამიანებში ვლინდება“ (შაინიძე, 2016: 130).

შედარება გვიჩვენებს პოეტის უნიკალურ ნიჭს, საგნებსა და მოვლენებს შორის დაინახოს ახალი მიმართებანი, რომლებიც მოულოდნელიცაა უარყოფითი კონოტაციის სიტყვა დადებით კონტექსტშია გამოყენებული, ან პირიქით. შედარების საშუალებით დახასიათებულია პოეტის „მე,“ქალი, ლექსები, დუმილი, სიყვარული, ლოცვა, ცა, მზე. მეტად საინტერესოა სინესთეტიკური შედარებანი, რომლებიც ზურაბ გორგილამის უსაზღვრო პოეტურ ნიჭზე მეტყველებს.

§2. ეპითეტის სტილისტიკური ფუნქციები. ეპითეტში, როგორც სტილისტიკურ კატეგორიაში, არანაკლებ კარგად ჩანს ზურაბ გორგილამის შეფასებითი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი.

მკითხველს ანდამატივით იზიდავს ზურაბ გორგილამის **მეტაფორული ეპითეტები**. „ისინი საგნობრივ-ფსიქიკურია და აღნიშნავს არარეალურ ნიშანს, მსგავსების მიხედვით გადატანილს სხვა საგანზე“ (Мещеряков, Козлов, Кубарева, Сербул, 2003: 97).

საინტერესოა ეპითეტები, მიღებული გაპიროვნების გზით. მაგ. **ქალწული, კაბა, ჭკვიანი ეჭვი, მთვრალი და ჩერჩეტი აპრილი, წრფელი წარსული, თუ სინანული შეურაცხადი...**

„კლდეზე გაწვება და გააზმორებს,

ობოლი ნისლი, იისბწყლიანი“ (გორგ.2006:29).

„მერე ხალა... ხალისთავი... ყავარი და შველი

მერე ბროლის ღელეები,
 მერე შლეგი დეხვა.
 დეხვას პირას მომღერალი სიმინდების ტეხვა...“(გორგ. 2012: 555).
 „თანდათან ასე მიშუშდება
ცელქი ჭრილობა,
 არ დაგიმაღავთ, სდევს ეშმაკთა ჯელგა ჯიქური,
 გატაცებული მამაკაცობის გულუბრყვილობას“ (გორგ. 2012: 386).
 „რომელ ხევს რა ხაფრავს-პირწმინდად დახსნის
 და ბილიკებს მიუღერებს რეგვენს და თახსირს“(იქვე, 126).
 „თბილი მრისხანება, გულყარტლი სასო,
 ყალბი შექება და ყალბი შეძახილი“ (გორგ.2006:539);
 „მარადის ღვიძავს მივიწყებულ სიმღერებს ყრმობის,
ფეხშიშველ დღეებს, ნეტარების უამეს წამებს“ (გორგ. 2012: 555).
 „აქ ჩადრები მძუანი, იქ შორტები მეძავი“ (გორგ. 2012: 556);
 „ტახტი-მეძავი, მრევლი-ქურდი, ღმერთი-ბოროტი“(გორგ.2006:220).
 „ქალწულ კაბაში ორსულ დედოფალს
 რა ვქნა, ფემბულავ, ვერ ვუთამადებ“(იქვე);
 „და გულწრფელი ნისლის იდუმალი ფერით
 გადმოცვივა მთებზე ვარსკვლავები შორი“(გორგ.2012:84).
 „როს ნისლი, ქალწული ნისლი,
 ხევს დაბლა დაჰყვება ნებით,
 ამაზე ივსება ბრაზით,
 ამაზე ჯავრობენ მთები“(გორგ.2012;93).
 „ახლა სულერთია, რა დღე, რა რიცხვია,
 ოღონდ სიჩუმეა, მუნჯი დარებია“ (გორგ.2012:248).
 „ვინც ბილწი ზეწრით ფარფაშებდა და გზებს ბანდავდა” (გორგ.2012: 554).
 „ჟამმა მიზვარაკა ეს ფეხმძიმე ომები“(გორგ.2006:163).
 „ოჰ, ნუთუ გამწირავ, ქალწულო თეთნულდო,
 გამოდი ჩემთან და სულ გამიერთგულდი“(გორგ.2012:551).

„მრისხანე სამრეკლოვ, გულწყნარო ტაძარო,
შენი დაფასება ვინმემ რომ მასწავლოს“ (გორგ.2006:56).

სიტყვა ყაჩალი, სიტყვა ფირალი,
სამას წელიწადს ნაბორკილარი,
სიტყვა მჟრჟოლავი, სიტყვა მსუსხავი,
სამას წელიწადს **ღვინოუსვამი**“ (გორგ. 2012: 5).

„რაც დრო გასულა, მაინც იმ დღეთა
მნათლავს წმინდანი ცა“ (გორგ.2006:57).

„სამყარო ფინთი, მაგრამ სათუთი,
ვხედავ, გონების გესლით გალეშეს“ (გორგ.2006:309).

ცოცხალის თუ გარდაცვლილის **წყნარი სამოთხეები** (გორგ. 2012: 366).

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ გაპიროვნება-ეპითეტებითაა შემკული

აბსტრაქტული სახელებიც:

„სინაზე და გულწასული მინაზება,
სიყვარული სიგიჟემდე ვერაგი...“ (გორგ.2012:170).

„შენი სიჩუმე და მოწიწება
და უნჯი კეთილშობილება“ (გორგ.2012:147).

„უსათნოესი სიმსუბუქე ამოდის ციდან,
და ჩემს სიხარულს
შელამების ქარები წინდავს“ (გორგ.2006:269).

„რა უმანკოა ეს სიჩუმე“ (გორგ.2012:195).

„ამოუხსნელი მიმაქვს წვალეზა
და სინანული შეურაცხადი...“ (გორგ.2006:261)...

„განვერიდე სიყრმის სწორებს,
ხელცარიელ სათნოებას ვუგანე“ (გორგ. 2012: 411).

„ფრესკების ღიმილში შეშლილი ზიარება,
ძვირფასო, შენ ძეგლი დაიდგი ღალატით
და ჩემი სიყვარული გარშემო იარება“ (გორგ.2006:502).

„აწყობთ ჩემი მორჩილი, კეთილი სისულელე,

აწყობთ ჩემთან დარჩენა, ოღონდ არა ბოლომდე“(გორგ.2006:387).

„აქ უნაზესი სისულელე თრთის გაოგნებით“ (გორგ. 2012: 368).

„ზურაბ გორგილაძის გრძნობებითა და ემოციებით სავსე პოეზიას ადამიანის სიყვარული ასულდგმულებს. ამიტომაც წერს კიდევ ერთგან: „გულგრილი კაეშანი, გონიერი სიზარმაცე, ცარიელი ცნობის წადილი შემოეპარა ადამიანის სულს. ამიტომ მინდა მოგეფერო, მოგეალერსო, ჩემო ერთადერთო და სანუკვარო, ამ სამყაროში ჩემი ჭირისა და ლხინის უკვდავება-ადამიანო“ (შამილიშვილი, 2017: 4).

ზოგი ეპითეტით პოეტი ცხოვრებისეულ გამოცდილებას გადმოგვცემს: მარცხი აჭკვიანებს ადამიანს, სიკეთე ხშირად სისულელედ აღიქმება (კეთილი სისულელე), ისევე როგორც მორჩილება (მორჩილი სისულელე), სათნოება კი ხელცარიელს ტოვებს ადამიანს (ხელცარიელი სათნოება).

საინტერესოა ფერთა სემანტიკის გამომხატველი ეპითეტებიც. პოეტი წერს: „შლეგი ფერების ფარული შფოთი იდუმალებას დასტყუებს ფერებს.“ პოეტურად დანახულ სურათში მუსიკალური აკორდის შეტანა ამძლავრებს ფერთა ხილვადობას. ზ. გორგილაძესთან იშვიათია ეპითეტი, კონკრეტული საგნის ფერზე რომ მიუთითებს, მაგ. „მინდვრისფერი ჩიტები“ ან „მზისფერი უდაბნო“. პოეტის სიზმრები იისფერია, კვამლიც ისეთივეა, ღმერთი ცასთან იისფრად კაბადონობს“...„ღვინისფერი სიყვარული“ უთუოდ მიგვითითებს გრძნობის მგზნებარებაზე და არა ფერზე.

„ თანაბარი ვარ ამ სიცხადით ყველაფრის, ყოვლის,

სისხლისფერ სიცხის, ვარდისფერ თოვლის, მე!

დედამიწის უმანკო და ცოდვილი შვილი“(გორგ.2006:211).

„თეთრ აკლდამებზე იისფერი თქაფუნებს წვიმა,

წრიალებს წყნარი ზენაარის ნეტარი ჩრდილი“(გორგ.2006:206).

პოეზიაში სინესთეზიის ერთ-ერთ სახეს (საგნების არაბუნებრივი ფერით აღქმა) პირობითად „პოეტური დალტონიზმის“ სახელწოდებითაც მოიხსენიებენ, რაც უფრო შეეფერება სინამდვილეს, რადგან ყოველივე ამის მიღმა ემოციური ლოგიკა და მეცნიერულ-სიმბოლური აზროვნება დგას და იგი ტექსტის

მხატვრულ-ესთეტიკურ სრულყოფას ემსახურება „ისფერი თოვლი“ (შაინიძე,2016:18).

„ამ გაზაფხულზე შევიყვარებ ცდუნებას ქერას“(გორგ.2006:234).

„გახსოვს ის სადამო?-თვალკალმახა

ღვინო მიიყუდე კოკითა“(გორგ.2007:111).

საკმაოდ მრავალფეროვანია უსულო საგნების, მთების, მდინარეების გამომხატველი გაპიროვნება- ეპითეტებიც:

„კავკასიონის ქათქათა შუბლი,

იქით ენგური მუხლდაღლეტილი,

აქეთ ტეხური კაბაკეკლუცი,

შუაში სინწა, პაწია სინწა,

რატომ მეზმანა“(გორგ.2006:35).

„უბრალოდ არ მსურს, ეშმაკი ზრუნვა,

ვალად დაედოს ჩემს წარმავლობას“(გორგ.2007:29).

შეგრძნებათა აღქმის სინთეზით მიღებულ ეპითეტებს სინესთეტიკურს უწოდებენ. ზოგჯერ საგანს ისეთი თვისებებიც მიეწერება, რომლებიც მას სინამდვილეში არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

„ვიყავი ტყვეების კენესა შიშველი,

შენ მე მომხედე, შენ მე მიშველე“(გორგ.2006:17).

„გაჩუმდი!

სევდა, ეგ კონკიძველა,

უცხო ნისლივით გაჰკიდე ქარში“(გორგ. 2012: 541).

„...მყავე ეჭვებს რად ღეჭავდა მოკეთე?“ (გორგ.2012: 124).

„ვის ვუერთგულო- მორჩილ ვნებებს თუ ცრუ დიდებას?

თუ ყრუ სიხარულს?

თუ ბრმა სიცილს?“ (გორგ.2012: 166).

ეპითეტი სტილისტიკური ხერხია, ერთგვარი სამკაულია აზრისა, მის გამოყენებაში ზომიერების დაცვა აუცილებელია.

„ზ. გორგილაძის მხატვრულ შეგრძნებებში ხმას, ემოციას, განცდას ფერი გააჩნია, ფერებს ფორმა, მუსიკალური ჟღერადობა, სულს - ღვთაებრივი ნათება. პოეტი წახს, რომ ამ სიდიადეს, ამ მშვენიერებას ადამიანები ან უყურადღებობის გამო ვერ აღიქვამენ, ან გულგრილობის და გაუფრთხილებლობის გამო კარგავენ“ (შაინიძე, 2016:45).

§ 3. მეტაფორის სტილისტიკური ფუნქციები

პოეტური ნიჭის ყველაზე უტყუარი საზომი მეტაფორაა. **ენისა და სტილის ანტიკურ თეორიებში** ვკითხულობთ: „მეტაფორა ტროპის ყველაზე რთული სახეობაა და ამასთან, ყველაზე ესთეტიკურიც: მას უმაღლესი ხარისხით ახასიათებს სიცხადე, სასიამოვნო სიახლის მშვენიერება და მისი გადმოღება სხვისაგან არ შეიძლება“ (არისტოტელე, 1936: 221).

„მეტაფორა ტროპის სახეა, ერთი საგნის თვისებების მეორეზე გადატანაზე ან მათ მსგავსებაზე დაფუძნებული“ (Мещеряков, Козлов, Кубарева, Сернун, 2003: 89). „მათემატიკურ განტოლებაში რამდენიმე უცნობია, როგორც წესი, მაგრამ ერთი ცნობილია, ამ ერთის საშუალებით ხერხდება დანარჩენების ამოცნობა. მეტაფორულ წინადადებაში თითქმის ყველა სიტყვის შინაარსი ამოსაცნობია, ამოსახსნელია“ (ჭილაია, 1984: 257).

პოეტი ღამეს ოცნების ზღვაში ითევდა: „ოცნების ქოხებს კი მთავარის ყავარს ახურავდა“. ეს ოცნებაა, სურვილი კი მეტაფორულად ასეა გადმოცემული: „მე გულზე მიდევს ფოთოლივით პატარა ეშვი, პეშვში წრიალებს სურვილების მხურვალე კენჭი“.

იშვიათი მეტაფორებითაა გადმოცემული **გაზაფხულის აფეთქება და ზაფხულის დადგომა:**

„ვხედავ, გაზაფხულს შემოასკდა ყელზე საყელო

ახლა მთაში გაზაფხული ფაფხურობს,

ხუნდებს ლეწავს და ძველ ძონძებს ალბობს“ (გორგ. 2006:19).

მწუხარება, ტკივილი, ტანჯვა

„გაჩეხილ სულში ლოდობირის ყინული წვეთავს“ (გორგ.2012:41).

„სულში ფშატია და სისხლში ლოდებია,
შუბლზე მყვირალობის ნისლია“ (გორგ.2012:123).

„რა წამებით და დიდებით გაჯერდი
შენს ტაბლაზე რა ლემტერი მოწვიმდა“ (გორგ.2012:124).

ან კიდევ: „გამგებელმა შენს ტაბლაზე ეგ რა გვემა შემოდგა“ (იქვე).

„შენს საფეთქლებთან და შენს მაჯებთან
უდაბნოს სიცხე დაალაჯებდა“ (გორგ.2012:12).

„ამურის შმაგი სუნთქვა მეხება,
მშვენიერების შმაგი მიზეზი“ (გორგ.2006:300).

„ჩემი სამშობლო ჩემი ხალხია,
სულში გაშლილი დეკა და ღვია“ (გორგ.2012:47).

„მე იმ ხარების სევდა
და სიყვარული მცოხნის“ (გორგ.2012:97).

სიყვარული, სიხარული:

„დედაშობილა ბავშვებს, თვალში უყვავით ყანა“ (გორგ.2012:135).

„ჩამივარდა კლარჯულ სისხლში ვარდის ფურცელი,
და დულს ფურცელიც“ (გორგ.2006:17).

მარტოობა

„ჩემი წალკოტი მარტოობის სურომ შელობა,
და შიგ შორეულ ოცნებების ჩიტი გაბმულა“ (გორგ.2006:216).

ქეიფი:

„ოჰ, პოეზია, ხელში ვაზის მიჭირავს ვაზა
და გულში მარაზმს ღვინოსავით ვაზაში ვასხამ“ (გორგ.2012:164).

„წუთისოფლის დიდებას
ვახრამუნებ ბიჭებთან“ (გორგ.2006:313).

იმედი

„მეყოფა ზეცაო... უთუოდ მეყოფა
ჩამოდევ თაროზე იმედის კენჭი“ (გორგ.2012:180).

„მზე კი, მზე მაინც ჩემი სულის ხევებში ჩავა“ (გორგ.2012:221).

გათენება

„რატომ დიდდება ჩემი სუნთქვა ყოველ ცისმარე,
ან განთიადიც რატომ ღუის ძუძუს კერტივით?“(გორგ.2006:218)

„გაიზარა აღსავალის კარი,
გადმოღვარა მზემ ფერადი დიბა,
მერე პირი დაიბანა ცვართ
და ჭილოფი დაახურა მთიბავს“(გორგ.2012:311).

„ზეცას კისკისით შეგიზგიზა,
და თავის ფერფლზე დაჯდა კოცონი“(გორგ.2012:263).

„მძინარ შორეულში რაღაც მწარედ ღივის
და მთებს ირმებივით ძოვს განთიადები“(გორგ.2006:67).

„მთვარე წავა, მთვარე მოვა
ცას ახლჩდება ყავარი“(გორგ.2012:58)..

„აქ კი,- ჩემს ბებერ სენაკში, სად ვაფარდაგებ ალიონს“(გორგ.2012:88).

„გათენდა...
და დღე აიწია ჟირაფის ყელით,
გადადის ჩრდილი და გადმოდის ჟამის ქვაფენილი“ (გორგ. 2012: 404).

დაღამება:

„ჩემს თავანზეც გატყდება მთვარის თეთრი კრამიტი“ (გორგ. 2012: 358).

„ეფერება მთვარის ლერწი გრილი რკინის გისოსს“ (გორგ. 2012: 440).

„ვხედავ, უბეში ბაღმა მზე მტევანივით ჩადო,
ვის, ვის მომავალს ნაღმავს შენი დუმილის ჯადო?“(გორგ.2006:117)

„მთათა ლილისფერი თმების უღრანები,
ხევში ჩამოაფენს ბურანს უნეტარესს“(გორგ.2006:67).

„ფურის რძესავით თბილი, მთებში გუბდება მთვარე,
გულში სანამდე ივლის, გამოქცეული თვალეზს?“(გორგ.2006:117)

„მაშ, ასე რისთვის აშრიალდა ბებერი ღამე?
და მოაფინა შემოგარენს შავი სიავე?“(გორგ.2012:257).

„ბინდი ხრავდა სულის ნაგრამს,

ქარი წითელს ხრავდა დაისს” (გორგ. 2012:134).

სიხარული

„ნეტავ იმ დროს! შენს წამწამებს

რომ სცვიოდა ია მთების“ (გორგ.2012:397).

შებრალება

„წარბების ქუხილს ნუ დააყრი ვედრებას ჩემსას,

ამივსე ერთხელ ეგ ბარძიმი, ბოლომდე შევსვა“ (გორგ.2012:433).

ვნება

„მზე ჩემთან ერთად გორავს ჩემი ვნების სილაში“ (გორგ.2012:204).

„ვერ გაგშლართე ჟინის ჟვავში, ვერ გაგშანთე, ვერ“ (გორგ.2006:395).

უზნეობა

„გოგო სიყვარულს ჰყიდის

სხვის ხნულში ყრის ბიჭი თავთავს“ (გორგ.2012:204).

„მოჰპარო საკუთარ თავს მშვენება სრული

და ანებივრო ფეხმსუბუქი ქალების გროვა“ (გორგ.2006:211)...

შურისძიება

„ქვის გული და რკინის ქუსლი,

სისხლიანი სულით გეშე“ (გორგ.2006:53).

ღირებულებანი

„კაცობრიობამ ქართული აზრი

თავის უმაღლეს თაროზე დადო“ (გორგ.2006:64).

ანგარება

„პოეტი თუ არ ომობს,-ვინ თქვა დიდება მისი,

მაგრამ ქვამარილს ლომნის, ფაფარდამცხრალი ლომი“ (გორგ.2012:201).

სიღარიბე

„არც ჯიუტი ახირებით, საგანგებო წესებით,

მუხლის თავზე დაიწერა ყველა ჩემი ლექსები“ (გორგ.2006:526).

„მე კი...

სახლში,

ჩემი მუხლი,

მიდგას, როგორც მაგიდა“(გორგ. 2012: 299).

მოკლედ, მოყვანილი მაგალითები თვალნათლივ გვიჩვენებს პოეტის იშვიათ დიაპაზონს, მეტაფორულად დაგვიხატოს სხვადასხვა სემანტიკა, გადმოგვცეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ცნებები: **სიყვარული, სიხარული, იმედი, გათენება, დაღამება, სიღარიბე, შურისძიება, ანგარება, ამორალიზმი, წუხილი...** ყველაზე მეტი მეტაფორით გადმოცემულია **გათენება და დაღამება.**

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში უხვადაა **კომპლექსური მხატვრული სახეები.** მეტაფორას აქვს ბევრი სახეობა, რომლებიც გადადის სხვა ტროპებში: მეტაფორული ეპითეტი, მეტაფორა-პერიფრაზი, მეტაფორა-გაპიროვნება, მეტაფორა-სიმბოლო, მეტაფორა-ალეგორია.

შედარება ხშირადაა გადაჯაჭვული მეტაფორასთან, მისი შემადგენელი ნაწილია:

„ვხედავ, უბეში ბაღმა **მზე მტევანივით ჩადო“**(გორგ.2006: 117)

„ხელის გულებით გადაიქრობს პირიდან **სირცხვილს,**
და წაუკიდებს ხანძარივით **სიცარიელეს“**(გორგ.2006: 83).

„ცა არის **მწუხრით მიბნედილი, ვით დიადემა“**(გორგ.2006: 205)

„ან განთიადიც რატომ **ლუის ძუძუს კერტივით“**(გორგ.2006: 218).

უხვადაა გაპიროვნება- შედარება:

„**უღაბნოს ბებერი მისთრევენ ბინდები,**

ხორშაკნი ყვითელი ლომებივით ღრენენ“ (გორგ. 2012: 438).

„სამშობლო!...

და შენ გაგაოცებს

უკვდავი სევდა,

ლამაზი, როგორც ობლების ან

პოეტის დედა” (გორგ. 2012: 81).

„შენ კი **ნიღბების ღრიანცელში ფრინავ, ოცნებავ“**(გორგ.2006:354).

„**პეტრას ციხე!...**

თავწაკრული იისფერი ნისლით,

მის ბზარებში ავთანდილის მოძახილი ისმის,
მერე დაგვა... ხავერდები... და ჩხავერი ფიცხი,
სვამ და სულში ბერძენ ქალის თვალეზივით იწვის...“(გორგ. 2012: 555).

„ქაფატსა და მარტვილს,

თავს წაპყრია გაზაფხულის ჭიჭვიანი ჭვარტლი“ (გორგ. 2012: 28).

მეტაფორა-გაპიროვნება

„ხევ-ხევ ცრიატებს ნისლი, ტყეებს ბურანი ბარდნის,

აქ კი საკინძეს იხსნის ყოვლადქალწული მარტი“ (გორგ.2006:333).

„მოჰფენია სულზე მზე ფენიქსის კლანჭით

და უგონოდ დასჯილს თავმდებობენ მთები“ (გორგ.2012:84).

„ცა იწყებს ცისფერ რონინს,

უხსოვარი ხნის და დროის“ (გორგ.2012:170).

მეტაფორა- ეპითეტი- გაპიროვნება

„ცას ნეტავ რაღა ანერვიულებს,

თავისუფალს და მაღალს“ (გორგ.2006:90).

„ჩემი წარსული-დაღლილი და ამპარტავანი,

გადაათრიეს ხრამში ძაღლებმა“ (გორგ.2006:115).

„ცა კი მწიფეა, როგორც მკათათვე

და ნამგალივით წკრიალებს მთვარე“ (გორგ.2012:257).

კომპლექსურ მხატვრულ სახეთა ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს ზ. გორგილამის პოეტური ნიჭის უკიდევანობას.

§4. გაპიროვნების სტილისტიკური ფუნქციები

ზ. გორგილამის პოეტური სულის სინაზე ყველაზე კარგად ჩანს გაპიროვნების ხერხის გამოყენებისას. „პოეტური გაპიროვნება იქმნება ბუნების მოვლენათა მოძრაობის, ფორმის, ხმისა და სხვათა მკვეთრი მსგავსების გამოვლინების საფუძველზე, რაც იწვევს სიცოცხლის ილუზიას“ (ზანდუკელი, 1958:71).

პოეტი წერს:

„გავყურებ ტყეებს, მთებს გავყურებ,
გავყურებ სივრცეს აქ არის რაღაც,
არის რაღაც...“

დედაბუნებამ ვაჟა-ფშაველასა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ტრადიციებზე გაზრდილ პოეტს დაანათლა უნარი უსაკო და უსულო საგანთა გულისწადილის წვდომისა. მას შეუძლია მოუსმინოს „ქარაოც ქარსაც“ და მიაყურადოს „გატრუნულ მინდვრებსაც“.

პოეტთან გასულიერებულია ყველაფერი:

„შარას ილლიდან გასხლტომია ბილიკები,

ყანებში შეპარულან, რასმე ქილიკობენ,

ვიღაცას უქნევენ კოჟრიან ხელებს“ (გორგ.2012:89).

„ალვა და დაფნა კაცებივით იდგნენ, ნაღვლობდნენ,

იდგნენ და გრძნობდნენ იმ მარადისს“ (გორგ. 2012: 328).

„გამომელვიძა და ირხეოდა,

მზე ჭიხვინებდა კოლხის კვიცივით“ (გორგ.2012:127).

„ცას ნეტავ რაღა ანერვიულებს?

გული მეტკინა რაღაც“ (გორგ.2006:90)...

„ხე ხეს არ ეხახუნება,

გვერდიგვერდ უბრად მდგარიო“ (გორგ.2006:101).

„თოხი ტარზე დაყუდებულს, ცამ სიცილი დამაყარა“ (გორგ.2006:13).

„ბარბაცებს სასახლე, ხორხოცებს ჩარდახი,

ქეიფობს თავადი, ლხინი აქვს მხარდადლილს“ (გორგ.2006:46).

„და დედამიწა ჩურჩულს იწყებს თოთო კვირტივით“ (გორგ.2006:227).

„სამრეკლოების აწვდილ ხელების

მე გაუგონარ ყიჟინას ვისმენ“ (გორგ.2006:26).

„ქარში გამქნძილ ზარის ბაწართ,

დგას და საყვარელ მომკითხავს ელის

სხალთის ტაძარი, სხალთის ტაძარი“ (გორგ.2006:14).

ამრიგად, გაპიროვნება ზ. გორგილაძის საყვარელი პოეტური ხერხია. გაპიროვნებულია ხე, ცა, მზე, დედამიწა, სამრეკლო თუ სასახლე. ეს ხერხი ხშირად ემსახურება ჰუმანიზმის იდეას, ხშირად კი ადამიანთა ურთიერთობებზე მიუთითებს პოეტი, ან სურს ისტორიულ ავბედობაზე ყურადღების გამახვილება ეროვნული ცნობიერების გასაღვიძებლად.

§ 5. ჰიპერბოლის და ლიტოტესის სტილისტიკური ფუნქციები

როგორც ვნახეთ, ზურაბ გორგილაძის პოეზია გამოირჩევა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სიმრავლით. მათგან მეტად საინტერესოა ჰიპერბოლა და ლიტოტესი. პოეტი საგნებს ან მოვლენებს არაბუნებრივი მასშტაბებით წარმოგვიდგენს, მაგრამ მკითხველს კი არ აშორებს სინამდვილეს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს, რომ მკვეთრად, ზუსტად განიცადოს და შეიმეცნოს იგი.

„ქრისტესავით ნაგვემი და ნაწამები ქართველკაცი“ (გორგ. 2006:7).

„სამ თვეს მაჭახლისწყალი ზღვისკენ წითლად დიოდა,

სამასი წლის ყორანმა, ჩემს თავზე იტრიალა,

ქრისტეს ძვლებით მოხაფრა ხეობები მთლიანად,

ცხრა მარაბდას მორწყავდა მე რომ სისხლი მდენია“ (გორგ. 2006:42).

„იქ სანთლები ჩემისისხო

ჯერეთ კიდევ არ ჩამქრალან“ (გორგ.2006:14).

„სამ თვეს წითლად რად დიოდა მაჭახელას წყალი“ (გორგ.2006:76).

„თავზე ზევსივით მადგა ილია,

თანამდევი და უკვდავი აზრი“ (გორგ. 2012: 106).

„რად გიკვირს ჩემი წარბების ზვავი?

და გიკვირს? მე რომ არ ვიკარგები“ (გორგ. 2012: 87).

„გულბალანი მერუჯება,

ვერ ჩამაქრობს დღვანის წყალიც“ (გორგ. 2012: 352).

„ჭოროხივით იხუვლე და იგუგუნე“.

„ამფუნგე და ამშალე, ვით მონლოლმა კარავი“ (გორგ.2006: 145);

„ცაში ყვაოდა, ვით შადრევანი,

გალიმებული ფრესკის მირონი“ (გორგ.2006: 104).

ზნეობა რომ ფასდაუდებელი საგანძურია, სწორედ ამაზე წერს პოეტი:

„სამ ქალად შენი ზნეობა,

ჯაჭვი ნამუსის დილზედა“ (გორგ. 2012: 383).

ლიტოტესის საშუალებით პოეტი ახერხებს საგნის დამცირებულად, დაკნინებულად წარმოდგენას:

„ველთა ზღაპარში მოცეკვავე სხივების შიგნით

და ვენახივით აყვავებულ ქალწულებს შორის

ჩიტევით მოკლეს გარსია ლორკა“ (გორგ.2006:210)...

„ღმერთო! ისე ნუ დამახურდავებ,

მიწაზე მლოდავ მღილებს ვედავო“ (გორგ.2006:265).

„დედამიწა, სივრცეში ცეროდენა კუნჭული,

დედამიწა, სივრცეში შეფენილი სოფელი,

ისევ დაუხურავი, ისევ უსმელ-უჭმელი“ (გორგ.2006:163).

ჰიპერბოლა და ლიტოტესი ზოგჯერ ერთმანეთის გვერდიგვერდაც გვხვდება, ამით მას სურს იმ პოეტების გაქილიკება სურს, რომლებიც დიდსა ვერ მოკლვენ ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთა“:

„სიცილით ვკვდები, ვხარხარებ და მელევა ქანცი,

როცა ეკრანზე ზვინისხელა გამოდის კაცი

და ცურცლისხელას კითხულობს ლექსებს“ (გორგ.2012:227).

„წავალ ჰამა...

რომ წავიდე,

იმფერი რა დავიბარო,

ტაძარივით გოგო და,-

ორი წვეთი ძუძუ“ (გორგ. 2012:316).

ავტორი საგნის ან მოვლენის ხილვით თუ განცდით ზომაზე მეტად აღტაცებული ან აღშფოთებულია, ის ჰიპერბოლის საშუალებით ახერხებს

მკითხველშიც გადაიტანოს თავისი განწყობილება და მასშიაც იგივე განცდა გამოიწვიოს.

წ6. პერიფრაზის სტილისტიკური ფუნქცია

ზურაბ გორგილაძის შემოქმედებაში საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს **პერიფრაზს**, „ტროპის ერთ-ერთი სახეს, რომელიც საგნის ან მოქმედების დასახელების შეცვლა მისი არსებითი, განმსაზღვრელი ნიშან-თვისების აღწერა, და ქმნის ჩვენს წარმოდგენაში მკვეთრ ცხოვრებისეულ სურათს“ (Тимофеев, Венгеров, 1963: 113).

პერიფრაზის მეშვეობით გვეძლევა მხატვრული აღწერილობა და იქმნება საგნის ან მოვლენის ხატოვანი დახასიათება“ (Ефимов, 1961: 273). პერიფრაზი სხვაგვარად თქმის საშუალებაა (Гальперин, 1958: 158), ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რას გამოხატავს პოეტი პერიფრაზებით

პერიფრაზთა უმრავლესობა ისტორიული ხასიათისაა. სვანეთი „ლეგენდების ჯანყია ცადატანილი: „ეგრისი-„სევდა ძველი და ფერადი.“ მშობლიური აჭარა კი- „ქართული ჭეშმარიტება,“ ან „ტაო-კლარჯეთის ბოკვერი“.

მაგალითად, სხალთის ტაძარი პოეტისათვის არის „ცას შეტყორცნილი ოცნების ყელი, გუმბათი ლურჯი ლერწამის ღერი („სხალთის ტაძარი“). პოეტი სახელოვან მამულიშვილს -გულო კაიკაციშვილს კი „აჭარის ყაზალახს“ უწოდებს.

სხალთის ტაძარს **ქრისტეს** ადარებს პოეტი:

„და შორით მოჩანს ტაძარი სხალთის
მთებზე გაკრული ქრისტე“(გორგ.2006:60).

ის ამავედროულად არის **მთების რწმენაც**:

„დგას მთების რწმენა და რჯული მთების,
სხალთის ტაძარი, სხალთის ტაძარი“(გორგ.2006:15).

პეტრიწონი ტაძართა ბელადია:

„პეტრიწონს, -
ყველა ტაძრების ბელადს“ (გორგ. 2012: 48).

მეტად ექსპრესიულია მშობლიური ქალაქის- ქობულეთის პერიფრაზი:

„**ქობულეთი!**...

„**ფოთლის პეშვში მოგროვილი ოქრო,**

მხარე საიადონო თუ, მხარე საჯადოქრო“ (გორგ. 2012: 555).

თითოეულ პერიფრაზში ჩანს ისტორიული წარსული. საინტერესოა ასევე ხინოს პერიფრაზიც:

„**ხინოს- მთებში გაქცეულ მთას, მოწამე მთას, მალობელ მთას,**

არ დაჰკვლია თვალი მტერთა და არც ხელი მწყალობელთა!” (გორგ.2012:513).

მესხეთის ისტორია აისახება შემდეგ პერიფრაზში:

„**საერთო ეზოდ ქცეულა თითქოს**

მესხეთი- უფლის დაჭრილი მკერდი“ (გორგ. 2012: 158).

მეტად მნიშვნელოვანია წარსულის პერიფრაზი:

„**ნეტავ სად, რა დროს შემოელევა**

წარსული, ჩვენი ყოფნის საგზალი“ (გორგ.2006:66).

მეტად შთამბეჭდავია მემედ აბაშიძის პერიფრაზი:

„**ქობების ყორყში ამოსული ქართული სულის,**

დიდო პატრონო,

ვაზის ძირებში მიმალული ქართული სიტყვის,

დიდო პატრონო!

ლოდების ძირში შემოდებულ ქართული ძვლების,

ძველო პატრონო,

დიდება შენი, დიდება და ცხონება შენი,

მემედ ბატონო!“ (გორგ.2006:23).

პოეტისათვის ქალი მაღალთაღოვანი სამლოცველოა, „ბედი-ლამაზი ქალი ან „შორეული მონატრება,“ მთელი ცხოვრებისეული ფილოსოფია გადმოცემულია შემდეგ პერიფრაზში:

„**და თუ ცხოვრება ბრმის ყნოსვაა, მუნჯის ჟინია,**

მეც მივაბიჯებ და არაფრის არ მეშინია“.

ბრძას გამახვილებული ყნოსვა აქვს, მუნჯის ჟინიც მტკიცეა და მძაფრი. ცხოვრებაც ასევე ბოზოქარია, მღელვარე და მძვინვარეა, ეს კი ავალდებულებს ადამიანს, იყოს რისკიანი.

საინტერესოა ეს მაგალითიც:

„სიტყვავ, შე რჯულის სულო ბებერო,
ნეტავ სანამდე უნდა გეფერო“ (გორგ.2006:15).

იმედს **ბეთლემს** ადარებს პოეტი და წერს:

„იმედი- ჩემი სულის ბეთლემი,

გაჯერებული საწუთროს სევდით“ (გორგ.2006:156).

ვაზის მტევნის პერიფრაზია **ბახუსის საყურე:**

„**ბახუსის საყურე**, - დამძიმდა მტევანი,

ქერქში და ჯვარში სამყაროს ხანია“ (გორგ. 2012: 438).

განუმორებელია **ალბომის** პერიფრაზი:

„ალბომს გავაღებ, იისფერ ალბომს“

სულებით სავსე იდუმალ საყდარს (გორგ.2006:450).

ზოგი პერიფრაზის მთავარი კომპონენტი და ან დობილია:

„და ნავთის ლამპას-ბავშვობის დობილს,

ისევ იმ ბავშვის კანკალით ვანთებ“ (გორგ.2006:307).

„და მე დავდგები, ვით განწმენდა და ერთგულება,

პოეზიასთან- ყველა დროის შეურყენელ დასთან“ (გორგ.200:319).

აქვე გვხვდება გადიაც: „შენი სევდა- შენი ჩონგურის თბილი გადია“ (გორგ. 2006:34).

ჩონგურსაც მდედრობითი სქესის პერიფრაზი მოუძებნა ავტორმა:

„შენი ჩონგური...“

შენი სევდის თეთრი ქალწული,

სიცხიანი და ტანწერწეტა, ცისფერთვალეა“ (გორგ. 2012: 31).

რამდენიმე პერიფრაზი საკუთარ თავთან ბრძოლას ან ვნებებს უკავშირდება:

„ისევ ჩემს ვნებებს თუ ვაბორკილებ,

ამ ყველა დროის სასურველ ყაჩაღს“ (გორგ.2006:484).

ადამიანის წინააღმდეგობრივი ბუნება კარგადაა გადმოცემული შემდეგ პერიფრაზში, რომელიც ოქსიმორონს ემყარება:

„თუ ვერჩი, ისევ თავს ვერჩოლები,

ამ ყველა დროის მშვენიერ ტირანს“ (გორგ, 2006: 484).

შთამბეჭდავი პერიფრაზებით გვიხატავს პოეტი **უსინდისობას**

„უსინდისობა-ფარ-ხმალი ციგნის,

უსინდისობა-უტეხი ელჩი...“

რამდენიმე პერიფრაზის მთავარი კომპონენტი **პოეზიაა: დაისის პოეზია, სიჩუმის პოეზია, ხმაურის პოეზია, ფიქრების პოეზია:**

გაბაცდა **ჟრიამული- დაისის პოეზია**“ (გორგ. 2012: 191).

„მთვარე- ცის ყვავილი- სრულ სიმყუდროვეშია,

მიმოდის მიმოზა- სიჩუმის პოეზია“ (გორგ. 2012: 191).

„ტბაში კენჭს ჩავაგდებ, ლოდები ყორეზეა,

ლოდი დაცურდება- ხმაურის პოეზია“ (გორგ. 2012: 191).

„თვალეები შედედდება- **ფიქრების პოეზია**“ (გორგ. 2012: 192).

„წკრიალებს წვიმები- მუსიკის პოეზია“ (გორგ. 2012: 192).

ზ. გორგილაძის შემოქმედებაში პერიფრაზი ისეთი მხატვრული ხერხია, რომელშიც ყველაზე კარგად ჩანს პოეტის შეფასებითი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი. პერიფრასტულად დახასიათებულია ხინო, ქობულეთი, მესხეთი, პეტრიწონის და ბეთლემის ტაძრები, ჩონგური, ალბომი, ლოდი, წვიმა, პოეზია, პოეტის საკუთარი „მე“ და ა. შ.

§7. ოქსიმორონის სტილისტიკური ფუნქცია

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ხშირად გვხვდება **ოქსიმორონი-ანტონიმურ** სიტყვათა შეერთებაა, ენობრივ და კონტექსტურ ენობრივ ანტონიმიას ეფუძნება.

მხატვრულ ტექსტში ეს ქმნის მოულოდნელობის განცდას: **ნაზი ხანძარი, ნაზი ცბიერება, უმძიმესი ბედნიერება, მშვენიერი ზიზღი, საყვარლად შლეგი და უსასოოდ მძაფრი, გამწარებით მომწონდა...**

ოქსიმორონით გადმოცემულია როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული სახელების/ საწყისების მხატვრული დახასიათება:

„დაბინდულ ვაზის ნაზი ხანძარი,

დგას და სისხლიან დიდებას ერთვის

სხალთის ტაძარი, სხალთის ტაძარი“ (გორგ.2006:15).

„ამ სიმაღლეთა ნაზ ცბიერებას

აჰყევი, მაგრამ ფრთხილად აჰყევი“ (გორგ.2006:170).

„დასტირის ქალთა ნაზ უზნეობას,

ეკლის ოხვრა თუ კვნესა ლოტოსის“ (გორგ.2012:217).

„ცხოვრება... დღეთა ნაზი მკვლელობა

და მე მაშინებს ჩემი ცხოვრება!“ (გორგ.2012:274).

თუ ხანძარი, ცბიერება, უზნეობა, მკვლელობა „ნაზია“, სინაზე ამაზრზენი ან მოშიშია, სევდა-ულმობელი, გოდება- წყნარი, ბედნიერება- უმძიმესი, ზიზღი- მშვენიერი, მოწყალეა ბოროტი ა. შ.

ან: „რა ამაზრზენი სინაზით კვნესი,

...რა კრძალვა ამკობს სინაზეს მოშიშს“ (გორგ. 2012: 541).

რა ულმობელი გასძახის სევდა,

„ვის შეშურდება ნეტავ შენი ნავსი ნაზობა?“ (გორგ. 2012: 349)

„რა ფერიული ფსალმუნებით მალღდება ცისკენ

დამაშვრალ დღეთა წყნარი გოდება“ (გორგ.2012:217).

„ღმერთმა შეგინდოს ეგ სითამამე,

ეგ უმძიმესი ბედნიერება“ (გორგ.2006:170).

„ვიდრე ტაძარში გმინავს ორღანო,

ვიდრე ჩემს ღიმილს მშვენიერი შემორჩა ზიზღი“ (გორგ.2006:44).

„ რაღაც ავი დიდებით ბრუნავს წუთისოფელი“ (გორგ. 2012: 417).

„ამ გაზაფხულზე ვიღაც გამაოგნებს

უბადლო ღალატით“ (გორგ.2007:106).

„ისე ძვირფასია ჩემი გამწარება,

არც ერთ სიხარულში რომ არ გაგიცვლიდი“ (გორგ.2007:76).

„შეახეთ ჩემი კუზის გენიას-
 თქვენი თითების გრილი ხანძარი“ (გორგ. 2012: 218).

„მაგრამ სიწმინდის მხურვალეობა სწამდა ბუნებას,
 ვიდრე ამ ბოროტ მოწყალებას და ფუფუნებას“ (გორგ.2012:145).

„ჩვენი ვნებებიც სამყაროში როგორ დადიან,
 ჩვენი მზეები უბოროტესი“ (გორგ. 2012: 366).

„ვინ მიიღია ზმანებებში მზიან დარდივით?“ (გორგ.2012:204).

„ ან მე, რომელსაც
 მაიმედებს მზიანი სევდა“ (გორგ.2012:275).

„მაინც!.. საყვარლად შლეგი და უსასოოდ მძაფრი“(გორგ.2006:318).

„აუგად მშვიდო,
 ამაყად ანცო,
 ერს გაუსინჯო დროულად მაჯა
 და სნება თვისი პირველმა ამცნო“(გორგ.2006:64).

თუ ზემომოყვანილ მაგალითებში ოქსიმორონის კომპონენტები მსაზღვრელ-საზღვრული ან პრედიკატული განსაზღვრებაა, საანალიზო პოეზიაში გვხვდება იმგვარი ოქსიმორონიც, რომლის კომპონენტებიცაა შემასმენელი და ვითარების გარემოება:

„შენი თავი გამწარებით მომწონდა,
 თავზე ლაფი არ დამასხა, ხალხო“(გორგ.2006:17).

„ოღონდ საყვარლად მოიძულე შენი გრძნობები
 და ყოველივე მისი გზით წავა“ (გორგ. 2012: 359).

ერთმანეთს ამგვარად მიემართება ზმნა- შემასმენელი და სუბიექტიც:

„ყველა დროს და საუკუნეს, ეს სიცილი სტკიოდა,
 მერე, ბიჭო?
 მაგი, ბიჭო?
 ვისთან!-გალაკტიონთან?!“(გორგ.2006:499)

მაშასადამე, ოქსიმორონი ზურაბ გორგილაძის უამრავ მხატვრულ ხერხთან ერთ-ერთი გამორჩეულია. პოეტი საგნებსა და მოვლენებს საპირისპირო თვისებებით გვიხასიათებს და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

§8. ალუზიის სტილისტიკური ფუნქცია

ალუზია არის გადაკრული სიტყვა“ რიტორიკული ხერხი - გადაკვრით ხსენება რაიმე ცნობილი ისტორიული ამბის ან ლიტერატურული ნაწარმოებისა.

პოეტი მიმართავს რუსთაველის, ილიას, ვაჟას, გიორგი ლეონიძის, გალაკტიონის და სხვათა ალუზირებას.

ილიას ალუზირება: „თავი თავად გვეყუდნესო,-

დულს სამრეკლო მრავალი“(გორგ.2006:65).

„აგერ, მერცხალი ჭყვივისო!-ზევისი-ბუბუნებს ილია“(გორგ.2012:193).

გიორგი ლეონიძის ალუზირება:

„შენი წაასხას ცხვარ-ძროხა

შენი ბადაგიც დალიოს“ (გორგ. 2012: 8).

გალაკტიონის ალუზირება:

„აქ მზეს შეჰლაღადებს როგორც ღვთაებრივი,

ფერი მოშიშარი კრძალულ დიადემით“(გორგ.2006:67).

„დავკარგე მერი!-ჩემი ცის და სუნთქვის ბადალი,

აი, ჩემი გზა, ჩემი ჯილდო და სამართალი“(გორგ.2006:186).

ხშირია ვაჟას ალუზირება:

„-ჰეი, ჰეი მეციხოვნეე!...

-აქა ვარ, ბატონო.

-არ მოსთრევს რჯულძაღლი?

-არ მოსთრევს, ბატონო.

- ეგრემც, ეგრემც, ღმერთმა გიპატრონოს“ (გორგ. 2012: 42).

„თუნდ ზღვა ემართოს სისხლისაო...

მთასავით ვაჟა გვასწავლიდა“ (გორგ. 2012: 48).

„დარლამსაც შეეწირები,

მოლა დაგყევდეს თავსაო...

შენ, ისე გაიზანზარებ

შენ ისე გაშლი მხარსაო”(გორგ.2012:7).

რუსთაველის ალუზირება: „არასაქმე არ იქნების

მით უმეტეს რაც არი,

ღჯის ადგილას ღჯა იდგესო,

ტაძრის ადგილს- ტაძარი“(გორგ.2006:61).

უილიამ თეკერეისა- „ამაოების ბებერ ბაზარს

თურმე,-ჰგავდა სოფელი,

ზოგჯერ ხალხური მოტივების ალუზირებასაც მიმართავს პოეტი:

„აქ იყავ და მე არ მნახე?

და მაინც მე ყველასი ვარ მადლობელი“(გორგ.2012:424).

„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა,

მთვარის შუქში ვთვალე, ვთვალე“(გორგ.2012:316).

პოეტი მიმართავს რუსთაველის, ილიას, ვაჟას, გიორგი ლეონიძის, გალაქტიონის და სხვათა ალუზირებას.

ეროვნული თვითმყოფადობის აუცილებლობაში დასარწმუნებლად პოეტი ილიას ალუზირებას მიმართავს: „თავი თავად გვეყუნეს; ცხოვრების ამაოებაზე საუბრისას- უილიამ თეკერეისას - „ამაოების ბებერ ბაზარს ჰგავდა სოფელი. მეტად საინტერესოა რუსთაველის ალუზირება: არასაქმე არ იქნების...

§9. რეფრენის სტილისტიკური ფუნქცია

ზურაბ გორგილაძის პოეზიას მუსიკალურობას სძენს რეფრენი, ტაეპების რომლებიც გარკვეული წესით გამეორება ლექსში:

პოეტი ხედავს რა ბრძოლისა და აქტიურობის გარდაუვალ

აუცილებლობას, რიტორიკულ შეკითხვას სვამს და ამავდროულად პასუხობს:

კითხვას, რომ ასე ღმერთი არაფერს/ ვერაფერს მოუტანს, ვერ უშველის საქართველოს”

„მართლ ლოცვა რას მოუტანს,
რას უშველის საქართველოს“ (გორგ. 2012: 72).

„ასე ღმერთი რას მოუტანს,
რას უშველის საქართველოს“ (გორგ. 2012: 72).

„ღმერთი?!

ასე ღმერთი რას მოუტანს,
რას უშველის საქართველოს“ (გორგ. 2012: 73).

ზოგჯერ რეფრენში მონაცვლეობს პირის ნაცვალსახელები:

„მას ახსოვს,

მეც მახსოვს,

შენც გახსოვს,

ხსოვნაა ყველაზე პირველი...“ (გორგ. 2012: 87).

შემოქმედი პოეტი თითქოს ვერ ეგუება ერთი და იმავე ფრაზების გამეორებას და ავრცობს მას:

„შენი ჩანგი ვინ წყეულმა მომცა,

ძალლი ყეფს და ქარავანი მიდის“ (გორგ.2006:62).

ძალლი ყეფს და ქარავანი მიდის (გორგ.2012:62)

„ან ეს ძალლი ჩააძალლე, ანდა,

ქარავანი დააბრუნე უკან!“ (გორგ.2006:11).

§10. ალიტერაციის სტილისტიკური ფუნქცია

ზ. გორგილამის პოეტურ სიტყვას მუსიკალურობას სძენს ალიტერაცია, ლექსის ტაქში ერთი და იმავე თანხმოვნის რამოდენიმეჯერ გამეორება, რომლის სტილისტიკური ფუნქციაც ესთეტიკურობაა.

პოეტი ხშირად მიმართავს ტ, თ, ქ, ხ, ძ, გ, დ, ზ ბგერათა ალიტერაციას:

„ქათქათებ,

ქოთქოთებ,

ქვითქვითებ,-

დღითიდღე“ (გორგ.2006:143).

„უთოვლოდ თეთრი და თოვლზე თეთრი
თეთრადის თეთრი და ნისლების ხვედრი“ (გორგ.2006:15).

„ხარებს კი, თქლაშათქლუმით,
ხამურით გააქვთ ხნული“ (გორგ.2006:111).

მეტად ექსპრესიულია შემდეგი მაგალითი:

„ყელზე შემომაფართქალა,
ვაზის ლერწი ლოფორთქანა“ (გორგ. 2012:16).

„ხამიყელზე ხაოდერი
ბალახები შემრჩა თანა“ (გორგ. 2012:15).

„ზოგან მდარე, ზოგან მდორე
დის ცხოვრების მდინარე“ (გორგ.2012:403).

„ჩემი ლექსი ქართული სხვა ზვირთების ზავთებით,
ზვიადობს და უბადლო ამალღებით ვთავდები“ (გორგ.2006:194).

„ზღვის ზარიანი მეხლება ზვირთი“ (გორგ.2006:29).

„მიტირია კიდევ განა,
როცა ჩემი ზღვერთი ზვარე
ზვავის ნაძოვს დაემგვანა“ (გორგ. 2012:29).

ან:
„იქ, საფოჩხელას ჩონჩხლო ჯაგებში,
ხვართქლი ხვართქალებს სულ“ (გორგ. 2012:51).

ან კიდევ:
„დაგსაჯა ალბათ განგებამ განგებ,
რომ გაგაჩინა ლამაზი ასე“ (გორგ. 2012:23).

ანდა:
„იცი,
მუზის მარაზმის
მარადმუზისი ტვირთება“ (გორგ. 2012:23).

„შენი მარტვილი და ტიტველი ქვების ტორტმანი,
შორს ქვატახტები რატომ მეზმანა?“ (გორგ. 2012:31).

„ძონძალა ძაღლებს ძაგრავს ძერის გადაძახილი“ (გორგ. 2012:142).

ალიტერაციის ხერხის გამოყენებით ზურაბ გორგილაძე იშვიათ მუსიკალურობას სძენს პოეზიას, ამიტომ გამოირჩევა ის მაღალი ესთეტიკურობით.

§11. გრადაციის სტილისტიკური ფუნქცია

ზურაბ გორგილაძე ხშირად იყენებს გრადაციას, შთაბეჭდილებათა თანდათანობითი გაძლიერების ან შესუსტების ხერხს, მიღებულს სიტყვათა თუ წინადადებათა გაერთიანების გზით. გრადაციის მიზანია, რომელიმე ცნების, საგნის, მოვლენის თუ შეხედულების წინ წამოწევა. შთაბეჭდილებათა თანდათანობითი გაძლიერების მიზნით მეორდება სინონიმური სიტყვები:

გრადაციას ქმნის საგნის თვისებების ან მოვლენის თანდათანობითი განვითარების აღწერა:

„შენი არც სახნავი მინდა!..

შენი არც ნათობი მინდა!..

შენი არც ნაჩეხი მინდა!..

-დეჰ!..

ნენემ მომიყვანა ქალი“ (გორგ. 2006:371).

შთაბეჭდილებას აძლიერებს სიტყვათა გამეორება. გამეორება გამეორება ერთისა და იმავე სიტყვის თუ ფრაზის ყოველი შემდეგი წინადადების, სტრიქონის თუ ფრაზის დასაწყისში გამეორებაა.

მხატვრულ ლიტერატურაში სიტყვათა განმეორებას სტილისტიკური ფუნქცია ეკისრება—მეორდება ის სიტყვა, რომელზეც სურს ავტორს მკითხველის ყურადღების მიქცევა. ამრიგად, სიტყვათა განმეორება სტილიზაციის ხერხია.

„ვილაც კიდევ ბრუნდება,

ვილაც კიდევ მშორდება...

ვილაც კიდევ მიჩნდება,

ვილაც კიდეც მიკვდება...“ (გორგ. 2012: 410).

„აქ დგომა და ისევ იმას უხარის...

ამ გადანახულ საქართველოსთვის,

ამ გადარჩენილ საქართველოსთვის,

ამ გაურყვნელი საქართველოსთვის“ (გორგ. 2012: 547).

„...უმთავრესს,

უმთავრესს,

უმთავრესს-სამშობლოს!

სამშობლოს!- ჩემს ჩანგს რომ

აღაგზნებს პირველი” (გორგ. 2012: 555).

შთაბეჭდილებას აძლიერებს გრადაციისა და გამეორების ერთობლიობა:

„იელვებს, ჩაქრება, ჩაქრება, იელვებს,

ნაცნობი ფანჯრები, ხელები, ფარდები“ (გორგ. 2012: 541).

„ჩემს საუფლოში ნელდება ჩრდილი,

ნელდება ჩრდილი, ნელდება ჩრდილი“ (გორგ.2006:263).

„თორემ დროს დამზრალს, ცას გამოდექილს,

რა ეშველება!...რა ეშველება“ (გორგ.2006:197)...

„მოუფოთლავო და აუყვავილებულო,

მშვიდობით, სიყვარულო, მშვიდობით“ (გორგ.2006:351).

„დგანან და ელიან გზნებით,

ქუხილით, წვიმით, თოვლით“ (გორგ.2006:107).

„გახსოვდეს!-მერე ღმერთი იწყება“ (გორგ.2006:77).

„ენტება, ქრება, ისევ ენთება,

ცისფერთვალება ვარსკვლავი ერთი“ (გორგ. 2012:257).

„გამოდიან რა ჭრიალით ტყიდან ჭრელი ურმები,

უცებ მორბის მეტაფორაც ფინთი და სასურველი

ზოგ ლექსს მთების სუნი ასდის,

ზოგს- ქუხილის სურნელი,

ზოგ ლექსს პიტნის სუნი ასდის,

ზოგს- დაფნების სურნელი

ზოგ ლექსს კახპის სუნი ასდის,

ზოგს- ქალწულის სურნელი” (გორგ. 2012:70).

ამრიგად, სტილისტიკური ხერხების და რიტორიკული ფიგურების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზურაბ გორგილაძე ენის მხოლოდ გამომყენებელი კი არ არის, არამედ თვითნაბადი ნიჭით დაჯილდოებული პოეტია, შემოქმედია, რომელმაც ქართულ პოეზიას იშვიათი მუსიკალურობა და ესთეტიკურობა შესძინა.

დასკვნები

ზურაბ გორგილაძის პოეტური ენა და სტილი ამოუწურავი თემაა, ამიტომ აღნიშნულის კვლევა კვლავაც აქტუალურია. მისი შემოქმედების ენობრივი სამყაროს და სტილის კვლევამ მოგვცა შემდეგის თქმის უფლება:

ზურაბ გორგილაძის პოეზიის განუმეორებლობა მქდავანდება მხატვრული აზროვნების, მეტყველების მრავალფეროვნებაში, რომელიც ემყარება ქართული ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და გრამატიკულ კანონზომიერებებს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სათაურების სპეციფიკის შესახებ: ბევრი მათგანი სიტყვა-კონცეპტია, ექსპრესიულია და („ხატიმამული,“ „ჩაუმქრალი სანთლები,“ „უმღერებელი მუხამბაზი) და გადმოგვცემს ღრმა შინაარსს: ერის ისტორია, მის სატკივარს.

პოეტის მხატვრული ენის მასაზრდოებელი წყაროებია მდიდარი ლიტერატურული ტრადიციები და ხალხური ძირები, მის ენაში პარალელურად გვხვდება ისეთი ენობრივ-სამეტყველო ნიშნები, როგორებიცაა: მწიგნობრული და სასაუბრო სტილი. ხშირად დომინანტურია ეს უკანასკნელი, მაგრამ პოეტის ლექსიკის მიმართება როგორც ძველ მწიგნობრულ ენასთან, ისე ხალხურ მეტყველებასთან მეტწილად ლექსთწყობითაა განპირობებული (კუმშვა-კვეცა,

უკუმშველობა-უკვეცლობა, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების შეკვეცილი სახეობა; სახელისა და ზმნის რიცხვში შეუთანხმებლობა; ზედსართავი სახელის მოკლე ფორმები, ნართანიანი მრავლობითი, საწყისის დიალექტური და ოკაზიური ფორმები) და მათ სტილისტიკური ფუნქციებიც ეკისრება.

ზურაბ გორგილაძე ოსტატურად იყენებს საკუთარი ენის გრამატიკულ შესაძლებლობებს, ძველსა და ახალ, სალიტერატურო ენისა თუ დიალექტის/დიალექტების მონაცემებს.

ზ. გორგილაძის პოეტური სინტაქსის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანია პლევონასტური აგება ფრაზისა, სადაც შემასმენელი და სუბიექტი, ობიექტი/ობიექტები, გარემოება/ გარემოებანი ერთი და იმავე ფუძის სიტყვაა.

სემანტიკური დატვირთვა (ღირებულებათა გადაფასება, მანკიერებები) ეკისრება ზმნისწინთა დერივაციულ ფუნქციებს, პასიური ზმნების გააქტიურებას, ნასახელარ და მიმდებარე ზმნებს, საწყისის მრავლობითი რიცხვის ფორმებს.

ზურაბ გორგილაძის პოეზიის მთავარი სტილური ნიშანი არის ფრაზის დინამიკურობა, ნედლი, ცოცხალი სიტყვა. ცოცხალ მეტყველებას მოაქვს მშობლიური კუთხის სურნელება, იმისი პოეტური მარგალიტები მკითხველს პირველ ყოვლისა, აჭარული დიალექტს ლაზათს შეაგრძნობინებს: **საკუთრივ აჭარული: წაჯინქვა, ბლაცვი, დაბექსნა, დაბიქსვა, დაბაზება, ბენჩქვი, მოჭუჭკვა... აჭარულში დაცული არქაიზმებია: ლირწი, ჟვავი, ჟვერი, ბეჩი.**

აჭარულში დაცული ზანიზმებია, ფართქალი, ფუნჩხი, კუჩხე, ოჭვათო, კობერი, ხოშორი, ბურჯგნა, ჯარგვალი, ღვარღვალი...

პოეტი ხშირად მიმართავს სხვა კუთხის ფორმებს, ყველაზე ხშირად იყენებს ინტერდიალექტურ ლექსიკას, ლექსის ნარატივს სხვადასხვა კუთხის (გურული, იმერული, ქართლური, მოხეური, ფშაური, ქიზიყური, ჯავახური, მესხური და ა.შ.) დიალექტიზმის ოსტატური გამოყენება ქმნის.

ზურაბ გორგილაძემ ბევრ ძირძველ ქართულ სიტყვას ახალი სიცოცხლე შესძინა, გააქტიურა იშვიათი ხმარების სიტყვები ზურაბ გორგილაძემ ბევრ ძირძველ ქართულ სიტყვას ახალი სიცოცხლე შესძინა: **უგლაგარჯი, არჯალი**

ართვალი, ინანთი, ლერდანი, იჩქითი, ჯავარი, ლემტერი, ლორფინი, ლუდლუდი ღაზვი... პოეტმა გააქტიურა იმვიათი ხმარების ბევრი სიტყვა: ბებრეკი, წრიაპი, წარაფი, გაბუცება, დაწდომა, ჩარბი, გათქერვა, ღრეჯა, ციგლიგი, ხარდნა, ფეთხუმი, ნაყში, ტავარნა, არჩივი, წარაფები, ორწოხები, ანგლობა; ართვალი ხვილიფი.

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში აისახა ის რუსიციზმები და თურქიზმები რომლებიც გავრცელებული იყო ცოცხალ მეტყველებაში.

პოეტი სხვადასხვა ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ შეარჩიოს აღწერილი ყოფისა და ეპოქის შესაფერისი ლექსიკა-ფრაზეოლოგია თუ გრამატიკული თავისებურებანი.

დიალექტური ფორმები ქმნის ამა თუ იმ კუთხის კოლორიტს (როგორც ლექსიკაში, ასევე მორფოლოგიასა და გრამატიკულ კონსტრუქციებში). მშობლიური კუთხის კოლორიტს პოეტი ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების შეკვეცილი სახეობის, ერგატიული კონსტრუქციის, აჭარულ დიალექტში შემონახული არქაული ფორმების (უნართაულო ზმნები, ენიანი ვნებითები), თემის ნიშანთა უნიფიკაციის, მომტაცევი ტიპის ფორმების, დაა.შ. გამოყენებით.

პოეტი ქმნის ფშაურ კოლორიტსაც (დიალექტური ზმნისწინები (მამდის, შამამლებინა), ხოლმეობითის ფორმები, ლექსიკა) და კოლხურსაც.

არქაიზაციას ემსახურება არქაულ ფორმათა გამოყენება, ზოგჯერ ამასაც ლექსთწყობა განაპირობებს. წარსული დროის აღსადგენად, მისი კოლორიტის შესაქმნელად მიმართავს ლექსიკურ და გრამატიკულ არქაიზმებს (უთანდებულო ფორმები, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ძველი დაბოლოება, ნართანიანი მრავლობითი, ძველი, გაუმარტივებელი ზმნისწინები, რთული ზმნები, სუბიექტური პირის ნიშნების ხმარება, ზმნათა, საწყისთა და მიმღობათა არქაული ფორმები, მასდარული კონსტრუქცია, სიტყვათა ინვერსიული წყობა).

აზრის უფრო კონკრეტულად გადმოსაცემად, შესავსებად, დასაზუსტებლად პოეტი ერთმანეთის გვერდით იყენებს სხვადასხვა წარმომავლობის, ძველ და ახალ სინონიმურ სიტყვებს, რომლებიც

განსხვავებული სტილისტიკური შეფერილობისაა. კონტრასტული სურათების დასახატავად, აზრის ფრო მკვეთლად გადმოსაცემად გამოიყენება ანტონიმები, ანტონიმებია თვალში ყურება და ზურგში ყურება. კონტექსტური ანტონიმებია ვეფხვი და მელია, ვირი და ხარი.

პოეტურ-ინდივიდუალური ნეოლოგიზმები, პოეტური ლიცენციის ნიმუშები მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებაა და მწერლის ან პოეტის შემოქმედებითი ნიჭის, მისი მხატვრული პოტენციალის საზომია. ისინი ჯერ კიდევ არ მოხვედრილა ლექსიკონებში, მაგრამ დროთა განმავლობაში, შესაძლოა, დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში, მის კუთვნილებად იქცეს.

რითმითაა განპირობებული: ნაოქროვარი-მგლოვარი, შემესისხლთაგანა, შემეხორცთაგანა (ერთიმება ტაგანას); მივდინდები (ბინდები), სხივტოტა (მივდოდა), იზეპირებს (მზეპირი), ფერობს (საქართველოს); ფლიდობდა ბინდობდა, ხმიერობს (ბედნიერობს), შეესპეკალო (გეკავოს), მხარულობს (სიყვარულო); სხივტოტა (მივდოდა).

ზოგი ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნას ალიტერაცია უნდა ედოს საფუძვლად: ხვართქლი ხვართქალებს, ფურტკნავს ფუნჯი; ხვარჩი ... ხარჯი, ჟამი ჟანგნაფლეთი..

ზოგი სიტყვა მიღებულია სხვა სიტყვათა ანალოგიით: ხელისგული/უბეგული, შავხომორი/ ძვალხომორი.

ლექსიკურ ერთეულთა უმეტესობა არცერთი ზემოდასახელებული ფაქტორით არაა შეპირობებული: ღვილიკა, ფოთქოვანი, ხვანთქალი, ბალარძანა, ძომნა, დგიალი, ხვარჩი, ხვარჩალი, ბუდანი, ძუაძირა.

ინდივიდუალურ-საავტორო ნეოლოგიზმთა წარმომშობი ფაქტორებია რითმა, ალიტერაცია და სხვა სიტყვათა ანალოგია. ნეოლოგიზმებია: უანკარესი, უმკვიდრესი, უმანკოესი, მდიდრობა, მრავლობა, დიობა, ვერაგობა და ლიქნობა.

პოეტმა შექმნა ბევრი საინტერესო ფრაზეოლოგიზმი: მარლის მხოლოდ სტუმრის სუფრაზე ბრჭყვიალი, ჩიტლეღვას ასაკი. მოღალატეებს, მედროვეებს, ანგარებიანთ და მხდალთ მიემართება იდიომები: ყივჩალის/ ყაჩალის/ იუდას ნაშიერი, დახლის ვირთხა, სკამის მგელი, ჭრელი ჭირი და ა.შ.

განსაუთრებით ექსპრესიულია სულ' კომპონენტის ფრაზეოლოგიზმები: სულში რისხვის გაჭენება, სულის გაბეზრების მწვანე ნინველით დაღრღნა, სული სულში დემონის გადავლა, სულზე ფრჩხილების დაქნა არსთა მპყრობელის მიერ, კაკალ სულში ეკლიანი შოლტების ცემა, სულის დაჭაობება//დაორსულება, //მირონივით დაღვრა// სულში ისლამის გარჭობა//ვაზის აცრა.

ოჭვა(ნ)თოდან//ჭუჭრუტანიდან ჭვრეტა პოეტის სატკივარს გამოხატავს.

მეტად საინტერესოა კომპოზიციები ფეხმსუბუქი; ძუძუმღვრიე, ძუძუმჭლე.

ქვეყნად გაბატონებული უზნეობის, დალატის, მრუშობის, ანგარების და ბევრი სხვა მანკიერების წინააღმდეგ საბრძოლველად პოეტი იყენებს დისფემიზმებს: **ოხერ-მოხეტე, მძორი, ოხერი, სკინტლიანი, ბედმწატე, ნაგაზი, ბაძანგრები, კახპა, ახვარი, თახსირი, უცხვირპირო, რჯულძაღლი.**

სტილისტიკური ხერხების და რიტორიკული ფიგურების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზურაბ გორგილაძე ნიჭიერი პოეტია, შემოქმედია, მისი თვითმყოფადი სტილის შემაპირობებელი ფაქტორებია შედარება, მეტაფორული ეპითეტები, მეტაფორები, გაპიროვნება, პერიფრაზი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კეთილხმოვნების შესახებაც.

მეტაფორული ეპითეტებით და მოულოდნელი შედარებებით, პოეტური დალტონიზმის ნიმუშებით ზურაბ გორგილაძის შეფასებითი დამოკიდებულებაც ჩანს საგნებისა და მოვლენებისადმი, მისი სინესთეტიკაც და ესთეტიკურობაც. გაპიროვნება-ეპითეტებითაა შემკული აბსტრაქტული სახელებიც კი.

პოეტის ცხოვრებისეულ გამოცდილებას გადმოგვცემს კეთილი სისულელე, მორჩილი სისულელე, ხელცარიელი სათნოება.

საგნებისა და მოვლენების სრულიად ახლებური კუთხით ხედვა ჩანს პერიფრაზში. ამგვარად დახასიათებულია ისტორიული პიროვნებები, ტაძრები, ბუნების მოვლენები, პოეზია, პოეტის საკუთარი „მე“ და ა. შ.

ზ. გორგილაძის პოეტური სულის სინაზე ყველაზე კარგად ჩანს **გაპიროვნების** ხერხის გამოყენებაში, რითაც ის ქართველ კლასიკოსთა ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება.

ზურაბ გორგილაძის პოეტური ნიჭის ყველაზე უტყუარი საზომი მეტაფორაა. პოეტმა მეტაფორულად დაგვიხატა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ცნებები: სიყვარული, სიხარული, იმედი, გათენება, დაღამება, სიღარიბე, შურისძიება, ანგარება, ამორალიზმი, წუხილი... ამით მან გაამდიდრა და გააღმავა მხატვრული აზროვნების დიაპაზონი.

მკითხველზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს საგნებისა და მოვლენების საპირისპირო თვისებებით დახასიათება, ოქსიმორონი.

ზ. გორგილაძის უსაზღვრო პოეტურ ნიჭსა და მაღალ ესთეტიკურობაზე მიგვანიშნებს კომპლექსური მხატვრული სახეებიც.

მხატვრული ხერხების და ფიგურების საშუალებით, იშვიათი მუსიკალურობითა და ესთეტიკურობით პოეტი პატრიოტულ სულისკვეთებას, მაღალადამიანურ იდეალებს წამოსწევს და ცდილობს მანკიერებებისადმი საზოგადოებრივი აქტიურობის გამოწვევას. პოეტის ბაროკოსმაგვარი, ექსპრესიული სტილი მკითხველში დაუოკებელ ინტერესს აღვივებს.

ზურაბ გორგილაძის პოპულარულობა განპირობებულია იმით, რომ მან შეძლო საკუთარი მრწამსის ორიგინალური ენობრივი ფორმით გადმოცემა და შინაარსისათვის შესაფერისი სიტყვიერი სამოსლის მოძებნა, იშვიათი ექსპრესიულობითა და ესთეტიკურობით პოეტმა მკითხველის სიყვარული და ქართული ლიტერატურის ისტორიაში მკვიდრი ადგილი მოიპოვა.

შემოკლებათა განმარტებანი

- ვისრ.- „ვისრამიანი“, ალ. გვახარიას და მ. თოდუას რედაქციით. 1962.
- გორგ., 2006- ზურაბ გორგილაძის რჩეული, გამომცემლობა „აჭარა“
- გორგ., 2007- ზურაბ გორგილაძე, „ასი ლექსი,“ გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი;
- გორგ., 2012- ზურაბ გორგილაძე, ერთტომეული, გამომცემლობა „აჭარა“
- გორგ.1988- „შუადღე“ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“;
- ვაჟა: ვაჟა- ფშაველა, თხზულებათა კრებული ათ ტომად, თბ.; 1964.
- ვტ. „ვეფხისტყაოსანი“ - გამოცემა 1966 წ.
- ილია- ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული ათ ტომად, ტ.V. პ. ინგოროყვას რედაქტორობით, თბ, 1955; ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად, ტ.V. პუბლიცისტური წერილები, თბ, 1987; ჭავჭავაძე ილია, პუბლიცისტური წერილები,V. თბ, 1991;
- მაჭ.- მაჭახელა. „მაჭინი“, Macacheli net, dejimler;
- ჩვენებ.- შუშანა ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი 1993;
- ქობ.- მზია ხახუტაიშვილი, შუშანა ფუტყარაძე: ქობულეთური კილოკავის მასალები (მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კრებული VI; ბათუმი, 2009;
- ყარ. - „ყარამანიანი“ ალ. გვახარიასა და ს. ცაიშვილის რედაქციით. 1965 წ
- შავშ.- შავშეთი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართველოლოგიის ინსტიტუტი თბ. 2011;
- ვტ.- შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი განმარტებანი და კომენტარები ნ. ნათაძე, თბილისი 1974;

- **ფლავ.** იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელ სიტყუაობისანი. ქართული თარგმანების ტექსრი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებელნი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, 1 თბ. 1987, თბ, 1988.
- **კლემ.** იოანე სინელის „კლემაქსის“ ქართული თარგმანები, ხელნაწერები ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი დაურთო მ. ცინცაძემ, ბათუმი, 1966.
- **საბა (1)1991-** ლექსიკონი ქართული ტ. I ავტორისეული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილ. აბულაძემ, თბ.
- **საბა (1)1993-** ლექსიკონი ქართული ტ. II ავტორისეული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილ. აბულაძემ, თბ.
- **ქართლ.-** ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, ლ. ნოზაძე, თბ. 1981.
- **ქეგლ-** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი თბ. 1950–1964.
- **მამ. ცხ.-** მამათა ცხოვრებანი, ბრიტანეთის მუზეუმი. დდ –1128 ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბ. 1975;
- **ქილ. და დამ.-** ქილილა და დამანა, იგავ-არაკები ქართულად. ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ. 1949.
- **შატბ. კრებ.-** შატბერდის კრებული, მე-10 საუკუნე. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა (ძველი ქართული მწერლობის მიხედვით). თბ. 1979.
- **ხანძთ.-** გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973;
2. ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, გამომცემლობა, ირმისა“თბ.1996;
3. არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ. 2005;
4. არისტოტელე, რიტორიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო თამარ კუკავამ. რედაქტ. აკაკი ურუშაძე, თბ.1981;
5. არისტოტელე, პოეტიკა, პროფ. ს. დანელიას თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები. II გამოცემა. თბ.1979;
6. აფრიდონიძე შ., აბსოლუტური სინონიმები, ქსკს VIII. თბ.1988;
7. აფრიდონიძე შ., სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში. თბ.1986;
8. ბაბუნაშვილი ე., სინონიმები ილია ჭავჭავაძის ენაში, თსუ შრ. ტ. 71, თბ. 1958;
9. ბასილაია ნ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ.1991;
10. ბარტი რ., წერის ნულოვანი დონე, თარგმანი ესმა ბერიკაშვილისა, რედაქტორი გ. ჯოხაძე, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა თბ. 2012;
11. ბერიშვილი ე., ფრაზეოლოგიზმთა ერთი ნაწილისათვის ქართული სახარების ორი ძველი რედაქციის მიხედვით, ენათმეცნიერების საკითხები, 2 (14); თბ. 2002;
12. ბერიძე ვ., სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბ.1912;
13. ბეროზაშვილი თ., ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1981;
14. გვენცაძე ა., ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974;
15. გელდიაშვილი ნ., კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების ენისა და სტილის საკითხები, ჟურნალი ენა და კულტურა №5, ქუთ. 2011;

16. გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ, 1961;
17. გიორგაძე ნ., მწერალი და დიალექტი, 31-ე რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 2011;
18. გრიშაშვილი ი., ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა), გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა. გამომცემლობა „სამშობლო“ თბ. 1997;
19. გოგოლაძე თ., ისევ სალიტერატურო ქართული ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართებისათვის მე-20 რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გამომცემლობა „ქართული ენა.“ თბილისი, 2000;
20. გოგოლაძე თ., მწერალი და დიალექტი, 24-ე რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი. 2004.
21. გოგუაძე თ., „ნაცვალსახელი „თავისი“ ქართულში, სმამ 2. თბ. 1960;
22. ვერძაძე ნ., ანთებული სიტყვის პოეტი, ზურაბ გორგილაძის კრებული „შუადღე“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1988;
23. ზანდუკელი მ., ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, თბ.1960;
24. ზვიადაძე თ., საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ შრომები ტ. II. ქუთაისი, 2010;
25. თანდილავა ა., ლაზური ლექსიკონი, გამომცემლობა „საარი, თბილისი, 2013;
26. თანდილავა ზ., ნარაკიძე ც., ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში, აჭარულ დიალექტის დარგობრივი ლექსიკა V. გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ. 1986
27. Tandilava L., Tsetskhladze L., Gürcüce-Türkçe deyimlerin varyantlara göre kültürel dialoglar, Universe Culture ISSN: 1308-619, 2015;
28. Tandilava L., Tsetskhladze N., Gürcücede ve Türkçede yürek/kalp ile ilgili yer alan bileşik kelimeler, www.pegem.net, 2015;
29. თაყაიშვილი ა, ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ.1961;

30. თურქულ-ქართული ლექსიკონი - შემდგენლები: ნუნუ გურგენიძე, გაიანე თუმშალიშვილი, ეთერ მამულია და სხვ.; რედაქტორი: ლია ჩლაიძე ; სმამ, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინს-ტი, თბ. 2001
31. ინჯია თ., ქვემდებარე-შემასმენლის ინვერსია, ფიქსირებული ფორმის დარღვევის საშუალება გრ. რობაქიძის შემოქმედებაში. საენათმეცნიერო ძიებანი. XVI თბ.2004
32. იმნაიშვილები ... იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში I მაინის ფრანკფურტი.1996;
33. კაჭკაჭიშვილი-ბერიძე მ., დიალექტი და თანამედროვე ენა, 37-ე დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2016;
34. კახაძე ო., ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში იკე V. თბ.1953;
35. კიკვაძე მ., ხახუტაიშვილი მ., ქართულ-თურქული ფრაზეოლოგიზმების თარგმნის პრობლემები, ენის, ლიტერატურისა და სტილისტიკის მე-14 ინტერნაციონალური სიმპოზიუმი 15-17 ოქტომბერი, 2014, იზმირი, თურქეთი. 2014;
36. კვარაცხელია გ., ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა თბ.1990;
37. კვაჭაძე ლ., ქართული ენის სინტაქსი, თბ.1988;
38. კვაჭანტირაძე თ., „სტილი და მწერალი“ ცდა ერთი სტილისტიკური ხერხის ანალიზისა. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1981-3;
39. კიკონიშვილი მ., ახალაკი, მ., კონცეპტ სიკვდილის სინონიმურ მნიშვნელობათა ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები. I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, მასალები, ბათუმი.2010;
40. კაჭკაჭიშვილი-ბერიძე მ., დიალექტი და თანამედროვე ენა, 37-ე დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2016;
41. კუხალაშვილი მ, ლომთაძე მ., მიქაძე მ., რუსაძე ი., ქაცარავა მ., ფხაკაძე ნ., თანამედროვე ქართული ენა (პრაქტიკული სტილისტიკა), ქუთაისი, 2010;
42. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, თბ. 1995;

43. **ლოლაძე ნ.**, ემოციების გამოხატვის ენობრივი სურათი
[HTTPS://SEMIOTICSJOURNAL.WORDPRESS.COM/2010/08/07/](https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/07/) , 2010;
44. **მამულია ე.**, თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი.
 გამომცემლობა „ცისარტყელა“თბ. 2006;
45. **მაკარაძე ელ.**, ქართული ხალხური საგმირო ლექსის ხატოვანი
 მეტყველება, გამომცემლობა „აჭარა.“ ბათუმი, 1999;
46. **მახაჭაძე შ.**, „ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბლეზი ბეწვებით“ .
 ზ.გორგილაძის რჩეული, ბათუმი, 2006.
47. **მიქელაძე ნ.**, ქართული ენის სტილისტიკა, ბათუმი, 2009;
48. **მოდებაძე ც.**, ემოციის გამოხატვის ფორმები ლექსემა **გულის**
 საშუალებით გერმანულ და ქართულ ენებში, კულტურათმორისი დიალოგები,
 შრომები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თელავი; გამომცემლობა
 „მერიდიანი“, 2015;
49. **ნადარეიშვილი მ.**, სათაურის მრავალსახეობა ამერიკულ პრესაში,
 თბ.1999;
50. **ნეიმანი ალ**, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. მე-3 გამოც. თბ.:
 განათლება, 1978;
51. **ნიკოლაიშვილი ე.**, III სუბიექტური პირის ეს სუფიქსის ენ-ით შეცვლის
 ისტორიიდან მაცნე ელს № 3. თბ.1978;
52. **ნიჟარაძე შ.**, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა,
 გამომცემლობა „ საბჭოთა აჭარა“, 1971;
53. **ორბელიანი, სულხან-საბა**, ლექსიკონი ქართული, მოამზადა... ილია
 აბულაძე, [რედ.:ელ. მეტრეველი, ც. ქურციკიძე] ; საქ. მეცნ. აკად., ხელნაწერთა ინ-
 ტი. - თბ;
54. **პოპიაშვილი ნ.**, სინონიმები პოეტური მეტყველების დისკურსში
 (ტბელობა, საერთაშორისო კონფერენციის მასალები ოქტომბერ-ნოემბერი) 2009;
55. **რამიშვილი დ.**, მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური
 ბუნებისათვის, სმამ გამომცემლობა, თბ.1963;

56. რამიშვილი ვ., სტილისტიკის სწავლება და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები, თბ.1966;
57. რიყვაძე მ., აჭარული ლექსიკა გორგილადის პოეზიაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, სხალთის ეპარქია, 2010.
58. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ. 1984;
59. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001;
60. სანიკიძე თ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ.1998;
61. სანიკიძე ი., სიტყვის ესთეტიკური და ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციებისა-თვის ქართულში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, I. ქუთ.2010;
62. სიგუა ს., კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, გამომცემლობა „მერანი“ თბილისი 1989.
63. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გამომცემლობა „მერანი“ თბ.1979;
64. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი [3 ტომად] /შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. Iგამოც. ფანტაზია, 2006.
65. ფარტენაძე ნ., ზმნისწინი საშუალო ქართულში, ბათუმი, 2009;
66. ფაღვაძე მ., ცეცხლაძე ნ., აჭარული კილოს თავისებურებანი, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის შრომები „ფილოლოგიური მაცნე“ III. გამომცემლობა „ივერიონი,“ თბილისი 2016;
67. ფაღვაძე მ., ცეცხლაძე ნ., კლარჯული კილო, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, საენათმეცნიერო ძიებანი XXXVIII, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2015;
68. ფაღვაძე მ., ცეცხლაძე ნ., სამხრული კილოები- ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, გამომცემლობა „ივერიონი“ თბილისი, 2017

69. ფრანგიშვილი ა., `გულ სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით ფრაზეოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, ფრაზეოლოგია. ტ. III. თბ.1944;

70. ფონიავა ნ., გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები მეგრულ ლაზურში (31-ე რესპ. დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს); 2011;

71. ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993;

72. ქავთარაძე ი., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში თბ.1964;

73. ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა / რედაქტორი დ. ჯიბლაძე. გამომცემლობა „განათლება“ , თბილისი, 1984.

74. შალამბერიძე გ., ილია ჭავჭავაძის ენა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1966;

75. შამილიშვილი ი., ზურაბ გორგილაძის „დიდქართული ლექსი“ კრებული „ზურაბ გორგილაძის მზიანი ელგია,“ გამომცემლობა აჭარა, ბათუმი 2017;

76. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თსუ-ს გამომცემლობის სტამბა, თბ.1973;

77. შანიძე ა., სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში თხზ. ტ. II თბ. 1981;

78. შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი, თბილისი, 2014;

79. შაინიძე ჟ. „ყველაფერი და არაფერი“ (სულის ბიოგრაფია), გამომცემლობა „ლაზარე,“ ბათუმი, 2016;

80. ჩიქობავა არნ., ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის. კრებული სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში. წიგნი I. 1954

81. ჩიქობავა არნ. ,ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ.1938;

82. ჩიქოზავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება, თბ.1942;
83. ჩიქოზავა არნ., დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“ შრომები V. თბილისი, 2011;
84. ცეცხლაძე ნ., ცეცხლაძე ნ., მიმღეობა ძველ ქართულში, ბათუმი, 2006;
85. ცეცხლაძე ნ., კიკვაძე მ., ფარტენაძე ნ., სიკვდილის სემანტიკის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში „კულტურათმშორის დიალოგები“. I, თელავი, 2011;
86. ცეცხლაძე ნ., ხატოვანი სიტყვა-თქმები - ეროვნული რეალიების ენობრივი სურათი; ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, VI, გამომცემლობა „უნივერსალი;“ თბ.2014;
87. ცეცხლაძე ნ., სინონიმური პარალელიზმი „ჩვენებურთა“ მეტყველებაში საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი „ინტელექტი“ 1(45). აპრილი IntellectI@yahoo.com; www.intelecti.ge. თბ.2013;
88. ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ., სტილისტიკა. გამომცემლობა „ივერიონი“ თბილისი, 2014;
89. ცეცხლაძე ნ., მიმღეობა კლარჯულში, XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის თეზისები; გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“ 2014;
90. ცეცხლაძე ნ., თემის ნიშანთა უნიფიკაციის ტენდენცია ქართული ენის სამხრულ კილოებში, სამეცნიერო სესია არნოლდ ჩიქოზავს საკითხავები XXIV, 2013 წლის 23-26 აპრილი, თბილისი, 2013;
91. ცეცხლაძე ნ., „ზურაბ გორგილამის პოეზიის სტილური და ენობრივი თავისებურებანი, „ჭოროხი“ N 3. ბათუმი, 2006;
92. ცინცაძე მ., ფაღავა მ., სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 1998;
93. ცოცანიძე, გ. თუმური ლექსიკონი, თბილისი, 2002 წ;
94. ცხადაძე ბ., მასდარის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის დიალექტებში იკე 24. 1987.

95. ძიბიგური შ.; საენათმეცნიერო საუბრები, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ.1960;
96. ძიბიგური შ., ცნება სინონიმური პარალელიზმისა, სმამ, მე-2, თბ.1961;
97. ძიბიგური შ., ენა და ლიტერატურა, თბ.1965;
98. ძიბიგური შ., ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბილისი, 1974;
99. ჭუმბურიძე ზ., ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ.1956;
100. ჭუმბურიძე ნ, ყოლა-ქონების აღმნიშვნელი რთული სუფიქსები ქართულში, იკე, 29. თბ.1990
101. ჭილაია რ., ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები. თბილისი, 1984.
102. ჭიკაძე რ., ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2014;
103. ჭინჭარაული ალ., ეტიმოლოგიური ეტიუდები: იკე. XXIV.1985
104. ჭყონია ი., სიტყვის-კონა, პეტეზურგი 1910.
105. ხახუტაიშვილი მ., ფუტკარაძე შ., ქობულეთური კილოკავის მასალები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. კრებული VI, 2009;
106. ხახუტაიშვილი მ., ნაწილაკი ქობულეთურ კილოკავში (მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით), გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, VII. ბათუმი, 2013;
107. ჯიქია ს., თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ-ს შრომები, ტომი 108 თბ.1964;
108. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989.
109. მარტიროსოვი ა., ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ.1964;
110. Izard.C. E., The psychology of emotions, რუსული გამოცემა. Питер.1980;

111. James W., The principles of psychology, New York, Dover;1890;
112. Балли Ш., Французская стилистика, Москва, 1961;
113. Барлас Л. Г., Русский язык. Стилистика. Москва, 1978;
114. Гальперин И. Р., „Очерки по стилистике английского языка“, Москва, 1958;
115. Гвоздев А. Н., Очерки по стилистике русского языка М.1955;
116. Дерягин В. Я. Беседы о русской стилистике Москва, 1978;
117. Догонюв Г. И. Эмоция как ценность. Наука. Москва, 1978;
118. Ефимов А. И, Стилистика художественной речи, изд. 2-е , Москва, 1961;
119. Ефимов А. И., Стилистика русского языка. М. 1969;
120. Якобсон Р. О, Лингвистика и поэтика, М.1975;
121. Мещеряков В. П., Козлов А. С., Кубарева Н. П., Сербул М. Н., Основы Литературоведения. Под общей редакцией В. П. Мещерякова. Учебник для вузов М. 2003;
122. Михайлов М. М.; Стилистика русской речи. М. 1968;
123. Морен М. К., Тетеревникова Н. Н.,Стилистика современного французского языка М. 1960;
124. Палиевский П., Внутренняя структура образа, в кн. Теория литературы II., Москва, 1962;
125. Розентал Д. Э, Теленков М . Практическая стилистика русского языка. М.1976;
126. Тимофеев А. И., Венгеров Н., Перифраза и перифраз, Москва, 1963
127. esencia.ucoz.com/news/tsnobili_adamianebi/1-0-9).
128. <https://forum.ge/?f=18&showtopic=33785956&st=60>

